საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეებისათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 16 ნოემბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 265 (2308)

დღიური

- იტალიის პრესა კულიჯის სიტყვის შესახებ.
- ლატვიის მთავრობის შედგენა გლეხთა კავშირს დაევალა
- ავსტრიის მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები ვენაში.
- რუმინეთის მუშურ-გლეხური ბლოკის მოთხოვნილებები.
- ლატვიის სეიმმა უარჰყო ამნისტიის პროექტი.
- გემ „ვესტრიო“-ს დაღუპვა.— დაიღრჩო 107 კაცი.

სრ. საქართველოს პროფკავშირების მე-7 ყრილობა

მოწვეულია ა. წ. 20 ნოემბერს, საღამოს 6 საათ. ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში

დღის წესრიგი:

1) საბ. კავშ. საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა (ამხ. კახიანი).
2) საქ. პროფსაბჭ. მუშაობის ანგარიში (ამხ. მახარაძე).
3) საქ. პროფსაბჭ. სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიში (ამხ. მიკირტუმოვი.)
4) საქ. მრეწველობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები (ამხ. ყურულიშვილი).
5) შრომის სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ (ამხ. თოდრია).
6) რესპ. სოც. დაზღვევის კომიტ. მუშაობის ანგარიში (ამხ. ნარჩემაშვილი)
7) რესპ. სოც. დაზღვევის კომიტეტის სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიში. (ამხ. ფირიაშვილი).
8) არჩევნები.

ყრილობის კომფრაქციის სხდომა შესდგება იმავე დღეს, საღამოს 4 საათზე, ს. პ. კ. ს. მცირე დარბაზში.

დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილებაში (შრომის სასახლე, მე-2 სართული, მე-8 ოთახი) 19 ნოემბრიდან, დილის 9 — 3 ს. და საღამოს 6—9 ს.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი

მშრომელ ქალთა პირველი ყრილობის ათი წლის თავზე

(1918—1928)

ეს იყო ათი წლის წინედ. **მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა პირველი ყრილობა შეიკრიბა** მეტად მღელვარე დროს და უსასტიკესი ბრძოლის ხანაში. ის შეიკრიბა რევოლიუციის ქარცეცხლში. ოქტომბრის რევოლიუციის წიაღში ნაშობი საბჭოთა ხელისუფლება გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა მუშათა კლასის და გლეხკაცობის ყოველ მხრიდან შემოსეული მტრების, — კონტრ - რევოლიუციონური ბურჟუაზიის, კაპიტალისტების, მემამულეების, შავი ოფიცრების და სამღვდელოების წინააღმდეგ, მთელი ეს კონტრრევოლიუციონური ხროვა უტევდა და თავს ესხმოდა მუშათა კლასის ნორჩ ხელისუფლებას ყოველი მხრიდან, ყოველი ფეხის ნაბიჯზე, შიგნიდან და გარედან. შინაური და უცხოელი კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზია გაერთიანებული ძალებით ლამობდა მუშათა კლასის დიქტატურის დამხობას, რათაც არ უნდა დაჯდომოდა. ღალატი, გაცემა, მოსყიდვა, ტერორი, — ყოველივე იყო ამოძრავებული ამ მიზნის მისაღწევად.

რუსეთის მუშათა კლასი და გლეხკაცობის ულარიბესი ნაწილი სისხლისაგან იცლებოდა; პროლეტარიატი იკრებდა უკანასკნელ ძალებს ირგვლივ შემოსეულ მტრების წინააღმდეგ, თითქოს უიმედობას მოეცვა ყოველივე. აი, სწორედ ასეთ მწვავე მომენტში გაისმის რუსეთის მშრომელ ქალთა, მუშა-ქალების და გლეხ-ქალების გადამჭრელი, იმედის აღმძვრელი და გაბედული შემოძახილი თავისი ძმების, მამების და ამხანაგ მუშა - მამაკაცების მიმართ: ჩვენც თქვენთან ვართ, ჩვენც თქვენთან ერთად ვიბრძვით და ვიბრძოლებთ იარაღით ხელში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ან ერთად გავიმარჯვებთ, ან ერთად დავიხოცებითო! — ეს არ იყო მარტო სიტყვები. მუშა-ქალი და გლეხი-ქალი თავის ძმებთან და მამებთან ერთად უკვე ჩაბმული იყვნენ უშუალო ბრძოლაში მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ. **მშრომელ ქალთა პირველმა ყრილობამ ორგანიზაციულად ჩამოაყალიბა ის, რაც სინამდვილეში უკვე ხდებოდა.** და სინამდვილეში ხდებოდა ის, **რომ მუშა-ქალი და ღარიბი გლეხი-ქალი** გვერდში ედგა მუშა - მამაკაცებს და ღარიბ გლეხებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მშრომელ ქალთა პირველმა ყრილობამ ძლიერ შეუწყო ხელი მუშა - ქალების და გლეხ-ქალების ჩაბმას იმ ბრძოლაში, რომელსაც რუსეთის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის მეთაურობით აწარმოებდა თავის მტრების წინააღმდეგ, მუშა - ქალები ასრულებდენ იმას, რის შესრულებაც მათ შეეძლოთ. და მასთან ისინი იტანდენ სამოქალაქო ომის დროს არა ნაკლებ გაჭირვებას, ვინმე მუშა - მამაკაცები. ამიტომ იმ გამარჯვებაში, რომელიც წილად ხვდა რუსეთის მუშათა კლასს სამოქალაქო ომში საერთოდ, მუშა-ქალებსაც საკმარისად დიდი ღვაწლი მიუძღვით. იმიტომ, რომ ისინი შეუდრეკლათ იბრძოდენ. იმიტომ, რომ იმათ გადახდათ თავზე უდიდესი გაჭირვებანი.

სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ მუშა - ქალები ჩაებენ სამშენებლო მუშაობის ყველა დარგში, როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ფრონტზე, ჩვენ ვხედავთ მუშა-ქალების აქტიურ მუშაობას პარტიაში, პროფესიონალურ ორგანიზაციებში, საბჭოებში, კოოპერაციაში და სხვ. მუშა-ქალების რიცხვი მრეწველობაში შეუჩერებლად იზრდება, მუშა - ქალები ასრულებენ საპასუხისმგებლო თანამდებობებს როგორც ადმინისტრატიულ-სამეურნეო, ისე კულტურულ-განმანათლებელ დარგში.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ მამაკაცების და დედაკაცების **თანასწორობას უფლების მხრივ** საბჭოთა ხელისუფლება ანხორციელებს სინამდვილეში. არსად, არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, რამდენადაც ის კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებული არ უნდა იყოს, ქალის მდგომარეობა არა თუ არ იმყოფება იმ სიმაღლეზე, როგორც საბჭოთა ქვეყნებში, არამედ დედაკაცის მდგომარეობა ყველა კულტუროსან ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებითად მეტად დამცირებულია, ხოლო რაც შეეხება მუშა - ქალის და გლეხი-ქალის მდგომარეობას იქ, ეს ხომ პირდაპირ აუტანელია, იგი იქ ორგვარ ჩაგვრას და შევიწროებას განიცდის, როგორც ქალი, და როგორც მუშა. საბჭოთა ქალი დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მეოხებით განთავისუფლდა, თავისი უფლებით იგი შეიქმნა სრულიად თანასწორი მამაკაცესა. მისთვის არ არსებობს არავითარი შეზღუდვა კანონის მხრივ; იგი ღებულობს მამაკაცთან ერთად თანასწორ მონაწილეობას, როგორც მართვა - გამგეობის. ისე კანონმდებლობის დარგში, და უნდა ითქვას, რომ ქალებმა თავისი მუშაობით, თავისი ერთგულებით სავსებით გაამართლეს ის მოვალეობანი, რომელიც მათ ახალმა ცხოვრებამ დააკისრა. ისინი გამოდგენ როგორც ერთგული მებრძოლნი, ისე საუკეთესო მშენებლები სოციალისტურ მშენებლობაში. მართლაც სოციალისტური მშენებლობა შეუძლებელია მშრომელ ქალთა, მუშა - ქალების და გლეხ - ქალების მჭიდრო და აქტიური მონაწილეობის გარეშე. ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებებია ამ მხრივ გადასალახავი და დასაძლევი.

ამ დაბრკოლებების დაძლევას ისინი ვერ შესძლებენ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელისშეწყობის და დახმარების გარეშე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითონ ქალებმა თავის მხრივ უდიდესი აქტივობა არ უნდა გამოიჩინონ ამ საქმეში; პირიქით, უნდა ვთქვათ, რომ პირველ ყოვლისა თვით ქალებმა უნდა იდვან თავის თავზე ყველა იმ დაბრკოლებების დაძლევა, რომლებიც მათ ეღობებათ წინ, რომ მიაღწიონ სრულ განთავისუფლებას, ე. ი. თავისი ნიჭის და შემოქმედების სავსებით გაშლას.

რა თქმა უნდა, საქმეს აბრკოლებს აქ უპირველეს ყოვლისა ჩვენი **უკულტურობა და ჩამორჩენა**, ერთი მხრით, და მეორე მხრივ წარსულის ნაშთები, ძველი ყოფა - ცხოვრების ძლიერი გავლენა, ჯერ კიდევ ბევრ ადგილას დარჩენილი შეხედულება, რომ ქალი დაბალი არსებაა და სხვადასხვა. ამ შეხედულებიდან არ არიან თავისუფალი ბევრი პასუხისმგებელი მუშაკები, ზოგ შემთხვევაში თვით კომპარტიის წევრებიც კი. რაც შეეხება **ჩადრის ტარებას** მაჰმადიანთა შორის ან ეგრედ წოდებულ „ბოსელს“ მთიულეთში, განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთში, ეს ხომ პირდაპირი მონობის ნიშანია, ეს ხომ სამარცხვინო მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ვერას გზით ვერ შეურიგდება.

ყველასათვის აშკარა უნდა იყოს და არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ ქალის მდგომარეობაში ჩვენში მოხდა **უდიდესი გარდატეხა, მოხდა ნამდვილი რევოლიუცია** მისი მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ, მისი მამაკაცთან გათანასწორების საქმეში. ეს ყველასათვის დღესავით ნათელია, ეს ჩანს ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ამის უარისყოფა შეუძლია მხოლოდ ბრმას ან გიჟს. და ეს საქმე, ე. ი. ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება, შეუჩერებლად და სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლებები გვაქვს წინ დასაძლევი, რომ ლენინის ანდერძი იქნეს განხორციელებული.

უნდა ვიფიქროთ, რომ 10 წლის განმავლობაში მშრომელ ქალთა პირველი ყრილობის შემდეგ უდიდესი ნაბიჯი გადგა წინ საბჭოთა ქალმა; მას აქვს თვალსაჩინო მიღწევები ამ ხნის განმავლობაში.

დღე ამ პირველი ყრილობის მოგონება, მისი აღნიშვნა შეიქნეს მძლავრ სტიმულად ქალთა განვითარების გზაზე, რაც საბჭოთა პირობებში ნიშნავს მთელი მშრომელი ხალხის წინსვლას სოციალიზმის განსახორციელებლად.

ამ ათი წლის თავზე ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ძველი წყეული ცხოვრების ყველა ნაშთების აღმოსაფხვრელად და გზის გასაკაფავად მუშა - ქალის და გლეხი-ქალის სრული თანასწორობის განსახორციელებლად.

გაუმარჯოს ქალთა სრულ გამოფხიზლებას!

ძირს ყველა დაბრკოლებები იმათ გზაზე!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ფ. მახარაძე.

ოპოზიცია პილსუდსკის დიქტატურის წინააღმდეგ იზრდება

ეკონ. კრიზისი პოლონეთში.-„პოლონეთი ციხეა ეროვნულ უმცირესობათათვის“

მანჯურიაში გრძელდება ანტი-იაპონური დემონსტრაციები.-სისხლის ღვრა ხარბინში

პილსუდსკის დიქტატურის წინააღმდეგ

პოლონეთი ფეხქვეშ სთელავს თავისუფლებას

ვარშავა, 14 ნოემბერი. შესდგა სეიმის პლენარული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა საბიუჯეტო კანონპროექტი.

„ვიზვოლენიას“ წარმომადგენელმა ვოზნიცკიმ სთქვა, რომ იზრდება გლეხთა მასების უკმაყოფილება პილსუდსკის წინააღმდეგ, რომელიც უფრო და უფრო არაპოპულიარული ხდება. ორატორმა განაცხადა, რომ ვლიხის ინტერვიუმ, რომელშიაც პილსუდსკიმ სეიმის დეპუტატებს „პროსტიტუტკები“ უწოდა, ძალიან დასცა მთავრობის პრესტიჟი გლეხების თვალში. ვოზნიცკი ბრალს სდებს მთავრობას, რომ იგი ანგარიშს არ უწევს სეიმის დადგენილებებს.

„სანამ მთავრობა არ შესცვლის თავის დამოკიდებულებას სეიმის დადგენილებების მიმართ,—სთქვა ვოზნიცკიმ,—მანამ სეიმში გამართულ დებატებს, „ვიზვოლენიე“ კომედიად სთვლის. თუ მთავრობა არ განაცხადებს, რომ შესცვლის თავის პოზიციას, „ვიზვოლენიე“, პირველ წაკითხვის შემდეგვე კანონპროექტის წინააღმდეგ მისცემს ხმას“.

გლეხთა კავშირის ლიდერმა დომბსკიმ რომელიც პოლონეთის ეკონომიური მდგომარეობასაც შეეხო, აღნიშნა, რომ ხელსაყრელი ეკონომიური კონიუნქტურა, რომელიც ინგლის ხელ მემელაროეთა გაფიცვამ გამოიწვია, უკვე აღარ არსებობს; პოლონეთს ეკონომიური კრიზისი მოელის. სიძვირე იზრდება. მთავრობა ანგარიშს არ უწევს ამას. მან გაადიდა საგადასახადო დაბეგვრა, უმთავრესად მშრომელთა ფართო მასების ხარჯზე. ამავე დროს მთავრობა ამცირებს მრეწველებისა და მემამულეებს გადასახადებს. აგრარული რეფორმა არ ხორციელდება. მთავრობის მიერ დაპირებული გრძელვადიან სესხს არ არიგებენ.

„პოლონეთის მდგომარეობა უარესდება,— განაცხადა შემდეგ დომბსკიმ.—პოლონეთის სახელმწიფოს მართავს არა დიქტატორი, არამედ ხროვა, პოლონეთის დემოკრატია არ დასთანხმდება პოლონეთის კონსტიტუციის შეცვლას“.

დასასრულ, დომბსკიმ დაანაცხადა, რომ გლეხთა კავშირი მთავრობის ტერორის მიუხედავად, არ შესწყვეტს მთავრობის კრიტიკას. გლეხთა კავშირი ხმას მისცემს კანონპროექტის გადაცემას საბიუჯეტო კომისიაში, რათა იქ დამტკიცდეს საბიუჯეტო კანონპროექტის უაზრობა პოლონეთის თანამედროვე პირობებშიო.

უკრაინის რადიკალ-სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი ბაჩინსკი, თავის სიტყვაში შეეხო პოლონეთის სახელმწიფოს არსებობის ათი წლის თავს. მან განაცხადა:

„პოლონეთი ჰბაძავს იმპერიალისტური სახელმწიფოების ყველაზე ცუდ მაგალითს. მან წაართვა უკრაინელებს ყველაფერი, რაც რომ ავსტრიაში მოიპოვებს“. ბაჩინსკიმ, როცა იგი ამას წინად მომხდარ არჩევნებს შეეხო, აღნიშნა მთავრობის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი და განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა სკლადკოვსკიმ თავხედურად გასთელა ფეხქვეშ სამოქალაქო თავისუფლება. ლვოვის ამბების შესახებ ბაჩინსკი შეეკამათა სკლადკოვსკის, გაიხსენა მისი სიტყვები, რომ პოლიცია არ არის დამნაშავეო. ამ დროს სკლადკოვსკიმ ადგილიდან დაიძახა: „დიახ, პოლიცია დამნაშავეა, რომ მეტად ლმობიერად მოეპყრა უკრაინელებს“-ო.

ამ სიტყვებმა უკრაინელთა სკამებზე ძლიერი პროტესტები გამოიწვიეს. მაშინ ბაჩინსკიმ მკვეთრი სიტყვებით მიმართა სკლადკოვსკის.

„როცა თქვენ გადაგაყენებენ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან, თამამად შეგიძლიათ დადგეთ „გოროდოვოი“-ად და, ამგვარად, გამოიჩინოთ მთელი თქვენი უნარი“.

დასასრულ, ბაჩინსკიმ სთქვა: „როცა ჩვენ შევუერთდებით სხვა ეროვნულ უმცირესობებს, შევსძლებთ მივაღწიოთ განთავისუფლებას. თქვენ 150 წლის განმავლობაში ელოდით განთავისუფლებას, ჩვენ უფრო მალე მივაღწევთ ამას“.

ბაჩინსკიმ განაცხადა, რომ მისი ფრაქცია ხმას საბიუჯეტო კანონპროექტის წინააღმდეგ მისცემსო (ადს).

პოლონეთი საპატიმროა ეროვნულ უმცირესობისათვის

ვარშავა, 14 ნოემბერი. სეიმის სხდომამ განიხილა „უნდოს“ (უკრაინის ნაციონალ დემოკრატიული გაერთიანება) და უკრაინელთა რადიკალ-სოციალისტური პარტიის შეკითხვა. უნდოს წარმომადგენელმა მოითხოვა ლვოვის ვოევოდის ოგოლუხოვსკის გადაყენება. უკრაინელთა რადიკალ-სოციალისტურმა პარტიამ მოითხოვა, რომ სეიმმა დაუყოვნებლივ შექმნას კომისია, ლვოვის ამბების გამოსაკვლევად.

კომფრაქციის წარმომადგენელმა ბიტნერმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ პოლონეთის სახელმწიფო საპატიმროა ეროვნულ უმცირესობათათვისო. ბიტნერის სიტყვის დროს მინისტრებმა ბარტელის მეთაურობით დემონსტრატიულად დასტოვეს დარბაზი.

კენჭის ყრის დროს „უნდოს“ და უკრაინელთა რადიკალურ-სოციალისტური პარტიის წინადადებების სისწრაფე უარყოფილ იქნა.

პილსუდსკი ესტონეთის გენერალ ლაიდონერთან

ვარშავა, 14 ნოემბერი. პილსუდსკი ეწვია ესტონეთის გენერალს ლაიდონერს, რომელიც ვარშავაში მოვიდა პოლონეთის სახელმწიფოს არსებობის ათი წლის თავზე გამართულ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. პილსუდსკის საუბარმა ლაიდონერთან დაახლოებით ერთ საათს გასტანა.

ლაიდონერის პატივსაცემად გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ზალესკი, სეიმის თავმჯდომარე დაშინსკი, დეპუტატები, მთავრობის თვალსაჩინო მოხელეები და გენერალური შტაბის თანამშრომელნი (ადს).

ანტი-პოლონური დემონსტრაციები მანჯურიაში

დემონსტრანტების დაჭრა

ხარბინი, 14 ნოემბ. გირინში გაიმართა ანტი-იაპონური დემონსტრაცია სამხრეთთან გაერთიანების ლოზუნგით. პოლიციამ გაჰფანტა დემონსტრანტები.

დიდი დემონსტრაციები მოხდა ციციკარში, სადაც დაარსდა საზოგადოება რომლის მიზანსაც შეადგენს ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ იაპონელებმა მანჯურიაში რკინის გზები ააგონ.

იუწყებიან, რომ ხარბინში ჩინეთის პოლიციამ სროლა აუტეხა მოწაფეთა ანტი-იაპონურ დემონსტრაციას, დაიჭრა 170 კაცი. 3 კაცი ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

იაპონიის კონსულმა მუკდენში ჩინეთის ხელისუფლებას პროტესტი განუცხადა დემონსტრაციების წინააღმდეგ.

გერმანიის მელითონეთა ბრძოლა

მრეწველებმა ლოკაუტი გამოაცხადეს

ბერლინი, 14 ნოემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„რურის დამამზადებელ რაიონში, რომელიც რეინ-ვესტფალიის სამრეწველო საწარმოთა ჩრდილოეთ - დასავლეთის ჯგუფს აკრავს, გამოცხადდა ლოკაუტი. ლოკაუტის მიზეზი პროფკავშირთა განცხადებაა, რომ ისინი სატარიფო ხელშეკრულებას აბათილებენ, ლოკაუტი ძალაში შედის 30 ნოემბერს“.

ახალი 36.000 მელითონის ლოკაუტი

ბერლინი, 14 ნოემბ. საზღვაო რაიონის (ალტენის, ბოხუმის, ჰაგენის, გამის და იზეოლონის ოლქები) ლითონის მრეწველობის პატრონთა კავშირმა გამოაცხადა, რომ 30 ნოემბრიდან დათხოვნილი იქნება 300 წარმოების 36.000 მუშა. (ადს).

კამათი რურისა და ვესტფალის რაიონში გამოცხადებული ლოკაუტის შესახებ

ბერლინი, 14 ნოემბერი. რეიხსტაგში დასრულდა კამათი რურის და ვესტფალიის რაიონში გამოცხადებული ლოკაუტის საკითხის გამო. მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი, რომელიც შემოიტანეს კომუნისტებმა, უარყოფილ იქნა ყველა ხმით, გარდა კომუნისტებისა და ფაშისტების ხმებისა. უნდობლობის ვოტუმის გამოტანის შესახებ წინადადება კომფრაქციის სახელით ასაბუთებდა ულბრიხტი, რომელიც ცხარედ ეკამათებოდა სოციალდემოკრატების შრომის მინისტრს ვისელს და მელითონეთა რეფორმისტული კავშირის თავმჯდომარეს სოციალ-დემოკრატ ბრანდესს. (ადს).

პუანკარეს „შუამავლობა“

პარიზი, 14 ნოემბერი. ბორდოს გემების პატრონთა კავშირი იუწყება, რომ ნავთსადგურის გაფიცული მუშები დასთანხმდნენ კონფლიქტის მოწესრიგებაზე პუანკარეს შუამავლობითო. პუანკარეს შუამავლობა სთხოვეს ბორდოს მერის სოციალისტ-დეპუტატის მარკეს ინიციატივით.

საგაფიცვო კომიტეტის წევრმა კონოტანმა მუშების კრებაზე განაცხადა, რომ საგაფიცვო კომიტეტი დასთანხმდა გაფიცულთა და გემების პატრონთა წარმომადგენლების შეხვედრაზე პუანკარეს თანდასწრებით, მაგრამ კომიტეტი წინდაწინვე უარჰყოფს სავალდებულო არბიტრაჟსო.

ბლიის (ნავთსადგური ბორდოს მახლობლად) ნავთსადგურის მუშებმა ბორდოელ ამხანაგებისთვის მხარის დასაჭერად გამოაცხადეს სოლიდარობის გაფიცვა და წამოაყენეს დამოუკიდებელი მოთხოვნები სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ.

ლაორმელის (ნავთსადგური საფრანგეთის დასავლეთ ნაწილში) ნავთსადგურის მუშებმა ბორდოს გაფიცულ მუშების სასარგებლოდ გადასდეს ერთი დღის ხელფასი. (ადს).

კულიჯის სიტყვის გამოძახილი

„ლავორო დ' იტალიას“ კომენტარიები

რომი, 14 ნოემბერი. კულიჯის სიტყვას მხოლოდ „ლავორო დ' იტალია“ გამოეხმაურა. მისი აზრით, კულიჯის სიტყვა იმდენად ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებამ არ გამოიწვია, რამდენადაც ინგლისის მეფის სეფე-სიტყვის მეტად მეგობრულმა კილომ იაპონიის მიმართ. გაზეთი სწერს:

„შეერთებული შტატებისა და ინგლისის მეტოქეობა ვერ მოისპობა. ეს მეტოქეობა მარტო საზღვაო შეიარაღებაზე და მარტო შორეულ აღმოსავლეთზე არ მოახდენს გავლენას. გუვერი შეერთებული შტატების პოზიციების გამაგრებას აპირებს უკვე სამხრეთ ამერიკაში. არც ევროპა დარჩება განზე“. (ადს).

კულიჯი გუვერის პოლიტიკის გამომხატველია

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. ზავის ათი წლის თავზე წარმოთქმული პრეზიდენტის **კულიჯის სიტყვა ფაქტიურად გუვერის პოლიტიკას გამოხატავდა.** კულიჯი მოითხოვდა, რომ ევროპის სახელმწიფოებს თავიანთი ვალი გადაეხადათ; წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა, რომ ამერიკა ევროპას სესხს აღარ მისცემსო. ეს სრულიად ეთანხმება გუვერის განცხადებას.

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, **რომ გუვერის მოგზაურობა სამხრეთ ამერიკაში. არც ევროპა დარჩება განტყვა და საზღვაო სამინისტროს პროგრამა ადასტურებენ, რომ გუვერი თავის წინამორბედზე უფრო აგრესიულ პოლიტიკას დაადგება.** (ადს).

რად მიემგზავრება გუვერი სამხრეთ ამერიკაში

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. „უორკერს პარტი“-მ (ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია) ლათინურ ამერიკის სახელმწიფოთა კომპარტიებს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნიღაბს ხდის გუვერის მოგზაურობას ლათინურ ამერიკაში, უწოდებს ამ მოგზაურობას **„საშიშ ნაბიჯს, რომელიც გადადგმულია ლათინურ ამერიკაში ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობის უკვდავსაყოფად“.** და წინადადებას აძლევს ლათინური ამერიკის კომპარტიებს — **დაუყოვნებლივ შეუდგნენ გუვერის მოგზაურობის საწინააღმდეგო მასიური საპროტესტო მოძრაობის მოწყობას. (ადს)**

მთავრობის კრიზისი ლატვიაში

რიგა, 14 ნოემბერი. სოციალ-დემოკრატებმა უარი განაცხადეს მოლაპარაკებაზე მთავრობის შესადგენად.

რიგა, 14 ნომებერი. მთავრობის შედგენა მიენდო გლეხთა კავშირს.

საბჭოთა პროფესორები ბერლინის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ

მოსკოვი, 15 ნოემბ. საბჭ. კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სახელშეკრულებო-უფლებრივი განყოფილების უფროსის თანაშემწემ პროფესორმა **ვოლფმა** საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა კავშირის კუთვნილი ძვირფასი ნივთების აუქციონის საქმეზე, ბერლინის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა შემდეგი:

გერმანიაში მყოფი რუსი ემიგრანტების ცდა—ჩაშალონ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ მოწყობილი აუქციონი და მიიღონ ძვირფასი გასაყიდი ნივთების ნაწილი—წარმოადგენს აშკარა მისწრაფებას ისარგებლონ პოლიტიკური სიმპატიებით, რომლების გამოწვევასაც ისინი ლამობენ გერმანიის სასამართლოს მხრივ. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით ეს გამოსვლა მოკლებულია ყოველ იურიდიულ საფუძველს. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა გერმანიასთან დასდო მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთაგან ბევრი, კერძოდ რაპალოს ხელშეკრულება, პირდაპირ უფლებამოსილად აღიარებს საბჭოთა მთავრობის მიერ ჩატარებულ ნაციონალიზაციის აქტებს, სრულიად უიმედოდ უნდა ჩაითვალოს გერმანიაში იმ საკითხის აღძვრა, რომ კანონები ნაციონალიზაციის შესახებ გამოყენებული არ იქნან გერმანიის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს მრავალი ისეთი პრეცენდენტი, როცა გერმანიის სასამართლოს გამოჰქონდა აშკარა ჩვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილება. გერმანიის სასამართლოს ჯერ კიდევ არ გამოუთქვამს თავისი აზრი ამ საქმის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფა მხოლოდ წინასწარი აქტია. მე ეჭვი არ შემდის, რომ როგორც კი სასამართლო უფრო ახლო გაეცნობა საქმის ფაქტიურ უფლებრივ მხარეს, ის დაუყონებლივ უარჰყოფს მომჩივართა უსაფუძვლო პრეტენზიებს“.

საერთაშორისო სამართლის ცნობილმა მცოდნემ პროფესორმა **კოროვინმა** საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ბერლინის სასამართლო პალატის სამოქალაქო სენატის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა შემდეგი:

„გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილება ნივთების ნაწილის გაყიდვის აკრძალვის შესახებ მით უფრო საოცარია, რომ ინგლისი და ამერიკაც კი პირველ ჩვენს იურიდიულად ცნობამდეც კი, ხოლო ამერიკა ეხლაც არ გვცნობს არც დე-ფაქტო და არაც დე-იურე ანალოგიურ შემთხვევებში უარყოფდნენ კერძო პირების პრეტენზიებს საბჭოთა მთავრობის მიმართ. საინტერესოა აღინიშნოს, როგორც კურიოზი, რომ ერთ-ერთი ასეთი საქმის გარჩევის დროს ამერიკაში მომჩივანმა არც ერთხელ არ მოიხსენია მოპასუხედ „საბჭოთა მთავრობა“, არამედ „კორპორაცია, რომელსაც ძალაუფლება აქვს ევროპისა და აზიის ნაწილში“. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღიარა, რომ ვინაიდან ამ „კორპორაციას“ აქვს მთავრობის ყველა ნიშანი, მისი სასამართლოში მიცემა არ შეიძლება. გერმანიის სასამართლოს პრაქტიკაც ანალოგიურ საქმეებში უმწიკლო იყო, გერმანიის სასამართლოები უდავოდ სცნობდნენ არა მარტო ჩვენი მთავრობის მიერ ჩატარებულ ნაციონალიზაციის აქტებს, არამედ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სხვა დარგში გამოცემულ ჩვენს საკანონმდებლო აქტებსაც, მაგალითად, ალიმენტების კანონს, რომელსაც გერმანიის სასამართლოები იყენებდნენ რუსი ემიგრანტების მიმართ. ამრიგად, საერთაშორისო სამართლის საერთო პრინციპები, სასამართლოების პრაქტიკა ისეთ ქვეყნებშიაც კი, რომლებსაც საბჭ. კავშირი არ უცვნიათ, პრეცენდენტები გერმანიის სასამართლოების მიერ ანალოგიურ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების სახით, გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული თანამშრომლობა,—ყოველივე ეს გვაიძულებს განვიხილოთ ბერლინის სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც სამწუხარო გაუგებრობა, რომელსაც რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო“. (ადს).

რუმინეთის მუშურ-გლეხური ბლოკი

ვენა, 14 ნოემბერი. გაზეთებში გამოქვეყნდა რუმინეთის მუშათა და გლეხთა ბლოკის მოწოდება რუმინეთის პროლეტარიატისადმი. მოწოდება აფრთხილებს რუმინეთის მშრომელებს — ნუ დაუჯერებენ ნაციონალურ - გლეხური პარტიის მთავრობის დემოკრატიზმს. **მოწოდება მოითხოვს საალყო წესებისა და სამხედრო სასამართლოების გაუქმებას, ცენზურის დამცველი პოლიციისა და ჟანდარმერიის მოსპობას მუშათა კლასისათვის სამოქალაქო თავისუფლების აღდგენას, კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციას, ამნისტიას პოლიტიკური პატიმართათვის, მშვიდობიანობას ხალხებთან, მათ შორის საბჭოთა კავშირთან, და მემამულეთა მიწების უსასყიდლო ექსპროპრიაციას გლეხებისათვის დასარიგებლად.** მთავრობას განზრახვა აქვს მოწოდების ავტორები სამართალში მისცეს. (ადს)

გემის დაღუპვა

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. დაიღუპა გემი, რომელიც ნიუ-იორკიდან სამხრეთ ამერიკაში მიდიოდა 129 მგზავრით და 210 კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟით. მგზავრებმა და ეკიპაჟმა მოასწრეს ნავებში გადაჯდომა (ადს).

ნიუ-იორკი, 14 ნოემბერი. გემებმა, რომელნიც მივიდნენ იმ ადგილას, სადაც გემმა „ვესტრიო“-მ ავარია განიცადა, (ავარია მოხდა გზაზე ნიუ-იორკიდან სამხრეთ ამერიკაში) გადაარჩინეს 232 კაცი. დაიღუპა 107 კაცი. (ადს).

„კრასინის“ ექსპედიციის მონაწილენი თბილისში

შეხვედრა სადგურზე

მატარებელი № 4, რომლითაც თბილისში უნდა მოვიდნენ „კრასინ“-ის ექსპედიციის მონაწილენი, იგვიანებს რამოდენიმე წუთით.

სადგურზე ხალხს მრავლად მოუყრია თავი. წითელი ჯარის ნაწილები ორკესტრით სდგანან მწყობრად, მათ პირდაპირ ჩამწკრივებულან ავიაქიმრაზმელები, შეიარაღებულნი გაზის საწინააღმდეგო ნიღაბებით.

მატარებელი გამოჩნდა. სადგურზე სიჩუმე ჩამოვარდა. მატარებელი ქშენით უახლოვდება სადგურს. შეკრებილი ხალხი მისჩერებია ვაგონის ფანჯრებს და გაფაციცებით ეძებს პროფესორ სამოილოვიჩის და მის თანამგზავრებს. აგუგუნდა ორკესტრი.

მატარებელი გაჩერდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ვაგონის კარებში გამოჩნდა პროფ. სამოილოვიჩი, რომელსაც უკან მოჰყვებიან სხვა კრასინელები, იგრიალა „ვაშამ“.

მარცხნიდან მარჯვნივ: ამხ. ი ვარძელი, ამხ. ლ. ქართველიშვილი, პროფ. სამოილოვიჩი, ამხ. ფ მახარაძე, პროფ. სამოილოვიჩის ცოლი, მფრინავი სტრაუზე, ამხ. წილოსანი.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის თავმჯდომარის მოადგილე № ქართ. მხრ. დივიზიის მეთაური ამხ. ვ. გიორგაძე მიტინგს გახსნილად აცხადებს.

ამხ. ვ. გიორგაძის სიტყვა

„ამხანაგებო!—ამბობს იგი—საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის რიგებში გაერთიანებულ 100000 მშრომელის სახელით ვესალმები ძვირფას სტუმრებს, „კრასინი“-ს და „მალიგინი“-ს გმირული ექსპედიციის მონაწილეთა წარმომადგენლებს.

ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრი გულის ფანცქალით ადევნებდა თვალ-ყურს იმ დეპეშებს, რომლებსაც მოჰქონდათ ცნობები ექსპედიციის გმირულ მოღვაწეობაზე და გრძნობდა უღრეს სიხარულს და ბედნიერებას ექსპედიციის ყოველი გამარჯვების დროს.

დღეს, ჩვენ ბედნიერად ვსთვლით თავს, რადგან შესაძლებლობა გვაქვს მივესალმოთ საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქში მათ, ვინც გამარჯვება ჩრდილოეთის [illegible].

მაგრამ, შეცდომა იქნებოდა, თუ ამ ექსპედიციის მიღწევებს ჩვენ გავზომავთ მარტო როგორც გმირობას. საბჭოთა საზოგადოებრივობა დარწმუნებული იყო მათ გმირობაში რადგან ამ ამხანაგებმა გაიარეს სამოქალაქო ომის და სოციალიზმის მშენებლობის სკოლა.

ჩვენთვის ძვირფასია ამ ექსპედიციების მეცნიერული მიღწევები. ის მეცნიერული პრობლემები, რომლებიც გადაჭრილ იქნა ექსპედიციის მიერ პროფ. სამოილოვიჩის ხელმძღვანელობით, წარმოადგენენ უდიდეს განძეულობას ჩრდილოეთ პოლიუსის შესწავლის საქმეში.

ექსპედიციის მუშაობამ დაანახვა ყველას, რომ ჩვენ შევძლიან ვებრძოლოთ ბუნების სასტიკ ძალებს, რადგან ჩვენი ქვეყანა არის სოციალისტური ქვეყანა,

გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას ბუნების ძალებთან, რომელიც სოციალიზმის გამარჯვების თავდებია!

გაუმარჯოს ექსპედიციის მონაწილე გმირებს!

გაუმარჯოს ექსპედიციის ორგანიზატორს თავდაცვა-ავიაქიმს და მის იდეურ ხელმძღვანელს საკავშირო კომპარტიას!“

ამხ. ქურჩიშვილის სიტყვა

ამხ. გიორგაძეს სცვლის მუშა ამხ. ქურჩიშვილი.

„ამ ექსპედიციით პროლეტარულმა სახელმწიფომ დაუმტკიცა მთელ ქვეყნიერებას, რომ იგი ძლიერია არა მარტო ძალით, არამედ მეცნიერებითაც“.

ამხ. ლორთქიფანიძის სიტყვა

შემდეგ ლაპარაკობს რკინის გზის მუშების წარმომადგენელი ამხ. ლორთქიფანიძე. იგი ესალმება ძვირფას სტუმრებს რკინის გზ. მუშების სახელით, რომლებიც მოუთმენლად მოელოდნენ მათ ჩამოსვლას თბილისში.

პროფ. სამოილოვიჩის საპასუხო სიტყვა

საპასუხო სიტყვას ამბობს პროფ. სამოილოვიჩი. მქუხარე ტაში სწყვეტს მის პირველ სიტყვებს.

„ამხანაგებო,—ამბობს იგი,— საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქებში, სადაც ჩვენ მოგვიხდა ყოფნა, მშრომელები გვხვდებოდნენ აღფრთოვანებით. ეს შეხვედრა როგორც ჩანს მოწმობს მას, რომ ჩვენ ვმუშაობდით კარგად. ის საქმე, რომელიც დაგვავალა მშრომელმა მასამ, შევასრულეთ ბრწყინვალედ.

ძნელი მუშაობის დროს ჩვენ ძალას და გამბედაობას გვმატებდა ის გარემოება, რომ მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა იყო ჩვენს მხარეზე, თვალ-ყურს ადევნებდა ჩვენ მუშაობას.

ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ კარგად გვქონდა შესწავლილი ის მხარე, სადაც გვიხდებოდა მუშაობა. ამასთანავე ერთად ჩვენი ექსპედიციის მონაწილეთა შორის სუფევდა სრული თანხმობა, ექსპედიციის ყოველი მონაწილე მოქმედებდა სრული შეგნებით.

პროფ. სამოილოვიჩის სიტყვას ფარავს ძლიერი ვაშა და ინტერნაციონალის ხმები.

—:—

მიტინგი დაიხურა. პროფ. სამოილოვიჩი და მისი თანამგზავრები სხდებიან ავტომობილში სადგურის წინა მოედანზე შეგროვილი ხალხი ხვდებიან ძვირფას სტუმრებს ტაშით და ვაშას ძახილით.

თბილისის მშრომელი ქალების სახელით პროფ. სამოილოვიჩის ცოლს გადაეცა თაიგული.

სასახლეში

ცოტა ხნის დასვენების შემდეგ, დილის 11 საათსა და 30 წუთზე პროფ. სამოილოვიჩმა ცოლით და მფრინავმა სტრაუზემ ინახულეს საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. ქართველიშვილი და საქართველოს ცაკის მდივანი ამხ. ი. ვარძიელი.

ამხ. ფ. მახარაძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა ძვირფას სტუმრებს:

„მოხარული ვარ, რომ თქვენ ჩამოხვედით თბილისში. თბილისის მუშები თვალ-ყურს ადევნებდნენ თქვენი ექსპედიციის მუშაობას და დიდათ არიან დაინტერესებულნი თქვენი ნახვით“

შემოუსხდნენ მოზრდილ მაგიდას ამხ. ფილიპეს კაბინეტში. ცოტა ხნის შემდეგ შემოდიან სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. ქართველიშვილი და ცაკის მდივანი ამხ. ვარძიელი.

ჯერ ლაპარაკია იმის შესახებ, რაც სტუმრებმა ნახეს თბილისში და გზაში.

—აქ ძალიან თბილა,—ამბობს პროფ. სამოილოვიჩი,—თითქოს ჯერ ისევ ზაფხულია. სტუმრები ერთხმად გამოსთქვამდნენ გაკვირვებას ჩვენი ქვეყნის ჰავის გამო. გასაკვირველიც არ არის: ყველას პირველად უხდება ყოფნა ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში.

შემდეგ იწყება საუბარი ექსპედიციის მუშაობის შესახებ. პროფ. სამოილოვიჩი ამბობს:

— დღევანდლამდის მონაწილეობა მიმიღია ჩრდილოეთის 14 ექსპედიციაში. მე დიდათ ვარ დაინტერესებული ამ ქვეყნების შესწავლაში, თუმცა ყოველ ექსპედიციას თან სდევს უდიდესი სიძნელენი და ხშირად უბედური შემთხვევები, მაგრამ მე მიყვარს ეს საქმე, რაღაც იდუმალი ძალა მიზიდავს ჩრდილოეთისაკენ.

— საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს არქტიკის შესწავლას. დაარსებულია კიდეც ჩრდილოეთის შემსწავლი ინსტიტუტი. თითქმის ყოველწლიურად იწყობა ექსპედიციები ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ. მხოლოდ, მთელი ეს რთული მუშაობა მიმდინარეობს თითქმის შეუმჩნევლად, რადგან მას არ აქვს არავითარი ეფექტი. ეხლაც, მხოლოდ ასეთმა მოულოდნელმა შემთხვევამ, როგორიც იყო ნობილეს ექსპედიციის კატასტროფა, აალაპარაკა ქვეყნიერება და მიაპყრო მისი ყურადღება ჩრდილოეთის მხარეს.

— შემდეგში როგორია გაქვთ წარმოდგენილი ჩრდილოეთ პოლიუსის გამოკვლევის საქმე? ეკითხება პროფ. სამოილოვიჩს ამხ. ფილიპე.

— ჩრდილოეთ პოლიუსის პრობლემის გადაჭრას აქვს უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა. ამასთანავე ამ პრობლემის გადაჭრაზეა დამოკიდებული მრავალი საკითხი, დაკავშირებული რუსეთის ჰავასთან და ამ ჰავის წინასწარმეტყველებასთან. რუსეთის ჰავა მჭიდროთ არის დაკავშირებული იმ ცვლილებებთან, რომელიც ხდება ჩრდილოეთში და თუ ჩრდილოეთი დაწვრილებით იქნება შესწავლილი, მაშინ შესაძლებელი იქნება ჰავის წინასწარმეტყველება. ამას კი აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა.

დიდი მუშაობა სწარმოებს ჩრდილოეთის შესასწავლად და, ვიტყვი, რომ დღეს თუ არა ხვალ ჩრდილოეთის პრობლემა გადაწყვეტილი იქნება.

საუბარი გადადის „კრასინ“-ზე.

— „კრასინი“—ამბობს პროფ. სამოილოვიჩი,—შეიჭრა ისეთ [illegible], სადაც არ უცურავია ჯერ არც ერთი ქვეყნის გემი.

ჩვენი ექსპედიცია მეცნიერულ საფუძველზე იყო აგებული, ჩვენ გვქონდა წინასწარ შემუშავებული გეგმა, რამაც სასურველად დააგვირგვინა ჩვენი მუშაობა.

ნობილეს ექსპედიციას მიზნად ჰქონდა არა მეცნიერული კვლევა-ძიება, არამედ პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება. ამ ექსპედიციის მონაწილეთა შორის არ არსებობდა არავითარი კავშირი. ეკიპაჟი იყოფოდა ორ კატეგორიად „დაბალნი“ და „მაღალნი“. პირველებს ეკუთვნოდნენ ოფიცრები, მეორეებს კი—ჯარისკაცები.

პროფ. სამოილოვიჩს აძლევენ შეკითხვას, თუ როგორ გადაარჩინა „კრასინმა“ მალგრემის ჯგუფი. პროფ. სამოილოვიჩი დაწვრილებით გვიამბობს ჩუხნოვსკის თავგანწირულ მუშაობის ცაპის და მარიანოს უნუგეშო მდგომარეობას ყინულის ნაპირზე.

იგი გვიამბობს აგრეთვე ნობილეს დირიჟაბლის კატასტროფის მიზეზებს.

— მომავალ ზაფხულზე არქტიკის შემსწავლი საერთაშორისო საზოგადოება აწყობს ექსპედიციას ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ექსპედიციას ექნება უდიდესი მნიშვნელობა.

საუბარმა გასტანა ნახევარ საათზე მეტს.

— თქვენ მიიღეთ მიპატიჟება საზღვარგარეთიდან. აპირებთ თუ არა გამგზავრებას? —ეკითხება ამხ. ფილიპე პროფესორ სამოილოვიჩს.

— ამერიკა დაჟინებით გვეპატიჟება. მივიღეთ მიპატიჟება მრავალ სახელმწიფოების გეოგრაფიული საზოგადოებისაგან. გაჩუმებულია მხოლოდ ინგლისი. ეს გასაგებიც არის. ინგლისური გაზეთები არ აქვეყნებდნენ არავითარ ცნობებს ჩვენი მუშაობის შესახებ და თუ აქვეყნებდნენ—ძალიან ბუნდოვანად, მაგ. „კრასინის“ მიერ მალგრემის ჯგუფის გადარჩენის შესახებ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ „იტალიელები გადაარჩინა ყინულის მჭრელმა“, მაგრამ არ იყო დასახელებული, თუ ვისი იყო, ან რა ერქვა ამ ყინულისმჭრელს.

მთელი ქვეყნის მუშათა კლასი დიდად დააინტერესა „კრასინმა“, მე თვით პირადათ მივიღე 10 ათასზე მეტი წერილი თითქმის ყველა ქვეყნიდან, რომლითაც მოითხოვდნენ გამეგზავნა თუ პასუხი არა საკუთარი ხელის-მოწერა მაინც, თუმცა მძიმე იყო ჩემთვის ეს საქმე, მაგრამ მოთხოვნა ყველა ავასრულე.

წავალთ თუ არა საზღვარ-გარეთ—ეს ჯერ არა გვაქვს გადაწყვეტილი, —ლენინგრადში დაბრუნებისას, სადაც აუარებელი საქმე მოგველის ამ საკითხს ასე თუ ისე მოვაგვარებთ.

საუბარი გათავდა.

სასახლის ბაღში გადავიღეთ სურათი.

კოჯრისაკენ

ავტოები მიჰქრიან კოჯრის გზით.

სტუმრები ათვალიერებენ თბილისის ქუჩებს. პირველად არიან თბილისში და გაფაციცებით ათვალიერებენ ქუჩებს, სახლებს, გამვლელ-გამომვლელებს, აკვირდებიან გლეხების ჩაცმულობას, განცვიფრებაში მოდიან პატარა სახედრებით, რომლებიც დატვირთულნი არიან უშველებელ [illegible] გოდრებით.

გავჩერდით მეხუთე კილომეტრზე. აქედან მშვენივრად მოჩანს მთელი თბილისი.

სტუმრები გაკვირვებულნი არიან თბილისით.

— ლამაზი ქალაქია, სწორედ გითხრათ, არ მოველოდი, თუ თბილისს ექნებოდა ასეთი მიმზიდველი სახე—იძახის მფრინავი სტრაუზე.

სტუმრებს აინტერესებთ ყოველივე შენობა, ყოველი ბაღი, ყოველი ხიდი. ჩვენც ვაცნობთ მათ თბილისს: აი, მუზეუმის ახალი შენობა, ეს ზემოთ სასახლეა, ეს მდინარე მტკვარია, იქით კახეთია—ღვინის სამშობლო.

სტუმრებს არ უნდათ მოაშორონ თვალი თბილისს და მის მიდამოებს, მაგრამ მოგველოდება ზაჰესი, დღე კი პატარაა, მზე მალე დაიმალება.

ნატახტარი, ზაჰესი

რუსთაველის პროსპექტი, ლენინის ქუჩა, საბურთალო..

ავტო მისრიალებს დიღმის ველზე, მივდივართ ნატახტარისაკენ. ზაჰესს და მცხეთას მხოლოდ თვალი გადავავლეთ, მათ ვინახულებთ უკან დაბრუნებისას.

აი, ნატახტარიც. წარწერა „თბილისის ახალი წყალსადენი“.

ინჟინერი ხიზანიშვილი დაწვრილებით აცნობს კრასინელებს ახალი წყალსადენის გეგმას და სამუშაოებს.

— წყაროს წყალი ულევია. დღე-ღამის განმავლობაში ნატახტარი მისცემს თბილისს 5 მილიონ ვედრო საუკეთესო წყაროს წყალს.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ნატახტარში.

სტუმრები დააინტერესა წყლის დიდმა მარაგმა, გაკვირვებაში მოიყვანა წყაროების რიცხვმა, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე გადადგმაზე ხვდება ადამიანს არაგვის პირას.

— იმ შემთხვევაში, თუ მუხრანის წყაროები არ მოგვცემენ წყლის სათანადო მარაგს, გამოვიყენებთ ბულაჩაურის და საგურამოს წყაროებს. ყოველ შემთხვევაში, წყალი ულევია. თბილისს მალე ექნება საუკეთესო სასმელი წყალი—ამბობენ წყალსადენზე მომუშავენი.

გამოვსწიეთ ზაჰესისაკენ.

ინჟინერი კაპელერი დაუზარებლად აცნობს სტუმრებს ჩვენს სიამაყეს, ინდუსტრიის მთავარ ძარღვს, ზაჰესს.

— ზაჰესი საბჭოთა საქართველოს პირმშო შვილია, აგებული საქართველოს მშრომელთა ხელით.

სტუმრები ეცნობიან ზაჰესს, ათვალიერებენ ყოველგვარ წვრილმანს, ყოველ ტურბინას.

ზაჰესი მათზე სტოვებს საუკეთესო შთაბეჭდილებას.

— 18 ათასი ცხენის ძალის ენერგია მიდის თბილისისაკენ ამ მავთულებით. მალე განხორციელდება სურამის უღელტეხილის ელექტრიფიკაცია. თბილისის ყველა ფაბრიკა-ქარხანა ისაზრდოებენ ზაჰესის ენერგიით—ვეუბნებით კმაყოფილ სტუმრებს.

ბინდდება.

გამოვსწიეთ თბილისისაკენ.

მალე შევეჭერით ზაჰესის მიერ განათებულ ქუჩებში.

ეხლა კი შეიძლება დასვენება.

ე ხ—ლი.



მფრინავი სტრაუზე

საუბარი პროფ. სამოილოვიჩთან

ა.-კ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ყინულის მჭრელ „კრასინ“-ის მომავალი ექსპედიციის შესახებ ჩრდილოეთ მიწისაკენ, პროფ. სამოილოვიჩმა შემდეგი განაცხადა:

„მე ვჩქარობ დავბრუნდე ლენინგრადში, რათა მონაწილეობა მივიღო მოსამზადებელ მუშაობაში „კრასინ“-ის ახალი ექსპედიციისათვის.

„კრასინ“-ზე ჩვენ გავემგზავრებით ჩრდილოეთ მიწის გამოსაკვლევად (ციმბირის ხანაპირობები, ტაიმირის ნახევარ კუნძულის ჩრდილოეთით).

საკავშირო სახკომსაბჭოს სპეციალურმა კომისიამ უკვე დაამტკიცა ჩემს მიერ შემუშავებული ექსპედიციის გეგმა. „კრასინ“-ი გადაკეთდება და იმუშავებს ნავთით.

„კრასინზე“ იქნება რამოდენიმე აეროპლანი და ძლიერი რადიო.

თუ ყინულები შესაძლებლობას მოგვცემს, მუშაობას დავამთავრებთ რამოდენიმე თვეში, ე. ი. გავემგზავრებით 1929 წლის ზაფხულში და დავბრუნდებით ამავე წლის ზამთრისათვის. უკიდურეს შემთხვევაში ზამთრის გატარება მოგვიხდება ჩრდილოეთ მიწაზე და უკან დავბრუნდებით მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ. თან წავიღებთ სამი წლის სამყოფ სურსათ-სანოვაგეს.

წინასწარი მუშაობა ექსპედიციის მოსაწყობად უკვე დაწყებულია. ეხლა მიმდინარეობს სათანადო პერსონალის შერჩევა. ექსპედიციაში მიიღებს მონაწილეობას 120 კაცი, აქედან 25 საბჭოთა მეცნიერი.

—:—

ვინ ჩამოვიდა

გუშინ, პროფ. სამოილოვიჩთან ერთად თბილისში ჩამოვიდა პროფ. სამოილოვიჩის ცოლი, მფრინავი სტრაუზე, მეზღვაური პერევოზჩიკოვი და ორი კაჩეგარი: ამხ. ჩირიცინი და ნიკოლაევი.

მიტინგები ფაბრიკა-ქარხნებში

დღეს, პრ. სამოილოვიჩის და მფრინავ სტრაუზეს მონაწილეობით მოეწყობა მიტინგები შემდეგ ფაბრიკა - ქარხნებში: 10 ნახევ. საათზე — 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში. 2 საათზე — როზა ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ქარხანაში, 3 საათზე — ტრამვაის და რკინის გზის სახელოსნოებში.

ტრამვაელებს ესტუმრება ამხ. სტრაუზე, რკინისგზელებს პროფ. სამოილოვიჩი.

თბილისის გაცნობა

დღეს კრასინელები გაეცნობიან სახ. უნივერსიტეტს, წიგნთსაცავს, მუზეუმს, სამხატვრო აკადემიას და თბილისის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

კრასინელები ეკრანზე

კრასინელების გამგზავრება ნატახტარ-ზაჰესის დასათვალიერებლად გადაღებულ იქნა სახკინმრეწვის კინო-ოპერატორის მიერ.

საზეიმო სხდომა

დღეს, საღამოს 8 საათზე, სახ. ოპერაში შესდგება საზეიმო სხდომა კრასინელების პატივსაცემად.

სხდომას გახსნის ამხ. ფ. მახარაძე. მისასალმებელ სიტყვებს წარმოსთქვამენ პარტიულ, კომკავშირის, პროფსაბჭოს, თბილისის გარნიზონის, სამეცნიერო მუშაკთა სექციის და ავიაქიმის უჯრედების წარმომადგენლები.

ექსპედიციის მონაწილეებს მიესალმებიან საქ. და ა.-კავკასიის მთავრობების წარმომადგენლები.

სტუმრათ ბათომში და ერევანში

18 ნოემბერს, საღამოს 9 ს. 35 წუთზე, პროფ. სამოილოვიჩი გაემგზავრება ბათომში, სადაც გააკეთებს მოხსენებას „კრასინი“-ს ექსპედიციის შესახებ.

ამავე დღეს მფრინავი სტრაუზე გაემგზავრება ერევანში.

ბათომიდან და ერევნიდან დაბრუნების შემდეგ კრასინელები [illegible] გზით გაემგზავრებიან კავკასიაში.

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა განძეულობის აუქციონის გამო

ბერლინი, 15 ნოემბერი. იურისკონსულტი ლეპკეს საუქციო სახლისა, სადაც წარმოებს ბერლინში არსებულ საბჭოთა განძეულობის გაყიდვა, „ბერლინერ ტაგებლატ“-ში აცხადებს, რომ სასამართლო პალატამ, რომელმაც დაადგინა სასამართლოს აღმსარულებლებისათვის დეპოზიტში გადაეცა ვითომ თავად ფაბიშა—კასტომანოვის კუთვნილი ძვირფასი ნივთები, საქმე იშვიათის სისწრაფით გაარჩია და ხიჩუმით გვერდი აუარა გერმანიისა და უცხოეთის სასამართლოების მრავალ დადგენილებას, რომელიც ძირიან-ფესვიანად უარჰყოფს პალატის მიერ შეთვისებულ თვალსაზრისს. (ადს).

ჟანდარმების დაპატიმრება

შანხაი, 15 ნოემბერი. გაზეთების ცნობით, კანტონში დაპატიმრებულ კომუნისტებს აღმოაჩნდა კომპარტიის წევრთა სია, რომელშიაც არის ჟანდარმერიის რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწეც. ამის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა ჟანდარმების 120 წარმომადგენელი. ხელისუფლებამ დაადგინა, თუ მართლა დამტკიცდა, რომ დაპატიმრებულნი კომუნისტები არიან, დაუყოვნებლივ დახვრიტონ ისინი.

ბრანდლერის აშკარა ლიკვიდატორული საქმიანობა

ბერლინი, 15 ნოემბერი. დღითი დღე უფრო და უფრო აშკარა ხდება ლიკვიდატორული საქმიანობა, რომელიც ტარდება ბრანდლერისა და ტალგეიმერის ხელმძღვანელობით ეგრედ წოდებულ „სპარტაკელთა კავშირი“-ს ორგანიზაციის მომზადებასთან დაკავშირებით. „სპარტაკელთა კავშირის“ შექმნა განზრახულია დეკემბერში, გერმანიის კომპარტიის არსებობის ათი წლის თავის გამო. ამ კავშირის მოწყობის მიზნით მოხდა მემარჯვენე ფრაქციის რამდენიმე კრება ბერლინში, ხემნიცსა და ოფენბახში. როგორც „როტე ფანე“ აღნიშნავს, ფრაქციის კრებებზე დამსწრეთა მცირე რიცხვი ამტკიცებს, რომ ბრანდლერის ჯგუფს უფრო მცირე ნაწილი ემხრობა, ვიდრე თავის დროზე ემხრობოდა ულტრა-მემარცხენეებს. ამ ჯგუფების კავშირი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოებთან იმის მომასწავებელია, რომ ახალი „ლევის ჯგუფის“ (მემარჯვენე ჯგუფი, რომელიც 1921 წელს კომპარტიას ჩამოშორდა და მცირე ხნის შემდეგ სოციალ-დემოკრატიას შეუერთდა) გადასვლა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში უფრო ადვილად მოხდება. რადგანაც მემარჯვენეთა ხელმძღვანელები მთელს გერმანიაში ავრცელებენ დაბეჭდილი ბროშიურის სახით მოწოდებას კომინტერნის აღმასკომისადმი, გერმანიის კომპარტიის ცეკამ დაადგინა პასუხისგებაში მისცეს მოწოდებაზე ხელის მომწერნი ვალხერი, კელერი, ფრელიხი და სხვები. სანამ საქმე გაირჩევა, ხსენებული ამხანაგები ჩამოშორებულნი იქნებიან ყოველგვარ პარტიულ მუშაობას (ადს).

ლოკაუტ-გამოცხადებულთა მდგომარეობა

ბერლინი, 15 ნოემბერი. თანდათან უფრო და უფრო ფართოვდება მოძრაობა ლოკაუტ-გამოცხადებულ რაიონში ბრძოლის ხელმძღვანელად საკუთარი კომიტეტების ამოსარჩევად. ამ მოძრაობაში მემალაროეები ჩაებნენ. გუშინ ბეკერვერტისა და ესენის მაღაროებში მემალაროეებმა ბრძოლის სახელმძღვანელოდ ამოირჩიეს საკუთარი კომიტეტი. ეს პირველი კომიტეტია, რომელიც მემალაროეთა ბრძოლას უხელმძღვანელებს, ლოკაუტ-გამოცხადებულთა მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. ძირითადი მასა, რომელიც პროფკავშირებში არაა დარაზმული, იძულებულია დაკმაყოფილდეს იმ 90 პფენიგით (40 კაპიკამდე), რომელიც დახმარების სახით მათ ეძლევათ მუნიციპალიტეტთა საქველმოქმედო ფონდებიდან—ორ დღეში ერთხელ. ზოგიერთი მუნიციპალიტეტები აცხადებენ, რომ მათი საქველმოქმედო ფონდები უკვე ამოიწურა. მიუხედავად სოციალ-დემოკრატიული პრესის სისინისა და რეფორმისტების მოწოდებისა, რომ არც ერთი პფენიგი არ იქნას შემოწირულების სახით გაღებული, მუშათა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოების მიერ მოწყობილ შემოწირულებათა შეგროვებას კარგი შედეგები მოჰყვა. დღეიდან მუშათა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოება ყოველდღიურად იძლევა 20.000 სადილს, გარდა იმ დახმარებისა, რომელსაც იგი უწევს ბავშვებს. მუშათა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოება ატარებს კამპანიას რომ ლოკაუტ-გამოცხადებულთა ბავშვები გადაგზავნილ იქნან მახლობელ რაიონებში, რომელთაც ლოკაუტი არ შეხებია. ბავშვთა გაგზავნა ესენიდან ამ დღეებში დაიწყება. (ადს).

კენიგსბერგის მნიშვნელობა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობისათვის

კენიგსბერგი, 15 ნოემბერი. ქალაქის ობერბურგომისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის უშუალო საზღვრის მოსპობამ გააუარესა მდგომარეობა კენიგსბერგისა, რომელიც აქამდე უმნიშვნელოვანესი ნავთსადგური იყო რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ურთიერთობისათვის. (ადს).

ბურჟუაზიის ქალდატანება

რიგა, 15 ნოემბერი. ხეიმის გახსნის შემდეგ გაძლიერდა ბურჟუაზიის კამპანია სავადმყოფო სალაროების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული გაზეთები მოითხოვენ, რომ სალაროების მართვის საქმე გადაეცეს მწარმოებლებსა და სახელმწიფოს და აგრეთვე მოისპოს სახელმწიფოს მიერ ფულის შეტანა სალაროებში. ლატვიის მუშები ბურჟუაზიის კამპანიის საპასუხოდ მთელს სახელმწიფოში ფართო საპროტესტო მიტინგებს აწყობენ. (ადს).

ხანძარი ტყიბულის ტყეში

(ტელეგრაფით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 15 ნოემბერი. დღეს, საღამოს 8 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა სახელმწიფო ტყეს ტყიბულიდან სამი კილომეტრის დაშორებით. საფრთხე მოელის სოფელ ბზიორს და სატყეო ტრესტის მასალებს. ცეცხლის ჩასაქრობად ქუთაისიდან სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ სახანძრო რაზმი და მესანგრე ასეული.

გაფრთხილება გერმანელ კაპიტალისტებს

გერმანიის პრესა „ამტორგ“-ისა და ელექტრონის გენერალური კომპანიის შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ

ბერლინი, 14 ნოემბერი. „კელნიშე ცეიტუნგ“-ის მოსკოველი კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს ხელშეკრულებას, რომელიც „ამტორგ-სა და ელექტრონის გენერალური კომპანიას შორის დაიდო და ამ ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირის დიდ წარმატებას უწოდებს. კორესპონდენტის აზრით, ეს ხელშეკრულება „იმის მომასწავებელია, რომ ორი ქვეყნის შორის აღდგენილი იქნება პოლიტიკური ურთიერთობა“. ელექტრონის გენერალური კომპანიის მხრივ უარის თქმა კუთვნილი ქონებისათვის კომპენსაციის მიღებაზე კორესპონდენტს მიაჩნია მეტად საყურადღებო გარემოებად, რომელიც ღირსია იმისა, რომ მას ყურადღება მიაქციონ გერმანიის საბანკო წრეებმა, რომელნიც კრედიტების საერთაშორისო კომიტეტს შეუერთდნენ. კორესპონდენტი იხილავს „ამტორგ“-ის ხელშეკრულებას გერმანიის ინტერესების თვალსაზრისით და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამერიკიდან საბჭოთა კავშირში ელექტრონის მანქანების შემოზიდვა გავლენას მოახდენს ამ მანქანების შემოზიდვაზე გერმანიიდანო. (ადს)

საფაროვის, ვარდინის, თარხანოვის და ნაუმოვის აღდგენა საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში

მოსკოვი, 15 ნოემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიამ, მიიღო მხედველობაში ის გარემოება რომ საფაროვმა, ვარდინმა, თარხანოვმა და ნაუმოვმა გააკეთეს განცხადებები, რომლებშიაც აღიარეს თავიანთი პრინციპიალური შეცდომები, გამოემიჯნენ ტროცკისტების პოზიციას, დაჰგმეს ტროცკისტული ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა, შესწყვიტეს ეს მუშაობა და განაცხადეს, რომ სავსებით ემორჩილებიან საკავშირო კომპარტიის (ბ) და კომინტერნის ყველა გადაწყვეტილებას; საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიამ დაადგინა, აღადგინოს ხსენებული პირები საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში და აღნიშნოს მათ პირად საქმეებში და პარტბილეთებში, რომ გამორიცხვის დღიდან 1928 წლის 9 ნოემბრამდე ისინი პარტიაში არ ირიცხებოდნენ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის პარტკოლეგიის მდივანი **იაროსლავსკი.**

მოსკოვი.

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„უკრაინელთა უნივერსიტეტი პოლონეთში არის ციხე“

მოსკოვი, 15 ნოემბერი. „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს შემდეგს:

ლვოვის უკრაინულ კულტურულ დაწესებულებათა დარბევამ, რომელიც პოლიციის დახმარებით მოაწყო პოლონელ ფაშისტურ სტუდენტობამ, იმდენად დიდი აღშფოთება გამოიწვია, რომ ინტერესი ამ იშვიათ უმზგავსოებისადმი დღემდე არ დამცხრალა. განსაკუთრებით ცხოველი კამათი გამოიწვია ლვოვის ამბებმა სეიმში.

დეპუტატ ბაგინსკიმ თავის მგრძნობიერ სიტყვაში, სხვათა შორის, განაცხადა, რომ პოლონეთში მცხოვრებ უკრაინელებისათვის უნივერსიტეტი არის ციხე. ამ „უნივერსიტეტიდან“ გამოვლენ მომავალ პოლონეთის სახელმწიფოს საუკეთესო მშენებლები“-ო. ბაგინსკის სიტყვამ უდიდესი გავლენა მოახდინა ვარშავის პოლიტიკურ წრეებში.

არანაკლებ დაუნდობელი იყო დეპუტატ ბიტნერის სიტყვა, რომელმაც პოლონეთს უწოდა „უდიდესი ციხე“.

მიუხედავად ამისა, სეიმმა ხმის უმრავლესობით უარყო პოლიტიკურ ამნისტიის პროექტი.

კაპიტალური მშენებლობა ამიერ-კავკასიაში

3.450 ათასი მანეთი ელექტროფიკაციისათვის

მოსკოვი, 16 ნოემბერი. საკავშირო საგეგმო კომისიამ საბოლოოდ და დეტალურად განხილვის შემდეგ დაამტკიცა კაპიტალურ მშენებლობის გეგმა 1928-29 სამეურნეო წლისათვის. ამიერ-კავკასიაში კაპიტალური მშენებლობა გათვალისწინებულია 28,97 მილიონ მანეთის რაოდენობით. ამ მიზნით საბიუჯეტო-საფინანსო ფონდიდან ამიერ-კავკასია მიიღებს 24,5 მილიონ მანეთს.

გარდა ამისა ამიერ-კავკასიის კაპიტალურ-მშენებლობის გეგმიდან გამოკლებულია აღმშენებლობის ზოგიერთი ობიექტები, რომელთა ნაცვლად მეტი ყურადღება ექცევა მეთევზეობის მრეწველობის გაფართოებას. გეგმიდან გამოკლებულ ობიექტებისათვის გადადებული თანხა მოხმარდება მეთევზეობის მრეწველობის გაძლიერებას.

ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის საჭიროებისათვის საბიუჯეტო ფონდიდან გაგადებულია 3.450 ათასი მანეთი.

შავი ზღვის რკ.-გზა უნდა დამთავრებულ იქნას

მოსკოვი, 16 ნოემბერი. „იზვესტია“-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია ვრცელი წერილი შავი ზღვის რკინის გზის მნიშვნელობის და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. წერილის ავტორი აღნიშნავს, იმ დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელიც აქვს შავი ზღვის რკინის გზის დასრულებას.

ეს გზა დიდათ შეამცირებს მანძილს ცენტრსა და ამიერ კავკასიის შორის, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საექსპორტო ოპერაციებისა და საკურორტო მშენებლობის განვითარებისათვის. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით დასრულებულ იქნას შავი ზღვის რკინის გზის აღმშენებლობა.

3 მილიონი სასტუმროების აგებისათვის

მოსკოვი, 16 ნოემბერი. სასტუმროების მშენებლობის საქმე უკანასკნელ წლების განმავლობაში მეტად მოიკოჭლებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ამიერ-კავკასიაში, კერძოდ საკურორტო ქალაქებში. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ცენტრალურმა კომუნალურმა ბანკმა გადასდო სამი მილიონი მანეთი, რომლის დიდი ნაწილიც მოხმარდება საკურორტო ქალაქებისა და პუნქტების საჭიროებას.

ახალგაზრდათა შორის მომუშავეთა კონფერენცია

პირველი დღე

გუშინ საღამოს გაიხსნა ახალგაზრდათა შორის მომუშავეთა კონფერენცია, რომელსაც ესწრებიან საქართველოს მაზრების და ავტონომიური რესპუბლიკების პროფორგანიზაციათა წარმომადგენელნი. კონფერენციის დღის წესრიგი შეიცავს შემდეგ საკითხებს: 1) პროფორგანოების მორიგი ამოცანები საწარმოთა მუშაობა და თვითკრიტიკასთან დაკავშირებით, 2) ახალგაზრდათა შორის მუშაობა პროფკავშირებში, 3) პროფტექნიკური განათლება სამეურნეო განვითარების ხუთწლიან გეგმასთან შეფარდებით, 4) მუშათა კლუბებთან არსებულ ჭაბუკთა სექციის მუშაობა.

პირველ საკითხზე კონფერენციამ მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის

ამხ. მაჩაიძის მოხსენება

როგორც მოზრდილებში, ისე ახალგაზრდობაში პროფმუშაობა ორი ამოცანის გადაჭრას ისახავს მიზნად: მუშათა ნივთიერი მდგომარეობის, მათი შრომის პირობების გაუმჯობესებას და მეორე მხრივ ღონისძიებების გატარებას თვით წარმოების გაძლიერებლად და განსამტკიცებლად. ამ ორი ამოცანის გადაჭრა ნიშნავს ერთი საქმის გაკეთებას. ეს არის ჩვენი მშრომელი მასის ნივთიერი და კულტურ. კეთილდღეობის ამაღლება, რაც წარმოუდგენელია, თუ ჩვენი წარმოება, მუშათა ფართო მასების შემკავშირებელ პროფორგანოების, ყურადღების გარეშე დარჩა მუშათა ნივთიერი მდგომარეობა ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწევს წინ, თუ საწარმო, სადაც ისინი მუშაობენ ერთ წერტილზე გაიყინა არასოდეს არ წარმოადგენდა პროფორგანოების ყურადღების საგანს ჩვენი წარმოების მდგომარეობა ისე როგორც ეხლა, როდესაც მთელი ჩვენი მეურნეობა რეკონსტრუქციის პერიოდში იმყოფება. პროფორგანოების ძირითადი ამოცანაა აქტიური მონაწილეობა ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში.

რა გზით, რა საშუალებით ტარდება მუშათა მონაწილეობა ჩვენს საწარმოო ცხოვრებაში? ჩვენმა პროფმოძრაობამ გამოიმუშავა თავისი მეთოდი: ეს არის საწარმოო თათბირი. თუ პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაა, საწარმოო თათბირი მუშათა აღზრდის, მათი მომზადების საუკეთესო მეთოდია. საწარმოო თათბირებზე მუშები ეცნობიან წარმოების საერთო მდგომარეობას, უზიარებენ ერთიმეორეს გამოცდილებას, იხილავენ და არკვევენ შემჩნეულ ნაკლოვანებებს, ამუშავებენ საერთო ღონისძიებებს წარმოების გასაუმჯობესებლად და სხვ. საწარმოო თათბირები ჩვენს წარმოებებში დიდი ხანია შემოღებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ისინი ვერ იძლევიან იმ ნაყოფს, რომლის მოტანა მათ შეუძლიათ, თუ სათანადოთ იქნებიან მოწყობილი. არის საწარმოები, სადაც საწარმოო თათბირების სხდომა სამ თვეში ერთხელაც არ ხდება, ხოლო ხშირად იქ, სადაც იმართება, თათბირის დღის წესრიგი არ შეიცავს წარმოებისათვის აქტუალურ საკითხებს. ამ გარემოების მიზეზი აუცილებლად თვით საქარხნო კომიტეტები, ადგილკომები და კავშირის ცენტრალური გამგეობებია, რომელთაც ჯერ კიდევ ნათლად გათვალისწინებული არა აქვთ საწარმოო თათბირების მნიშვნელობა. საწარმოო თათბირებში ახალგაზრდობის მონაწილეობა სუსტია. ეს თათბირის უდიდესი ნაკლია, რადგან ახალგაზრდობას საწარმოო თათბირებში მონაწილეობით უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. ახალგაზრდობას შეიძლება დიდი სტაჟი, გამოცდილება არ ჰქონდეს, მაგრამ აქვს დიდი შრომის უნარი, ხალისი, და ენტუზიაზმი, რომელიც შეიძლება არა ნაკლებ იქნეს გამოყენებული ჩვენი წარმოების გასაუმჯობესებლად. თათბირიმა ახალგაზრდობა უნდა შეაჩვიონ ზრუნვას თავის საკუთარ წარმოებაზე, მის გაუმჯობესებაზე. ამიტომ ახალგაზრდობის თაოსნობას, მის ჩაბმას და აქტიობას საწარმოო მუშაობაში ამიერიდან უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და ბოლოს უნდა მოიღოს იმ [illegible], რომელსაც პროფორგანოები და სამეურნეო ორგანოები იჩენენ ახალგაზრდობის მიმართ. როცა საქმე მათ საწარმოო თათბირებში მონაწილეობას შეეხება.

მეორე საკითხი, რომელსაც ახალგაზრდობისათვის აქტუალური მნიშვნელობა აქვს ეს არის პროფტექნიკური მომზადება ახალგაზრდობიდან. ახალგაზრდობა ხანში შესულ მუშების შემცვლელი თაობაა. პროფესიონალური მუშაკები უმთავრესად უნდა მომზადდენ ჩვენი ახალგაზრ. რადგან ჩვენი მუშების ძველი თაობა წარმავალია და მას შემცვლელი სჭირდება. თუ ამას ამთავითვე არ მიექცევა ყურადღება, ჩვენი პროფმუშაობა წინ ვერ წაიწევს და შეფერხდება. ამიტომ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება უფრო მეტი ახალგაზრდობა იქნეს დაწინაურებული პროფმუშაობის ხაზით. არ უნდა დავტოვოთ არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენ პროფესიონალურ მოძრაობაში, რომ ის არ გავხადოთ ახალგაზრდა მშრომელთა მსჯელობის საგნათ. კავშირები ხშირად ადგილებზე აგზავნიან სხვადასხვა სადირექტივო წერილებს, რომელთაც არა თუ არ აცნობენ ახალგაზრდობას, არამედ მათ არ კითხულობენ თვით ისინი, ვისაც ამ ახალგაზრდებს შორის მუშაობა აქვს მინდობილი. ცხადია, ამ გზით ჩვენი ახალგაზრდობა ერთ ნაბიჯსაც ვერ წარსდგამს წინ.

რაც შეეხება კულტურულ მუშაობას ახალგაზრდობაში, ამ მხრივ წარმატებას აქვს ადგილი. თუ წინეთ ჩვენი მუშათა კლუბები ახალგაზრდობის დროის გასატარებელ, თითქმის ამ ახალგაზრდა ხულიგნების საკრებულოს წარმოადგენდა, ეხლა კლუბები უკვე ნამდვილი კულტურული მუშაობის კერათ არიან ქცეულნი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ნაკლოვანებები არ ჰქონდეს. ხშირად კლუბებთან მოწყობილია რამოდენიმე წრე, რომელნიც სრულ უმოქმედობას იჩენენ, და მათ არსებობას მხოლოდ კედელზე გაკრული წარწერები თუ გვატყობინებენ. აუცილებლად საჭიროა წრეების მუშაობის გამოცოცხლება და ამ საქმეში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა.

ამ უკანასკნელ წლებში ვითარდება აგრეთვე ფიზკულტურაც, რომელიც თანდათან მეტ ახალგაზრდობას იზიდავს. უნდა ვეცადოთ, რომ ფიზკულტურამ არ მიიღოს მავნე განხრა, რისთვისაც იგი საჭიროა წარმოადგენდეს არა ნებაყოფლობით, დამოუკიდებელ ორგანიზაციას, არამედ პროფმუშაობის ერთ-ერთ დარგთაგანს.

როცა პროფმუშაობის მორიგ ამოცანებს ვეხებით, შეუძლებელია გვერდი ავუხვიოთ თვითკრიტიკის საკითხს, რომელიც დღეს პროფკავშირებში გაერთიანებულ მასის ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს, თვითკრიტიკა თანდათან ფართოვდება იგი ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგზე ვრცელდება. ჩვენს სამეურნეო დაწესებულებების ზოგიერთ მუშაკებს ეს არ მოსწონთ და მოითხოვენ მის შეზღუდვას, თვითკრიტიკა არა თუ უნდა შევზღუდოთ, არამედ კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ მაგრამ საჭიროა დიდი პასუხისმგებლობა თვითკრიტიკის დროს. იგი არასოდეს არ უნდა წარმოადგენდეს კერძო ინტერესების გასწორების საშუალებას. კრიტიკა უნდა ემყარებოდეს მდგომარეობის შესწავლას, საფუძვლიანად აწონილ ფაქტებს; მხოლოდ ასეთ სახის კრიტიკას აქვს ფასი. ახალგაზრდობა, რომელსაც ახასიათებს გამბედაობა და პირდაპირობა, ერთიორად გაადიდებს თავის როლს, თუ იგი თვითკრიტიკის დროს სრულ შეგნებით და პასუხისმგებლობით შეისწავლის თავის საწარმოს ნაკლოვანებებს და ამას მიხედვით პირუთვნელ მსჯავრს დასდებს საწარმოს ხელმძღვანელთა საქმიანობას.

კამათი.

ამხ. მაჩაიძის მოხსენების გარშემო დაიწყო კამათი.

ამხ. მელიქოვი (აფხაზეთი)

ამბობს, რომ საწარმოო თათბირებმა ვერ მოაგვარეს მუშაობა, რომელიც ხშირად კაზიონურ ხასიათს ატარებს. მათ არა აქვთ მუშაობის გეგმა, რის გამოც დღის წესრიგი უმნიშვნელო წვრილმან საკითხებს შეიცავს. ახალგაზრდობათა შორის მუშაობა მხოლოთ შრომის დაცვის დარგით განისაზღვრება. ისიც კი არ არის გამორკვეული, თუ პროფმუშაობაში რამდენი ახალგაზრდაა ჩაბმული.

ამხ. აფხაზავა

ჩვენი საწარმოო თათბირების მუშაობა არაფრად არ ვარგა. კაი საქმეა, თუ სამ თვეში ერთხელ შეიკრიბენ. დღის წესრიგი შემთხვევითი ხასიათის ატარებს. მიზანშეწონილი იქნება, თუ მოეწყობა წარმოების შემსწავლელი სექცია ახალგაზრდობისაგან.

ამხ. დავლიანიძე

ახალგაზრდა პროფმუშაკთა რიცხვი არ შეეფარდება ჩვენ საწარმოო-დაწესებულებაში მომუშავე ახალგაზრდობის რაოდენობას. ადგილობრივ ახალგაზრდათა შორის მუშაობას არ ექცევა ყურადღება. არ ვარგან ხელმძღვანელები. ახალგაზრდობა იმდენად დატვირთულია, რომ კულტმუშაობისათვის დრო არ რჩება.

ამხ. სიმონიშვილი (თბ. არსენალი)

საწარმოო თათბირები არაფერს არ აკეთებენ. იშვიათად შეიკრიბებიან, შეადგენენ ოქმს, რომელიც არასოდეს არ სრულდება. საკონტროლო კომისიები მოუმზადებელი არიან, არ იციან თუ როგორ მოიქცენ და რა აკეთონ.

ამხ. მურაზიშვილი (გორი)

ჩვენი მაზრიდან ხშირათ იწერება წერილები პროფმუშაობის უარყოფითი მხარეებზე. მაგრამ წერილები ვერავითარ გამოხმაურებას ვერ პოულობს და ამგვარათ თვითკრიტიკას ყოველგვარი აზრი ეკარგება. მუშათა კლუბები კინოებად და თეატრებად გადაიქცენ და სხვა საწრეო მუშაობას ყურადღება არ ექცევა.

ამხ. ლეკვეიშვილი (საგზაო კომიტეტი)

ახალგაზრდათა დაწინაურება საწარმოო პროფესიონალური ხაზით არ წარმოებს. დიდი ამბავია, თუ ახალგაზრდა მუშამ საუბნო კომიტეტის მდივნობამდი მიაღწია, მაგრამ აქაც დიდხანს არ აჩერებენ და რამოდენიმე თვის შემდეგ სრულიად უსაქმოდ სტოვებენ. ორატორი მოითხოვს კურსების მოწყობას იმ ახალგაზრდებისათვის, რომელნიც საწარმოებში შავ მუშაობას ეწევიან.

ამხ. მხეიძე (აჭარისტანი)

დაწინაურებას ახალგაზრდობა ჯერ-ჯერობით ვერ იღირსა ახალგაზრდათა შორის მუშაობა მოისუსტებს, რადგან ამ დარგში მომუშავეებს სხვა საქმეებიც აწევს კისერზე. ახალგაზრდა მუშების საბინაო პირობები ძალიან ცუდია.

ამხ. [illegible] (ხელოვნ. მუშ. კავშ.)

ახალგაზრდობაში ფიზკულტურა ვერ ვითარდება, რადგან სავარჯიშო დარბაზები ძალიან ცოტაა. ხშირად ღამის 11 საათამდე გვიხდება ლოდინი, ამგვარად ის, ვინც ფიზკულტურას მისდევს, იგი კლუბებში სიარულის საშუალებას მოკლებულია.

ამხ. ლაზარევი

ახალგაზრდობის დაწინაურების საქმეში ფაქტიურად არაფერი არ კეთდება.

ფიზკულტურისათვის საჭიროა ცალკე დაქირავებული მუშაკი. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფიზკულტურულ მუშაობას მოჯამაგირეებს შორის.

ამხ. ბაგდასაროვი (თბ. არსენალი)

არსენალის სამქროებში მუშაობენ საქარხნო სკოლებში კურსდამთავრებულნი, რომელთა წინ წაწევას ყურადღება არ ექცევა. ისინი წლობით არიან მიმაგრებულნი ერთ და იმავე კატეგორიაზე. ეს აიხსნება იმით, რომ ახალგაზრდები ქარხნებში ოსტატებს შვილებათ და გერებათ ჰყავთ დაყოფილი.

ამხ. თავართქილაძე (აჭარისტანი)

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ მუშაობას წერა-კითხვის მცირემცოდნე ახალგაზრდებს შორის, რომლებიდანაც უნდა მომზადდენ პროფესიონალური მუშაკები. ვეცადეთ ცალკე საკვირაო კურსების მოწყობა, მაგრამ პროფკავშირიდან ფული ვერ მივიღეთ.

ამხ. დანილევიჩი (თბ. მთ. სახელოსნოები)

საწარმოო თათბირები ახალგაზრდების მიერ შეტანილ წინადადებებს ყურადღებას არ აქცევენ იყო შემთხვევა, როცა ახალგაზრდების მიერ შეტანილ წინადადებებით შეიძლებოდა ხარჯების დიდათ შემცირება, მაგრამ ასეთები არ მიიღეს, მხოლოდ იმის გამო, რომ ახალგაზრდების მიერ იყვნენ შეტანილი. სახალხო მსაჯულებს ახალგაზრდობიდან არ ირჩევენ. არ ექცევა ყურადღება ახალგაზრდათა დაწინაურებას არც პროფესიული, არც სამეურნეო ხაზით.

ამხ. ბაბაევი (სამხრეთ-ოსეთი)

ახალგაზრდათა შორის მომუშავენი მოუმზადებელნი არიან. ისინი ვერც კულტურულ და ვერც ეკონომიურ მუშაობას ვერ აწარმოებენ. ადმინისტრაციის წარმომადგენლები საწარმოო თათბირებს არ ესწრებიან.

ამხ. ცხოვრებაშვილი

ახალგაზრდათა შორის მომუშავენი ძალიან დატვირთულნი არიან. კვალიფიციურ ახალგაზრდა მუშებს, რომელთაც სპეციალური სასწავლებელი აქვს დასრულებული, ეძლევათ უმნიშვნელო ხელფასი.

ამხ. გველესიანი (შორაპნის მაზრა)

ყურადღება უნდა მიექცეს კერძო ხელოსნებთან მომუშავე შეგირდებს, რომელნიც მის ნაცვლად, რომ მიიღონ ხელფასი გაწეული შრომისთვის, თვით იხდიან სწავლის ფულს.

ამით დამთავრდა კამათი ამხ. მაჩაიძის მოხსენების გარშემო. თავის საბოლოო სიტყვაში მაჩაიძემ დასკვნა გაუკეთა ორატორთა სიტყვებს და პასუხი გასცა ზოგიერთ სადაო საკითხებზე.

ღონისძიებანი კომუნალური მეურნეობის გასაფართოებლად

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მოსახლეობისათვის კომუნალურ სამსახურის გასაფართოებლად და კომუნალურ გადასახადების შესამცირებლად ყველა კომუნალურ წარმოებაში ჩატარებული იქნეს რაციონალიზაცია და სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ამ წარმოება-დაწესებულებებში ბიუროკრატიზმს.

ვინაიდან კომუნალურ მეურნეობის ძირითადი კაპიტალის ზრდა საგრძნობლად ჩამოუვარდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგთა ძირითად კაპიტალის ზრდას, თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მიმდინარე საბიუჯეტო წელში კომუნალურ წარმოებებს დაეტოვოს თავიანთი შემოსავალი ძირითადი თანხების გასაძლიერებლად და მუშაობის გასაფართოებლად მიეცეთ მათ გრძელვადიანი სესხი ბანკიდან.

დიდ კომუნალურ წამოწყებების მოსაწყობათ თბილისის აღმასკომს მიზანშეწონილად მიაჩნია კონცესიის საშუალებით გაყვანილი იქნეს კოჯორის ტრამვაი, აგებული იქნეს გაზის ქარხანა, ბალნეოლოგიური სადგური და სხვა.

წინადადება მიეცა კომუნალურ წარმოებას მიმდინარე წელში გააფართოვოს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი და დაიწყოს ახალი წყალსადენის აგება. გააძლიეროს ქუჩების შეკეთება, განაპირა უბნებში გაიყვანოს ტრამვაის ახალი ხაზები და მოაწყოს ახალი ბაღ-სკვერები, კომუნალური დახმარება პირველ რიგში გაუწიოს მუშებს, მიიღოს ენერგიული ზომები ქალაქში სანიტარული პირობების დასაცავად და ამ მიზნით ქალაქის რამდენიმე რაიონში გახსნას საზოგადო სამრეცხაოები, მოაწყოს ნაგვის საწვავი ღუმელები და სხ.

საბინაო კრიზისთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გაძლიერებული იქნეს საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი ფონდი და სესხი. წინადადება მიეცეთ სამეურნეო ორგანოებს საბინაო ფონდში გადარიცხული თანხები სავსებით გამოიყენონ საბინაო მშენებლობისათვის.

მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა ახალი სახლების აგება არ დაიწყოს პროექტების და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებამდე. ახალ სახლების აგების საქმეში შემოღებული უნდა იქნეს პერსონალური პასუხისმგებლობა და ამავე დროს მიღებული უნდა იქნეს ზომები სააშენებლო მასალის ღირებულების მაქსიმალურად გასაიაფებლად.

კომუნალურ განყოფილებას დაევალა აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წელს კომუნალურ მშენებლობის საქმეს მაზრაში.

პრეზიდიუმმა დაადგინა შრომის ნაყოფიერების აწევისა და კომუნალურ წარმოებებში რაციონალიზაციის ჩატარების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საწარმოო თათბირებს და მათ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას. ამავე მიზნით პრეზიდიუმმა კომგანყოფილებას დაავალა ხელი შეუწყოს კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადებას და სხვ.

პარტიაში

არც ერთი ნაბიჯი უკან მე-XV პარტყრილობის დადგენილებებიდან

მემარჯვენე გადახრა წინადაც არსებობდა, მაგრამ წვრილ-ბურჟუაზიული გავლენის გაძლიერების გამო მან ეხლა უფრო მძლავრად იჩინა თავი.—შევამჭიდროვოთ პარტიის რიგები ახალი საფრთხის წინააღმდეგ.—სასტიკი ბრძოლა ნაციონალისტურ-შოვინისტურ ტენდენციებთან

მემარჯვენე საფრთხე და მასთან ბრძოლა

ამხ. რუბენის მოხსენება

ქალაქის რაიონის გაფართოებულ პლენუმზე

მემარჯვენე გადახრანი წინად

ამხანაგებო, მემარჯვენე საფრთხის საკითხი ჩვენს პარტიაში დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი პარტიის თვითეული წევრის მიერ. პარტიულმა მასებმა კარგად უნდა შეითვისონ მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის საშიშროება.

მემარჯვენე საფრთხის არსებობა პარტიაში არ არის ახალი მოვლენა. ასეთი საფრთხე მუდამ იჩენდა თავს სწორედ მაშინ, როდესაც პარტიას გადასაწყვეტი ჰქონდა ესა თუ ის მნიშვნელოვანი საკითხი. მე არას ვიტყვი ოქტომბრის რევოლიუციამდე ჩვენს პარტიაში არსებულ მემარჯვენე საფრთხის შესახებ. მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდგომი პერიოდიდან.

ოქტომბრის რევოლიუციის დღეებში, როდესაც პარტიის წინაშე დასმული იყო ამოცანა ხელისუფლების შენარჩუნების და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შესახებ, პარტიაში თავი იჩინა მემარჯვენე საფრთხემ და პარტიამ განიცადა მძლავრი მერყეობა.

ასეთივე საფრთხის წინაშე იდგა პარტია ბრესტის ზავის დადების პერიოდში, როდესაც ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგი მოითხოვდა ზავზე ხელისმოწერაზე უარის თქმას და გერმანიასთან საომარ მდგომარეობაში დარჩენას.

დიდი კამათი გამოიწვია ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების დროს პროფკავშირების საკითხმა.

1923 წელში თავი იჩინა ტროცკისტულმა ოპოზიციამ, რომელიც მემარცხენე ფრაზეოლოგიით მოგვევლინა, ხოლო ობიექტიურად მემარჯვენე საქმეს აკეთებდა.

ასეთივე საფრთხის წინაშე იდგა პარტია მე-14 ყრილობის დროს, როცა საკითხი ეხებოდა ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქციას.

როგორია დღევანდელი საფრთხე?

ახალი მემარჯვენე გადახრის ფესვები

მე-15 პარტყრილობამ დიდი გარდატეხა მოახდინა როგორც პოლიტიკაში, ისე პრაქტიკაში. ყრილობამ მიიღო დადგენილებანი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარების, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის, საბჭოთა მეურნეობების შექმნის და კულაკური ელემენტების წინააღმდეგ მძლავრი შეტევის აუცილებლობის შესახებ. როდესაც ჩვენ შევუდექით მე-15 ყრილობის დადგენილებათა რეალიზაციას, და ამ გზაზე წინ გადაგვეღობა სიძნელეები, პარტიაში თავი იჩინა მემარჯვენე საფრთხემ.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო არსებულ სიძნელეებს. სოციალისტური მშენებლობის გზაზე ჩვენ სერიოზული დაბრკოლებები გვეღობება წინ, ამის დაფარვა შეუძლებელია მაგრამ იბადება საკითხი, თუ რა სახისაა ეს სიძნელენი და საიდან გამომდინარეობენ ისინი. არსებული სიძნელეები რომ გამომდინარეობდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის დაქვეითებიდან, მაშინ მართლაც სერიოზული საფრთხე მოგველის, მაგრამ ეს ასე როდია. ჩვენი სახალხო მეურნეობა ყოველწლიურად გიგანტიური ნაბიჯით მიდის წინ. ჩვენ ვიზრდებით გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნები. იზრდება საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმოების და სასოფლო მეურნეობის პროდუქცია, მაგრამ ეს ზრდა არ ხდება ისეთი ტემპით, როგორც ჩვენ გვესაჭიროება. ამაშია არსებული სიძნელეების დედა აზრი. სოციალისტურ მშენებლობის დროს სიძნელენი იყო, არის და იქნება მომავალშიაც. ეს არ არის ახალი ამბავი, ვინც ფიქრობს, რომ უამისოდ შესაძლებელია სოციალიზმის განხორციელება, მას არ ესმის ლენინური პოლიტიკა, არ ესმის პარტიის გენერალური ხაზი.

რატომ გვაქვს ჩვენ სიძნელეები? პირველ ყოვლისა სოციალისტურ მშენებლობას ვაწარმოებთ კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვის პირობებში, მეორეც ჩვენი ქვეყანა, გლეხური მეურნეობის ქვეყანაა. აქ წვრილი ბურჟუაზიის და კულაკების გავლენა საგრძნობია, და, როდესაც პარტია მათ წინააღმდეგ გადამჭრელ შეტევას აწარმოებს, ძლიერდება მათი წინააღმდეგობა.

მომავალი საბჭოთა არჩევნების დროს აუცილებლად იჩენს თავს სოფლად კლასიური ბრძოლის გაძლიერება. კულაკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები შეეცდებიან თავიანთ გავლენის მოპოვებას, როგორც საბჭოებში, ისე კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებში. აქ მოულოდნელი არაფერია. ჩვენ ვავიწროებთ კაპიტალისტურ ელემენტებს როგორც სოფლად, ისე ქალაქად მარტო ერთი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის გაძლიერების გამო, დაიკეტა 150 ათასი კერძო სავაჭრო და ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ ესენი შეეცდებიან ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევას.

ორი სახის კრიზისი

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, ჩვენი ზრდა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერთი წლის განმავლობაში გლეხობას მივაწოდეთ 30 ათასი ტრაქტორი. გასულ სამეურნეო წელთან შედარებით დამზადებულია 15 მილიონი ფუთით მეტი შაქარი, ბაქოს ნავთის მრეწველობა სრული რეკონსტრუქციაქმნილია, აშენდა გიგანტიური ელექტრო-სადგურები, ფაბრიკა-ქარხნები, რომლის შედეგს უკვე ვხედავთ, მაგრამ ამასთან ერთად სწრაფი ტემპით იზრდება მშრომელი მასების ეკონომიური და კულტურული მოთხოვნილებანიც. ჩვენ ვერ ვასწრებთ ამ გაზრდილ მოთხოვნილებების სავსებით დაკმაყოფილებას და აქედან იქმნება სიძნელენი და კრიზისები. მაგრამ კრიზისი ორი სახისაა, კრიზისი ერთის მხრივ იწვევს მეურნეობის დაქვეითებას, მის დაცემას, რაც ხშირი მოვლენაა კაპიტალისტურ ქვეყნებში. არის კრიზისი მეორე სახის, როდესაც სახალხო მეურნეობა იზრდება, მაგრამ ეს ზრდა ვერ სწარმოებს საჭირო ტემპით და ვერ აკმაყოფილებს არსებულ გაზრდილ მოთხოვნილებებს. სწორედ ასეთი ხასიათისაა ჩვენი სიძნელეები. რომ ჩვენი სიძნელეები თავისებურია, ამას ამტკიცებს თუგინდ ის ფაქტიც, რომ ჩვენს მრეწველობაში ყოველწლიურად იზრდება მუშათა რიცხვი, მაგრამ უმუშევრობა საბჭოთა კავშირში მაინც არსებობს.

ძირითადი სიძნელენი სოციალისტურ მშენებლობაში არის ჩვენი წვრილი მეურნეობა, მისი დაქსაქსულობა, სწორედ ამიტომ იდგა საკითხი მე-15 ყრილობაზე სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნის და დიდი საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბების შესახებ. ჩვენ თავს ვაღწევთ სიძნელეებს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციით, საბჭოთა მეურნეობების შექმნით და ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებით. ეს არის პარტიის გენერალური ხაზი. ამ გზაზე გველობება წინ დიდი დაბრკოლებები, მაგრამ პარტია არასოდეს უშინდებოდა დაბრკოლებებს, პარტიას არასოდეს მიუღია ისეთი დადგენილებანი, რომ სიძნელეების გამო შეეცვალა თავისი ხაზი.

პურის დამზადების საკითხი

ერთ-ერთი ძირითადი სიძნელე წარმოიშვა პურის დამზადების საკითხში, თუ ჩვენ ვერ დავამზადებდით პურს საკმაო რაოდენობით ეს დიდ საფრთხეს უქადდა მთელ სამეურნეო პროგრამას. კულაკებს არ სურდათ ჩვენთვის პურის მიცემა. ეს იყო პოლიტიკური წინააღმდეგობის გაწევა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

აქედან წარმოიშვა მემარჯვენე საფრთხე და ყალბი შეხედულება, თითქოს საბჭოთა კავშირში პურის მოსავალი არ იყოს საკმაო ამის გამო ზოგიერთი ამხანაგები მოითხოვენ ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციაზე ხელის აღებას, კულაკური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის შემცირებას და მათთვის მეტი თავისუფლების მინიჭებას. ასეთი შეხედულება ძირიანად არღვევს მე-15 ყრილობის დადგენილებებს. რომ ასეთი შეხედულება სრული სიყალბეა, ამას ამტკიცებს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობები, რომლის მიხედვით, მიმდინარე წელში საბჭოთა კავშირში ხორბლეულის მოსავალი უდრის 4-ნახევარ მილიარდ ფუთს. ქალაქების მოსახლეობის გამოსაკვებად საჭიროა 470 მილიონი ფუთი ტექნიკური კულტურების რაიონებისათვის 120 მილიონი, აქედან აშკარაა, რომ ჩვენ პურის კრიზისი არ გვაქვს.

მიმდინარე წელში პურის დამზადების საქმეც შედარებით გაადვილებულია, ვინაიდან გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით მოგვეპოვება საქარხნო-საფაბრიკო ნაწარმოები გლეხობისათვის მისაწოდებლად. ამასთან ერთად კულაკებიც ვეღარ გაბედავენ ისეთივე წინააღმდეგობის გაწევას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა გასულ წელში.

ტროცკისტულ ოპოზიციას პარტია იმიტომ ებრძოდა, რომ ეს ოპოზიცია მოითხოვდა სოფლიდან მთელი შესაძლებლობის ამოწურვას და მის მოხმარებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, ხოლო მემარჯვენე საფრთხე მიგვითითებს ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებაზე, ეჭვის თვალით უცქერის სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას, მოითხოვს კულაკისათვის დათმობას, მონოპოლიის შემსუბუქებას და ცდილობს პარტიას უკან დაახევინოს მე-15 ყრილობის დადგენილებებიდან. სწორედ ამიტომ არის ეს საფრთხე განსაკუთრებით საშიში.

მემარჯვენე საფრთხე ჩვენში

ყველა ეს საკითხები ისეთივე ძირითადი მნიშვნელობისაა, რომელსაც პარტია არას შემთხვევაში არ დასთმობს. პარტია ისეთივე სისასტიკით უნდა ებრძოლოს მემარჯვენე საფრთხეს, როგორც ებრძოდა ტროცკისტულ ოპოზიციას. ამასთანავე არ უნდა იქნეს შენელებული ბრძოლა ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების წინააღმდეგ, რომლებიც ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში გვევლინება ნაციონალისტურ ფორმებში. სხვათა შორის დამახასიათებელია, რომ ქართველი უკლონისტები, რომლებიც ნახევრად მენშევიკურ მოთხოვნილებებს გვიყენებდნენ 1921—22 წლებში, ხელაღებით გადაბარგდნენ ტროცკისტების ბანაკში. დღეს ეს ხალხი იმდენად დაექანა მოლიპულ გზაზე, რომ პარტიის წევრებს მოუწოდებენ მოითხოვონ საგანგებო ყრილობის მოწვევა დახურული კენჭის ყრით.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ზოგიერთი ამხანაგები მემარჯვენე საფრთხეს უცქერენ ისე თითქოს ის ჰაერში იყოს ჩამოკიდებული და ნამდვილი საშიშროება არ არსებობდეს. ხშირად ამბობენ, თითქოს საქართველოში არ არსებობს მემარჯვენე საფრთხეო. ასეთი შეხედულება დიდი შეცდომაა. საფრთხე არსებობს ჩვენს საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანოებში. საჭიროა იმის გამორკვევა, თუ როგორ ტარდება კლასიური ხაზი, როგორ ანაწილებენ სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის გადადებულ კრედიტებს, ვის ხმარდება ის და ნამდვილად იხარჯება თუ არა დანიშნულებისამებრ.

დამახასიათებელი მაგალითი

ზოგჯერ მემარჯვენე საფრთხე თავს იჩენს იქ, სადაც ასეთი თითქოს არ არის მოსალოდნელი. ამის საუცხოვო მაგალითი მოგვცა ტოლსტოის იუბილეს დღეებმა მოსკოვში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მუზეუმის დარბაზში შეიკრიბა 700 ტოლსტოველი ვითომც და ტოლსტოის ხსოვნის აღსანიშნავად, ნამდვილად კი ამ ხალხმა გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოითხოვს სიკვდილით დასჯის აკრძალვას და ლენინიზმის ნაცვლად სკოლებში ტოლსტოიზმის მოძღვრების სწავლების შემოღებას. ამავე კრებაზე, ტოლსტოისადმი მიძღვნილ მხურვალე სიტყვის შემდეგ ერთ-ერთი აღმასკომის ხელმძღვანელი კომუნისტი თავმჯდომარე გამოდის და აცხადებს: გაუმარჯოს ტოლსტოის, ვინაიდან ის იყო კომუნიზმის მებაირახტრე და ჩვენი მოკავშირეო... ყველა ეს დამახასიათებელი ფაქტებია იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად რეალურია მემარჯვენე საფრთხე.

მოსკოვის კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტროცკისტულ ოპოზიციას და არაფერი სთქვა მემარჯვენე საფრთხის შესახებ, შემდეგში მოსკოვის კომიტეტმა, ცეკას, მოსკოვის საკონტროლო კომისიის და პარტიული მასების დახმარებით ეს შეცდომა გამოასწორა.

პარტიის თვითეული წევრი მომზადებული უნდა შეხვდეს მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას. პარტიამ უნდა მოამზადოს თავისი საზოგადოებრივი აზრი. ამასთანავე საჭიროა რაიონულ პლენუმზე გარდა ასეთი პოლიტიკური მოხსენებისა, გაკეთდეს აგრეთვე დასაბუთებული მოხსენება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. პარტიულ მასებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ჩვენს სამეურნეო მდგომარეობაზე.

შევისწავლოთ მე-15 ყრილობის დადგენილებები

მე-15 პარტყრილობის დადგენილებები უცვლელად უნდა იქნას ცხოვრებაში გატარებული. ვინც ამ დადგენილებებიდან გადახვევას ცდილობს, ვისაც სურს პარტიას უკან დაახევინოს მხოლოდ იმისათვის, რომ სოციალისტურ მშენებლობაში წინ გვეღობება სიძნელეები და ამის გამო დავსთმოთ ჩვენი პოზიციები, ვინც ცდილობს სადღეისო კეთილდღეობისათვის ხელი აგვაღებინოს საბოლოო მიზანზე—სოციალიზმის განხორციელებაზე, მათ სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ.

ჩვენი პარტია ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა მის წინაშე არსებულ სიძნელეებიდან და ის არსებული სიძნელეებიდანაც ასეთივე გამარჯვებული გამოვა.

უერთდებიან ცეკას მიმართვას

მოსკოვის ორგანიზაციისადმი

ხარკოვი, 15 ნოემბერი. ივანკოვისა და ჟურავლიოვის რაიპარტკომების, პლენუმები, კრასნოზავოდსკის რაიონული პარტიული კონფერენცია ხარკოვში, პოლტავის ორგანიზაციის საერთო საქალაქო ყრილობა და მრავალი უჯრედის კრება ხარკოვში, პოლტავაში და კიევში უერთდებიან საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის მიმართვას და სასტიკად გმობენ მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებელ დამოკიდებულებას. (ადს).

ანტიპარტიულ გადახრის წინააღმდეგ

(ქუთაისის სამაზრკომის პლენუმი)

ქუთაისი, 14 ნოემბერი. 10 ნოემბერს გაიხსნა ქუთაისის სამაზრო პარტიული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა სამი დღეს გასტანა. დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იყო: კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მოხსენება, მაზრის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა, პარტიის ამოცანები უჯრედების ბიუროების არჩევნების კამპანიის წინ, პარტიული კონფერენციის მოწვევა და მისი დღის წესრიგის დამტკიცება.

კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ პლენუმმა აღნიშნა მუშაობის სწორი ხაზი, მეტადრე სოფლად, კომკავშირის გავლენის ზრდა მოჯამაგირეთა შორის, კომკავშირელების აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ მუშაობაში, კომკავშირის ორგანიზაციის გაწმენდა კულაკური ელემენტებისაგან და სხვა. პლენუმმა ამავე დროს აღნიშნა კომკავშირის სუსტი მონაწილეობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში და სოფლის უჯრედების მხრით ნაკლები დახმარება პარტიული ხაზის გატარების საქმეში.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ პლენუმმა აღნიშნა, რომ, შარშანდელთან შედარებით, მოსახლეობის ჩაბმა კოოპერაციაში 20 პროცენტით გაიზარდა, გაძლიერდა აგრეთვე საქონლის ბრუნვა და გამოცოცხლდა კულტურული მუშაობა.

შემდგომი მუშაობის უფრო მეტად გაჯანსაღების მიზნით პლენუმმა საჭიროდ სცნო განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი. პროფკავშირების წევრებისა და ღარიბი ელემენტების მთელი 100 პროცენტით ჩაბმა კოოპერაციაში, კოოპერატიული მუშაკების კვალიფიკაციის გაძლიერება მოსამზადებელი კურსების საშუალებით, კოოპერაციის გაწმენდა არამშრომელი ელემენტებისაგან და სხვა.

პლენუმმა მოისმინა ამხ. ყურულაშვილის მოხსენება პარტიის ამოცანების სისწორით ჩატარების შესახებ არჩევნების დროს და მე-15 ყრილობის დადგენილებათა განხორციელების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა [illegible] ქვეყნის დიდი მიღწევები ინდუსტრიალიზაციის, სოციალისტური მშენებლობის განვითარების სწრაფი ტემპისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. შემდეგ დაწვრილებით შეჩერდა მემარჯვენე გადახრაზე.

პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია ულმობელი ბრძოლის შესახებ, როგორც ოპორტუნისტული მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, ისე ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ.

შემდეგ პლენუმმა მოწოდებით მიმართა პარტიის ყველა წევრს შეურიგებელი ბრძოლა აწარმოოს ანტილენინური გადახრების წინააღმდეგ.

პლენუმის დადგენილებით პარტიული კონფერენცია მოწვეულ იქნება 30 ნოემბერს. მისი დღის წესრიგი ასეთია: ც. კ.-ის მოხსენება, სამაზრო კომიტეტის სარევიზიო კომისიისა და პარტიული სამეულის ანგარიში, სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები; არჩევნები. (ადს).

დავიცავთ ლენინურ პოზიციებს

(ა. ლ. კ. კ. თბილისის აქტივის კრებაზე)

გუშინ, კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის მრავალრიცხოვანმა კრებამ მოისმინა ამხ. **ახუნდ-ზადეს** მოხსენება საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას უკანასკნელი პლენუმის შედეგებზე.

პლენუმის მთავარი ამოცანა—მომხსენებლის სიტყვით,—მდგომარეობდა იმაში, რომ შეემოწმებია კავშირის მუშაობა მე-8 ყრილობის დადგენილებათა შესრულების თვალსაზრისით.

კომკავშირმა—ამბობს ამხანაგი,—უკანასკნელ ხანებში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ორგანიზაციაში ადგილი აღარ ჰქონდეს ავადმყოფურ მოვლენებს. ავადმყოფური მოვლენები, როგორიცაა ყოფა-ცხოვრებითი გახრწნა, აქტივის ჩამოშორება მასებიდან, კავშირის მუშაობის სისტემის შეუთანხმებლობა, მასების მოთხოვნილებებთან და სხვ. არის და მასთან საფუძვლიანი ბრძოლის წარმოება საჭირო.

სოც. მრეწველობის განმტკიცება იწვევს წვრილ-ბურჟუაზიულ-ნეპმანური სტიქიის წინააღმდეგობის გაძლიერებას ჩვენში. ამ.-კავკასიაში სამღვდელობა გამოცოცხლება [illegible] დაშნაკურ და მუსავატების ახალგაზრდათა ორგანიზაციებს, ხშირდება კულაკების თავდასხმის ფაქტები სოფლის აქტიურ მუშა-კომკავშირელებზე და სხვ.

ეს გარემოება გვავალებს მეტი ყურადღებით მოვეპყრათ იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტს და ამასთანავე ჩვენი კულტურული მუშაობა გავაღრმავოთ კლასიური შინაარსით კომკავშირმა უნდა შეაკავშიროს ჩვენი ქვეყნის მთელი პროლეტარული ახალგაზრდობა გამოცოცხლებულ კლასობრივი მტრის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

მემარჯვენე გადახრა, რომელიც სოციალისტურ მშენებლობის ზრდასთან დაკავშირებულ დროებით სიძნელეების საფუძველზე წარმოიშვა, წარმოადგენს უკან დახევას მე-15 პარტყრილობის დადგენილებებიდან. ეს მავნე გადახრა ცხადია თავის გამოხატულებას ჰპოვებს კომკავშირის მასების მერყევ ფენებშიც. ჩვენში კი, ამიერ-კავკასიაში, როგორც ყველა სხვა გადახრა, ისე ეს უკანასკნელიც იქცევა ეროვნულ გადახრად, რომელიც პარტიის ეროვნული პოლიტიკის გადათვალიერებისაკენ არის მიმართული.

ლენინური კომკავშირი, გამობრძმედილი ანტილენინურ მიმდინარეობებთან ბრძოლაში, მომზადებული უნდა შეხვდეს ამ ახალ საფრთხესაც. ჩვენ უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყოველგვარ მერყეობას, ყოველ ეჭვიანობას მე-15 პარტყრილობის დადგენილებათა სისწორის საკითხში, ძირფესვიანად აღმოვფხვრათ ნაციონალისტურ-შოვინისტური ტენდენციები, თუ კი ასეთი იქნება შემჩნეული.

ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად საჭიროა ზედმიწევნით დავამუშაოთ მემარჯვენე საფრთხის საკითხი და გავაძლიეროთ ინტერნაციონალისტური აღზრდა.

დასასრულ მომხსენებელი ეხება ახალგაზრდობის კვალიფიკაციის აწევის საკითხს.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდა რამდენიმე ამხანაგი, ორატორები უმთავრესად შეეხენ მემარჯვენე გადახრას და მოითხოვდნენ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას მის წინააღმდეგ.

საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება

სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელ კადრების შესახებ

მოსკოვი, 15 ნოემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მოისმინა სოფლად მუშაობის განყოფილების მოხსენება პურის დამამზადებელი რაიონების სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელი კადრების შემოწმების შესახებ. თავის დადგენილებაში ცეკა აღნიშნავს კლასობრივად უცხო და გახრწნილი ელემენტების სიმრავლეს სასოფლო კოოპერაციის ქვედა და საშუალო საფეხურის აპარატში, ბევრი მუშაკის დაბალ კვალიფიკაციას და მუშაობისათვის აშკარა უვარგისობას, რასთან დაკავშირებით დაშვებულია პარტიული ხაზის მრავალი გადამახინჯება.

ცეკა, აღნიშნავს რა ხსენებულ დეფექტებს და კოოპერაციის როლის ზრდას სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და ბაზრის ორგანიზაციის საქმეში, საჭიროდ სთვლის, რომ კოოპერატიული ორგანოების მომავალი გადარჩევა ჩატარდეს კადრების მასიური შემოწმებისა და არჩეულ ორგანოთა კლასობრივად უცხო და ბიუროკრატიული ელემენტებისაგან გაწმენდის ლოზუნგით. უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებანი კოოპერატიულ მუშაკთა ახალი კადრების სისტემატიურად დაწინაურებისათვის, პირველ რიგში მუშათა აქტივიდან და მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხობის აქტივიდან. უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს კოოპერატიული ტექნიკუმების ქსელი დარაიონებულ ოლქებში. დაევალოს „ცენტროსოიუზ“-ის ფრაქციას—შეიმუშაოს ზომები ქალაქის მუშაკების გადაყვანისათვის სოფლის კოოპერაციის ქვედა საფეხურების გასაძლიერებლად. წინადადება მიეცეს სააგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას სოფლად მუშაობის განყოფილებასთან ერთად—ორ თვეში შეიტანოს ცეკაში წინადადება კოოპერატიული მუშაკების მომზადების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში. დაევალოს სოფლად მუშაობის განყოფილებას საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებასთან ერთად—ერთი თვის ვადაში გაგზავნოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში 100 მუშაკი საპასუხისმგებლო მუშაობისათვის საოლქო და საგუბერნიო კავშირებში (ადს).

ქალაქის რაიკომის პლენუმი

პლენუმის გუშინდელმა სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების 10 წლის თავის შესახებ, 2) გაზეთ „რაბოჩაია პრავდა“-ს რეორგანიზაცია, 3) უჯრედების სამუშაო გეგმა, 4) პარტგანათლების საკითხი, 5) კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიის ჩატარება.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბუკია, რომელმაც აღნიშნა, რომ ქ. განყ. 10 წლის თავთან დაკავშირებით უჯრედებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშა-ქალების პარტიაში მიღებას. დღემდე ქალების ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში სუსტათ მიმდინარეობდა, საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება.

გაზეთ „რაბოჩაია პრავდა“-ს რეორგანიზაციის საკითხი პლენუმს გააცნო ამხ. რახმანმა, „ეს რეორგანიზაცია—სთქვა მან,—უნდა გამოიხატოს შემდეგში: გაზეთი გამოვა 4 გვერდზე, მისი მთავარი დანიშნულება იქნება მუშა-მკითხველის კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, გაზეთი 5 კაპიკის მაგივრად ეღირება 2 კაპიკი“.

პლენუმმა თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილება მოიწონა.

მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ადამიძემ. ის შეეხო რაიონში არსებულ პარტგანათლების სკოლების მუშაობას და აღნიშნა, რომ ჯერ-ჯერობით პარტგანათლების ქსელში ჩაბმულია 2.000-დე კაცი. გარდა მთლიანი პოლიტსკოლებისა წელს დაარსდა ცალკე განხრის წრეებიც, როგორიცაა: პოლიტეკონომიის, ეკონომ-პოლიტიკის, ისტორიული მატერიალიზმის, ლენინიზმის, მიმდინარე პოლიტიკის და სხვა წრეები.

პოლიტსკოლებში დასწრება 85 პროც. აღემატება. სკოლები უზრუნველყოფილი არიან ხელმძღვანელებით. მწვავედ სდგას მხოლოდ სახელმძღვანელოების საკითხი (განსაკუთრებით ქართულ და სომხურ ენებზე), მათი ნაკლებობა აფერხებს მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას.

კამათში გამოსული ამხ. **შუსტოვი, ძნელაძე, დიმელაშვილი, ლუჩანსკაია** და სხვები შეეხნენ, რომ სახელმძღვანელოების უქონლობა და სკოლების ტექნიკურ მოუწყობლობას მეცადინეობის ხალისს უკარგავს მსმენელებს.

პლენუმმა საჭიროდ სცნო:

პოლიტსკოლების უზრუნველყოფა ლიტერატურით, მსმენელების განტვირთვა პარტდავალებებისაგან, სკოლის ხელმძღვანელებისაგან მეცადინეობის სისტემატიური წარმოება და პოლიტსკოლების რიცხვის გადიდება.

უჯრედების სამუშაო გეგმის შესახებ ამხ. კუდრიავცევამ აღნიშნა, რომ ნოემბერ-დეკემბერში უჯრედების მიერ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს: უჯრედების ბიუროების გადარჩევების დროს გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელ ზომების მიღებას, სამ.-ადმ. ხარჯების 20 პროც. შემცირების შედეგების შემოწმებას, სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის გამოშურებას, უჯრედის ხელმძღვანელ ინსტიტუტის შედეგების განხილვას, ფაბქარხად გილკომების გადარჩევებს, კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარებას, მემარჯვენე საფრთხის საკითხის დამუშავებას, პარტგანათლების ქსელში ჩაბმულ ამხანაგების დასწრებას, კონტროლის გაწევას, კომკავშირის რაიონულ კონფერენციისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას და სხვ.

პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა უჯრედების სამუშაო გეგმის ეს ძირითადი საკითხები.

უკანასკნელ კითხვად პლენუმზე იდგა კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარების საკითხი: ამის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გოდაბრელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სახკომსაბჭოსთან დაარსებულია კომისია, რომელიც მუშაობს მუშათა ჩამორჩენილ ჯგუფების გამოსარკვევათ. სამუშაო ხელფასი გადიდდებათ სწორედ ამ ჩამორჩენილ ჯგუფებს. განზრახულია მასწავლებელთა ხელფასის გადიდებაც, ამასთანავე ერთად გაზრდილი უნდა იქნეს შრომის ნაყოფიერებაც; დღემდე არსებული მიღწევები მუშათა უფლებრივ მდგომარეობაში შენარჩუნებული უნდა იქნეს. კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა ფართო მასებმა, ამ კამპანიას უნდა მიეცეს უფრო საქმიანი ხასიათი, ვინემ წინად ჰქონდა.

საკითხის ირგვლივ პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

კომკავშირში

ლითონის ნამტვრევთა შესაგროვებლად

კომკავშირელებს, პიონერებს, ამიერ-კავკასიის მთელ მშრომელ ახალგაზრდობას

ამხანაგებო! სოციალისტური მრეწველობის მშენებლობისათვის საჭიროა შავი და ფერადი ლითონი. ამჟამად ქვეყანა ლითონის ნაკლებობას განიცდის, ეს ნაკლებობა შეიძლება ლითონის მწვავე კრიზისად გადაიქცეს. საჭიროა სასწრაფო ზომები მრეწველობისათვის ლითონის გამოსანახად.

ყველგან, სადაც არ უნდა გაიხედო, წარმოებაში, სახლში, ქუჩებში, რკინის გზებზე, სამხედრო საწყობებში ჰყრია დიდძალი ლითონის ნივთები და ნატეხები. ხოლო „**ლითონის ნატეხის თვითეული ტონა მარტენის ღუმელში მოხვედრის შემდეგ იძლევა ერთ ტონა საუკეთესო რკინას**“.

საჭიროა ენერგია, საჭიროა ინიციატივა ლითონის ნატეხის შეგროვებაში.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომკავშირელს. პიონერს, ამიერ-კავკასიის მთელს მშრომელ ახალგაზრდობას დაუყოვნებლივ და ენერგიულად შეუდგენ „შავი პურის“ შეგროვებას ჩვენი მრეწველობისათვის.

15 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე ამიერ-კავკასიაში ჩატარებულ იქნება „შავი პურის“ შეგროვების თვიური. ერთი თვის განმავლობაში ჩვენ ჩავატარებთ ორ შაბათობას.

ამიერ-კავკასიამ უნდა მოგვცეს 77.000 ტონა შავი და 200 ტონა ფერადი ლითონის ნატეხი. ამიერ-კავკასიის კომკავშირელებმა უნდა შეაგროვონ 500.000 ფუთი შავი ლითონის ნატეხი. საბჭოთა რუსეთის კლიმატიური პირობები ბევრ დაბრკოლებას ქმნის ამ მუშაობაში. თოვლმა შეიძლება დაჰფაროს მრავალი ტონა ლითონის ნატეხი. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ჩვენი ხელსაყრელი კლიმატიური პირობებით და უზრუნველვყოთ ლითონის ნატეხის დაუბრკოლებლად შეგროვება.

ამხანაგო კომკავშირელნო, ახალგაზრდა მუშებო და გლეხებო! მოვიკრიფოთ მთელი ძალღონე. შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა ქვეყნის სოციალისტურ მრეწველობის წინაშე.

ყოველმა პიონერმა, ყოველმა მოსწავლემ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა: დავუმზადოთ ლითონის მარაგი ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას.

გამოიჩინეთ ინიციატივა, კავშირი გააბით „რუდმეტალტორგ“-ის ორგანოებთან, შექმენით ლითონის შემკრები რაზმები, მოაწყვეთ ლითონის თავმოსაყრელი პუნქტები, წადით შაბათობებზე.

ერთსულოვანი შეტევით, ენერგიულად და სწრაფად შევასრულოთ დავალება!

საკავშირო ლენინურ კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

მუშა და გლეხ-ქალთა პირველი ყრილობის 10 წლის თავი

ათი წელი

(1918 წ. ნოემბერი 1928 წ.)

მუშა - ქალთა სრ. რუსეთის ყრილობამ 1918 წელში საფუძველი ჩაუყარა ორგანიზაციულ მუშაობას მშრომელ ქალთა შორის.

1920 წელში ლენინი სწერდა: „ქალთა მონაწილეობას პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ეხლა, როცა დამთავრდა ომი და პირველ რიგში მშვიდობიანი ორგანიზატორულ მუშაობას უნდა მოვკიდოთ ხელი, ვიმედოვნებ — დიდი ხნით; ამ მუშაობაში ქალებმა უნდა ითამაშონ პირველი როლი და ისინი, რასაკვირველია, ითამაშებენ ამ როლს“.

და ეხლა ვხედავთ, რომ ქალთა ორგანიზაციის — მუშა - ქალთა და გლეხ ქალთა განყოფილების ათი წლის თავზე ქალები მონაწილეობას იღებენ მმართველობის ყველა ორგანოებში — დაწყებული ცაკით და გათავებული სოფლის საბჭოებით. ქალთა რიცხვი ამ ორგანოებში განუწყვეტლივ იზრდება ყოველ წლობით, რაც გვიჩვენებს ქალაქისა და სოფლის მშრომელ ქალთა პოლიტიკური აქტივობის ზრდას, ქალთა აქტივის მუშაობა უმეტეს შემთხვევაში მიმდინარეობს ქალთა სადელეგატო კრებების საშუალებით.

ქალთა სადელეგატო კრებების ძირითადი ამოცანაა მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ფართო მასის პოლიტიკური და კულტურული აღზრდა, მათი ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში და დარაზმვა კომუნისტური პარტიის ირგვლივ.

საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა აწარმოოს მუშაობა ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ამისათვის საჭიროა ბავშთა სახლების, ბაგების, სასადილოების და განსაზოგადოებული ყოფაცხოვრების სხვა დაწესებულებათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის გახსნა, რათა ქალი განთავისუფლებულ იქნას წვრილმანი ფიზიკურად დამქანცავი და გონებრივად დამაჩლუნგებელი ოჯახური მუშაობისაგან.

ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ძველი ოჯახური პატრიარქალური წესები ანუ ოჯახური ყოფა-ცხოვრება ძლიან აბრკოლებს დღემდე ჩვენშიაც კი— საბჭოთა ქვეყანაში მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა პოლიტიკური აქტივობის ზრდას.

სახელმწიფოს თანხების უქონლობის გამო არ შეუძლია საჭირო რაოდენობით გაამრავლოს ძველი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის დასაჩქარებლად აუცილებელი დაწესებულებანი. ადგილობრივი საბჭოები, პროფკავშირები, სადელეგატო კრებები და სხვ. უნდა დაეხმარონ სახელმწიფოს ამ მიზნისათვის თანხების გამოძებნაში.

* * *

ქალთა ჩაბმას წარმოებაში და მუშა-ქალთა მონაწილეობას საწარმოო თათბირებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორედ ეხლა, როცა ვიწყებთ ინდუსტრიალიზაციის გატარებას ჩვენს ქვეყანაში— ქალაქადაც და სოფლადაც.

ეს მუშაობა ქალთა შორის ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს, ყოველ შემთხვევაში მიმდინარეობს არა ისეთი ტემპით, როგორიც ამას მოითხოვს ჩვენი დიადი კულტურულ-სამეურნეო რევოლიუცია.

ვინაიდან ჯერ კიდევ დიდია ჩვენს ირგვლივ ჩამორჩენილობა და სიბნელე! მუშაობას ქალთა შორის, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქალთა შორის მნიშვნელოვნად უშლიან ხელს სხვადასხვა სარწმუნოების „ცოცხალი“ და „მკვდარი“, ქრისტიანული და მაჰმადიანური სარწმუნოების სამღვდელოება და ყველა სექტები—მატყუარა ვითომდა „ლიბერალურ-რადიკალური“ ბაპტისტები, ევანგელისტები და სხვა ჯგუფები იმავე ძველი რელიგიისა, რომელსაც კარლ მარქსმა ასე მოხდენილად და საფუძვლიანად უწოდა „ჰაშიში და ოპიუმი“, რომლითაც გაბატონებული მჟლეფელი კლასები შეუგნებლად სწამლავენ ხალხს.

ჩვენში—საბჭოთა ქვეყანაში მუშურ-გლეხური ხელისუფლების 11 წლის არსებობის განმავლობაში, პროლეტარიატის დიქტატურის დროს, რომელსაც ყოველთვის ხელმძღვანელობს ლენინური საკავშირო კომპარტია, ბევრი რამ გაკეთდა ჩამორჩენილ ქალთა განათლებისა და გამოფხიზლებისათვის.

მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოგვიხდება ამ მიმართულებით. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ საერთოდ განათლების გარეშე ძნელია ახალი ცხოვრების შენება, ხოლო მშრომელ ქალთა აქტიური და მასიური მონაწილეობის გარეშე აღმშენებლობის წარმოება ხომ ყოვლად შეუძლებელია.

ეკლესია თავის ქსელში ახვევს მშრომელთ, განსაკუთრებით ქალებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში—დაბადებიდან საფლავამდე. რელიგია ჩაგვრის იარაღია. ყველა რელიგიის და სექტის ხელმძღვანელებს ბნელეთის მოციქულებს, დახმარებას უწევს საერთაშორისო კაპიტალი ამერიკიდან, ინგლისიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და მსოფლიოს კაპიტალისტურ სხვა ქვეყნებიდან. ლენინმა ტყუილად კი არ სთქვა რელიგიის შესახებ, რომ ეს არის „ერგვარი სულიერი ლოთობა, რომელშიაც კაპიტალის მონები ახშობენ თავის ადამიანურ სახეს“.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ მაინც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს ამ ფრონტზე.

* * *

საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ საშუალებით ცდილობს დაიცვას დედისა და ბავშის ჯანმრთელობა. საბჭოთა ქვეყანა ამ მხრივ წინ უსწრებს ევროპის და ამერიკის ყველა სხვა ქვეყნებს.

აუცილებლად უნდა იქნას გაძლიერებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ჩაბმა იმ მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა შრომის დაცვას წარმოებასა და მიწადმოქმედებაში. კოოპერაციას ქალები უკვე ეხლავე უწევენ აქტიურ დახმარებას,მონაწილეობას იღებენ, მაგალითად, სადუქნო კომისიებში და სხვ. მაგრამ ეს მუშაობა კიდევ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ. აუცილებელია რაც შეიძლება მეტი მშრომელი ქალები ჩავაბათ საბჭოებში და მათ ორგანოებში საპასუხისმგებლო პოსტებზე. ქალები ყოველდღიურად უნდა ჩავაბათ აგრეთვე ყოველგვარ პრაქტიკულ მუშაობაში, რომელიც სწარმოებს ჩვენი სამხედრო ძლიერების, საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად, სახელდობრ: ქალები ფართოდ უნდა ჩავაბათ თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებაში, სანიტარულ საქმეში და სამხედრო სწავლაში. ომის საფრთხე და ახალი სიძნელენი ჩვენი სახელმწიფოს სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის საქმეში ჩვენი ქვეყნის წინაშე აყენებს მთელ რიგ გადაუდებელ ამოცანებს, რომლებიც არ შეიძლება იქნან გადაწყვეტილნი მშრომელ ქალთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე.

გაუმარჯოს პროლეტარ-მუშა ქალს, მოჯამაგირე-ღარიბ ქალს და საშუალო გლეხ-ქალს ჩვენი დიადი პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული რევოლიუციის ყველა ფრონტზე!

გაუმარჯოს თურქ ქალს და აღმოსავლეთის ყველა მშრომელ-ქალს, რომელმაც უკუაგდო ჩადრი და რომელიც ენერგიულად ამსხვრევს ძველი მონობისა და ჩაგვრის ყველა ბორკილებს!

გაუმარჯოს მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებას,—ჩვენი მშრომელი ქალების ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს,—თავისი არსებობის მეორე ათი წლის თავზე!

დეე, სოფლისა და ქალაქის მშრომელ ქალთა აქტიური მონაწილეობით საბჭოთა მომავალ არჩევნებში განამტკიცოს ქალმა ჩვენი ციხე-სიმაგრე — პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის ერთად ერთი ფორმაა საბჭოები!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურის შემქნელს და ხელმძღვანელს ლენინურ საკავშირო (ბ) კომპარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ კომუნისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს რევოლიუციის და მსოფლიო კომუნიზმის გამარჯვების ორგანიზატორს და დიდ შტაბს—კომინტერნს!

დეე სცოცხლობდეს მასში ყოველთვის ჭეშმარიტი ლენინიზმ-კომუნიზმ-რევოლიუციონური მარქსიზმი!

მიხა ცხაკაია.

ქალთა შორის მუშაობის შედეგები და ამოცანები

მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებები შეიქმნა მაშინ, როდესაც სწყდებოდა პროლეტარული რევოლიუციის ბედი, როდესაც პირველი პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ ამხედრებული იყო მთელი კაპიტალისტური მსოფლიო

საქართველოს სინამდვილეში, მენშევიკების დროებითი ბატონობის გამო, ქალთა განთავისუფლება 1921 წლის 25 თებერვლიდან, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დაიწყო.

1921 წელს, კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, მოწვეულ იქნა უპარტიო ქალთა პირველი სრულიად საქართველოს კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ მუშა და გლეხი ქალები საქართველოს შორეული კუთხეებიდან. ეს კონფერენცია მოწვეული იყო იმ მიზნით, რომ დელეგატი ქალები გასცნობოდნენ ამოცანებს, რომლებიც იდგა მაშინ პარტიისა და ხელისუფლების წინაშე, მაშასადამე საქართველოს მუშა და გლეხ ქალთა წინაშეც.

თუ საბჭოთა კავშირის სინამდვილეში საჭირო იყო განსაკუთრებული ფორმებისა და მეთოდების შექმნა საბჭოთა მშენებლობაში ქალთა მასების ჩასაბმელად, საქართველოს პირობებში, სადაც მოსახლეობა მრავალი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი, ერისაგან შესდგება, სადაც ადგილი აქვს ყოფაცხოვრებით ისეთ ნაშთებს, როგორიცაა: ჩადრი, ყალიბი, ბოხელი, მცირე წლოვანთა გათხოვება, ეს მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

1921 წლიდან, ხოლო ზოგ მაზრაში კი 1923 წლიდან, მოწყობილ იქნენ ქალთა შორის მუშაობის განყოფილებები. მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, ათი წლის განმავლობაში პარტიის შემოქმედებითმა მუშაობამ, რომელიც მიმართული იყო მშრომელ ქალთა მასების კულტურულ-ეკონომიური დონის ამაღლებისა და მათს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმისაკენ, დიდი ნაყოფი გამოიღო: ამჟამად საქართველოში საბჭოების წევრად ითვლება 2133 ქალი, დელეგატ ქალების რიცხვი 12.000-ს უდრის, პროფკავშირების— 33.067-ს, კოოპერაციის—22.088-ს წარმოებაში ჩაბმულია 4.584 ქალი.

ათი წლის თავზე, მიღწევებთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ იმ ამოცანებზე, რომელიც წამოაყენა მუშა და გლეხ ქალების წინაშე კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ.

ამ ჟამად, როდესაც ჩვენ ვდგევართ ისეთი უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური კამპანიის წინაშე, როგორიცაა საბჭოების გადარჩევა, საჭიროა როგორც ქალაქის, ისე სოფლის საუკეთესო ძალების მობილიზაცია და მშრომელ ქალთა მთელი მასის ჩაბმა საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კამპანიაში. საბჭოების მუშაობის განხილვისა და შეფასების დროს სოფელში აუცილებლად ერთი მეორეს დაუპირდაპირდება ორი მტრული ძალა: ერთის მხრით, სოფლის მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხობა, (საშუალო გლეხობასთან შეკავშირებული) ხოლო, მეორეს მხრით, კულაკები და გლეხობის შეძლებული ფენები ყოფილი თავად-აზნაურების ნაშთებთან და საბჭოების წინააღმდეგ განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად. რომ ხსენებული კამპანია წარმატებით ჩატარდეს, რომ სათანადო პასუხი გავსცეთ ამ ანტისაბჭოთა ელემენტებს, ამისთვის ჩვენი ლოზუნგი უნდა იყვეს: **არც ერთი ქალი, რომელსაც ხმის უფლება აქვს, არ უნდა დარჩეს ამ დიდი კამპანიის გარეშე.**

ჩვენს აქტიურ მონაწილეობაზე არის დამოკიდებული ხელისუფლების ორგანოებში ქალთა პროცენტის გადიდებაც.

უფრო გაბედულად უნდა დავსვათ საკითხი ქალების დაწინაურების შესახებ საბჭოთა ქვედა ორგანოებიდან დაწყებული ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებამდე.

ჩვენი მრეწველობის სწრაფი ზრდის პირობებში საჭიროა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ წარმოებაში ქალთა უფრო მეტი რიცხვი იქნას ჩაბმული, როგორც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობიდან, ისე ეროვნული უმცირესობიდან.

პროლეტარული სახელმწიფოს უდიდეს ამოცანას შეადგენს სოფლის გარდაქმნა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კონტრაქტაციის საფუძვლებზე. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად საჭიროა კიდევ უფრო მეტად იქნან ჩაბმული გლეხი ქალები, პირველ რიგში ღარიბი გლეხი ქალები და სოფლის მოჯამაგირე ქალები, კოოპერაციის ყველა დარგში,—სამანქანო ამხანაგობებში, და აგრეთვე კოლექტივებში და არტელებში, რომლებიც იქმნება ადგილობრივ.

სადელეგატო კრებების ინსტიტუტი საუკეთესო სკოლაა, სადაც იზრდება საზოგადო მუშა ქალთა ახალი კადრი, სადაც ქალი პრაქტიკულ, საზოგადოებრივი მუშაობის გამოცდილებას ღებულობს.

სადელეგატო კრებების ქსელი, რომელიც საქართველოში 12 ათას ქალს აერთიანებს მეტ ყურადღებას მოითხოვს როგორც პარტიული, ისე საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ.

სხვა ამოცანებთან ერთად ქალთა განყოფილებების ათის წლის თავზე ჩვენს წინაშე სდგას მშრომელ ქალთა მასების კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და ქალთა ფაქტიური განთავისუფლების საკითხები.

ამ დიდი და მტკივნეული საკითხების გადაჭრის დროს ჩვენ ბევრი დაბრკოლება გვხვდება.

პარტიის მე-15 ყრილობის მიერ წამოყენებული ლოზუნგი კულტურული რევოლიუციის შესახებ თანდათან ხორციელდება, თანდათან საფუძველი ეცლება უსწავლელობას, უკულტურობას და ჩამორჩენილობას—ჩვენს კლასობრივ მტერს.

მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების არსებობის ათის წლის თავზე ჩვენ უნდა დავისახოთ ამოცანა, რომ გადაჭრით შევებრძოლოთ და საბოლოოდ ბოლო მოვუღოთ უუფლებობისა და ჩაგვრის სიმბოლოებს.

ქალთა განყოფილებების მეთერთმეტე წელში ჩვენ ფეხს შევსდგამთ კიდევ უფრო მეტის აღფრთოვანებით, უფრო მეტის რწმენით, რომ მივდივართ სოციალიზმისაკენ ლენინის გზით.

ვ. ჯაფარიძე.

როგორ შეიქნა ქალთა განყოფილებები ამიერ-კავკასიაში

ძველი სამყაროს საფუძვლების გამანადგურებელმა ოქტომბრის რევოლიუციამ დაამსხვრია ის ბორკილები, რომლებიც ჰბოჭავდნენ მრავალ მილიონიან მშრომელთა მასების შემოქმედებით ძალებს და საშუალება მისცა მათ შექმნან ახალი ცხოვრება. დიდმა ოქტომბერმა მშრომელთა მასების ყველაზე დაჩაგრული, ჩამორჩენილი ფენა—ქალებიც კი აამოძრავა, ფეხზე წამოაყენა და სოციალისტური მშენებლობის მოზიარედ გახადა.

დღეს, მუშა და გლეხ ქალთა განყ-ბის სრულიად რუსეთის 1-ლი ყრილობის მეათე წლის თავზე, როდესაც ჯამს უკეთებთ ქალთა შორის მუშაობის მიღწევებს, გვაგონდება ის სიძნელენი და დაბრკოლებანი, რომლებიც წინ ეღობებოდათ ქალთა შორის მუშაობის განყოფილებებს მათი წარმოშობის პერიოდში.

1918 წლის 16 ნოემბერს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია მუშა და გლეხ-ქალთა სრულიად რუსეთის 1-ლი ყრილობა, რომელმაც უმთავრესად, განიხილა ქალების ეკონომიურ და საყოფაცხოვრებო განთავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. მშრომელ ქალთა ამ ხაარსებო საკითხების ცხოვრებაში გატარება საფუძვლად დაედო ქალთა შორის მუშაობის განყოფილებებს (პარტკომებთან), რომლებიც სპეციალურად გამოყოფილ იქნენ ყრილობის შემდეგ.

თავისი არსებობის პირველ წლებში ქალთა განყოფილებებმა სამოქალაქო ომისა, ნგრევისა და შიმშილობის დროს მოახერხეს ქალთა გამანთავისუფლებელ დაწესებულებათა შექმნა (ბაგები ,საბავშო სახლები, დედისა და ბავშის სახლები), თითქმის ყველა ქალაქში.

ამ პერიოდში ქალთა შორის მუშაობის მთავარი მეთოდი იყო მუშა და გლეხ ქალთა დელეგატების უშუალოდ ჩაბმა იმ მუშაობაში, რომელსაც მიზნად მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საჭირო დაწესებულებათა შექმნა ჰქონდა.

ნაციონალურ ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად საკითხი დაისვა ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ ერების ქალთა შორის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ. 1920 წლის ნოემბერში მოსკოვში მოწვეულ იქნა პირველი თათბირი აღმოსავლეთის ხალხთა (თურქმენისტანი, ყირგიზთა, ყალმიკთა და სხ. რესპუბლიკები) ქალებს შორის მუშაობის შესახებ; თათბირი იმ აზრს დაადგა, რომ აღმოსავლეთის ქალთა შორის მუშაობა ორის მიმართულებით უნდა სწარმოებდეს—კულტურულ განმანათლებელი და ფაქტიური თანასწორობის (ყალიმის, ჩადრის, მრავალცოლიანობის მოსპობა და სხვ.) განხორციელების ხაზით და აგრეთვე მშრომელ ქალთა ეკონომიური მდგომარეობისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ხაზით (საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო არტელები, საბავშო სახლები).

გაცილებით უფრო გვიან შეიქმნა ამიერ-კავკასიის ქალთა განყოფილებები. მათ მუშაობას საფუძვლად დაედო სწორედ ეს ფორმები და მეთოდები, რომლებიც მთლიანად შეეფერება ადგილობრივ პირობებს და უკვე შემოწმებულია სინამდვილეში.

ამიერ-კავკასიაში მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების მუშაობის პირველ ნაბიჯებს დიდი დაბრკოლებანი გადაეღობა; დაბრკოლებებს ჰქმნიდა არა მარტო ღრმა პასივობა და ჩამორჩენილობა მშრომელ ქალთა მასებისა, რომლებიც გამსჭვალულნი იყვნენ ყოფა-ცხოვრებით, ეროვნულ და რელიგიურ ცრუმორწმუნეობით, არამედ მომზადებულ ქალ-მუშაკების უყოლობაც და აგრეთვე ისიც, რომ პარტიის წევრები გულგრილად უყურებდნენ ქალთა განყოფილებების მუშაობას. ქალთა განყოფილებანი მხოლოდ დიდ ცენტრებში არსებობდა და მათი მუშაობა იმით ამოიწურებოდა, რომ სააგიტაციო კრებებს მართავდნენ.

იმისთვის, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩაგრულ ქალთა მასები გამოფხიზლებულიყვნენ და ამოძრავებულიყვნენ, რომ შეეგნოთ მათ საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობა და ქალთა განყოფილებების ამოცანები—აზერბეიჯანსა, საქართველოსა და სომხეთში მოეწყო უპარტიო ქალთა ყრილობები. რომლებმაც დიდის ხალისით ჩაიარეს. აზერბეიჯანის ყრილობას 1,200 დელეგატი დაესწრო; აქედან 500 დელეგატი მივარდნილ, მიყრუებულ სოფლებიდან და აულებიდან იყო; საქართველოს ყრილობას დაესწრო 500 დელეგატი.

საქართველოს ყრილობაზე შორაპნის მაზრის დელეგატმა სთქვა: „მე 60 წლის ქალი ვარ, მაგრამ ჩვენი მაზრის თვითეულ სოფელს შემოვივლი და ყველას უამბობ, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება და რა ბევრ რამეს აძლევს ის მშრომელებს და, კერძოდ, მშრომელ ქალებს“; ეს სიტყვები გვიდასტურებენ, რომ ყრილობამ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. მასები გამოფხიზლდნენ. ქალთა შორის მუშაობა ადგილობრივ თვალსაჩინოდ გაადვილა იმ ინტერესმა, რომელიც ყრილობის შემდეგ გაეღვიძათ მშრომელ ქალებს განყოფილებათა მუშაობისადმი.

ცენტრალური განყოფილებების წინაშე მთელი თავისი სიმწვავით წამოიჭრა საკითხი იმ მუშაკების შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევდნენ მუშაობას ადგილობრივ, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა მაზრების გამოკვლევა, მათთან კავშირის გაბმა.

ინსტრუქტორ-ორგანიზატორების კადრის სასწრაფოდ მომზადების მიზნით აზერბეიჯანის ცენტრალურ განყოფილებასთან მოეწყო სამკვირეული კურსები, რომელმაც 5 მუშაკი მოგვცა. მათ შორის, 3 მუსლიმანი ქალი. ისინი გაიგზავნენ მაზრებში და მათ მიერ მოწოდებული პირველი ცნობების მიხედვით შედგენილ იქნა უახლოესი მუშაობის მოკლე გეგმა. შემდეგ თვეებში მომზადდა უკვე 39 მუშაკი, აქედან 18 თურქი ქალი.

მუშაკების უყოლობა დაეტყო სომხეთსაც, სადაც დიდხანს ვერ მოხერხდა მუშაობის მოწესრიგება ადგილებზე.

ქალთა განყოფილებებმა მუშაობა დაიწყეს ქალების ინდივიდუალურად მომზადებით; პირველი ნაბიჯების გადადგმისთანავე მათ წინაშე, მეტადრე აზერბეიჯანში, დაისვა საკითხი მშრომელი ქალისათვის რეალური დახმარების აღმოჩენის შესახებ. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ქალთა ამოძრავებული მასების სრული მომზადება.

სწორედ ამიტომ განყოფილებებმა ძალღონე არ დაიშურეს, რომ ადგილობრივ შექმნილიყო სახელოსნოები, არტელები, კლუბები. 1920 წლის შუა თვეებში ბაქოს რაიონებში გაიხსნა კლუბები თურქი ქალებისათვის, ცოტა ხანს შემდეგ კი ცენტრალური კლუბი, რომელიც ამჟამად დიდ როლს თამაშობს თურქ ქალებს შორის მუშაობის საქმეში.

ქალთა განყოფილებების მხნეობისა და მეცადინეობის წყალობით ერთი წლის შემდეგ კლუბები უკვე 13 მაზრაში იყო 703 წევრით, მათთან 9 არტელი 223 მონაწილე ქალით. 6 პროფტექნიკური სკოლა, 9 საბავშო ბაღი, 9 ბაგა და 12 საბავშვო სახლი. ყოველსავე ამას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარდატეხამ, რომელიც ამ დროისათვის მოხდა პარტკომების საქმიანობაში ქალთა შორის მუშაობის მიმართ.

საქართველოსა და სომხეთში მშრომელ ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი მუშაობა თვალსაჩინოდ ჩამორჩებოდა აზერბეიჯანს. მხოლოდ 1922 წლიდან შტატების შემცირების გამო(შემცირება უმთავრესად ქალების ხარჯზე მოხდა, რადგან ისინი უფრო ნაკლებ კვალიფიციურნი იყვნენ) მიღებულ იქნა ზომები მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ქალთა განყოფილებების დახმარებით მოეწყო სხ.დასხ. არტელი, სახელოსნო.

რამდენადაც მშრომელ ქალებს ინტერესი ეღვიძებოდათ სწავლა-მეცადინეობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი, ქალთა განყოფილებანი მათი კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით შეუდგნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან ერთად, სადელეგატო კრებების შექმნას უფრო აქტიურ და შეგნებულ მუშა-ქალთაგან, ჯერ მხოლოდ სამაზრო ქალაქებში. ეს ის კადრები იყვნენ, რომლებიც თანდათანობით ებმოდნენ საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ მუშაობაში.

კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილება შეიქმნა 1922 წლის იანვრის დამდეგს. ორგანიზაციის დღიდანვე მის მთავარ ამოცანას შეადგენდა რესპუბლიკების ქალთა განყოფილებების განმტკიცება. კვალიფიციური მუშაკების მიმაგრება მათთან, აგრეთვე სააგიტაციო მეთოდებიდან გადასვლა გაღრმავებულ მუშაობაზე ქალთა იმ კადრების აღსაზრდელად, რომლებიც უკვე ჩაბმულნი იყვნენ ქალთა განყოფილებების მუშაობაში.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი იმას ადასტურებს, რომ ქალთა შორის მუშაობის განყოფილებებმა მრავალი დაბრკოლება დასძლიეს და კვალდაკვალ მოიპოვეს მუშა და გლეხ ქალთა ფართო მასების სიმპატიები, დაეხმარენ ქალებს. რომ გამხდარიყვნენ საბჭოთა კავშირის შეგნებულ მოქალაქეებად და ახალი ცხოვრების მშენებლებად.

დიდ წინსვლას ამიერ-კავკასიის ქალთა კომუნისტური მოძრაობის ფრონტზე განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს შემდეგი ციფრები:

პარტიის წევრებად ა.-კავკასიაში 1923-24 წელში 1201 ქალი ითვლებოდა; 1927-1928 წლებში 4.384 ქალი; საბჭოების წევრებად 1923-24 წლებში იყო 1.296 ქალი, 1927-28 წლებში 9.861 ქალი. პროფკავშირების წევრებად 1923-24 წლებში 38.840 ქალი, 1927-28 წლებში 66.306 ქალი.

დელეგატად ირიცხებოდა 1923-24 წლებში 4.862 ქალი, 1927-28 წლებში 25.009 ქალი.

განა ეს **გამარჯვება** არ არის!

უსურვოთ მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებას შემდგომშიაც მოეპოვებიოს ახალ-ახალი მიღწევანი!

ნ. ალაჯალოვა.

ა.-კ. ცაკის მოწოდება

ამხანაგებო!

საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა ქალთა სრული თანასწორუფლებიანობა. მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს ამბობდა: „ჩვენ შეგვიძლია სრულის სიამაყით, გადაუჭარბებლად ვსთქვათ, რომ, საბჭოთა რუსეთის გარდა, არ მოიპოვება არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც არსებობდეს ქალთა სრული თანასწორუფლებიანობა და სადაც ქალი არ იყოს ჩაყენებული დამცირებულ მდგომარეობაში, რაიც განსაკუთრებით საგრძნობია ყოველდღიურ, ოჯახურ ცხოვრებაში. ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი პირველი და უმთავრესი ამოცანა“.

მუშა ქალები და გლეხი ქალები ათი წლის წინედ პირველად გამოვიდნენ შეკავშირებულნი საბჭოთა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე.

სამოქალაქო ომის, შიმშილის, ნგრევისა და სილატაკის წლებში მშრომელი ქალები მამაკაცებთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიოდნენ პირველ რიგებში და დაუღალავად მუშაობდნენ ზურგში.

სამოქალაქო ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ მუშა ქალები მონაწილეობას იღებდნენ ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენაში და აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ მმართველობის საბჭოთა ორგანოებში.

მუშა ქალთა და გლეხ ქალთა განყოფილების მედგარი, დაუღალავი მუშაობით 10 წლის განმავლობაში დაბალი ფენებიდან დაწინაურებულ იქნა მრავალი ათი ათასი ქალი—საქმიანი და ენერგიული მშრომელი ქალი—საბჭოთა მშენებლობის ყველა დარგში.

ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს მუშაობამ მშრომელ ქალებს შორის უდიდესი შედეგი მოგვცა. მშრომელ ქალთა განთავისუფლება, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, 20.000 არჩეული ქალი ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში (წარსულ არჩევნებთან ერთად), რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქვეყნის მმართველობაში—დაწყებული სასოფლო საბჭოებიდან და გათავებული ცაკებით, მათ შორის ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა და, რაც უმთავრესია, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მშრომელ ქალთა მასებში, განსაკუთრებით თურქ-ქალებს შორის, რამდენიმე ათეული ქალი საბჭოს თავმჯდომარედ აზერბეიჯანში ქალი—წითელი დირექტორი და პროკურორი ამიერ-კავკასიაში—ყოველივე ეს მართლაც უდიდესი მიღწევაა, რითაც ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ. ამჟამად დაბალი ფენებიდან, თვით მშრომელ თურქ-ქალთა ინიციატივით, დაიწყო გადამჭრელი ბრძოლა ჩადრის მოსაშორებლად.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოგვიხდება ქალებს შორის მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

არა ყოველთვის და არა ყველგან შეუძლიათ სრულუფლებიან ქალებს ამიერ-კავკ. შორეულ კუთხეებში ისარგებლონ საბჭოთა ქვეყნის თავისუფალი მოქალაქის უფლებით. ზოგიერთ ადგილას მშრომელი ქალი იხრჩობა უკულტურობის, უვიცობის, წარსულის ნაშთების ჭაობში, რაიც მძიმე ლოდათ აწევს მას და რის გამოც დაჩაგრულად გრძნობს თავს.

საბჭოთა საზოგადოებრივობა გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებს ამ ბოროტებასთან, ყოველგვარი საშუალებით უმსუბუქებს მშრომელ-ქალებს შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს, ეხმარება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში და ფართოდ აბამს ქალებს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ახალი თურქული ანბანის შემოღება და ჩადრის მოხსნა დიდათ შეუწყობს ხელს თურქი ქალის საბოლოო განთავისუფლებას.

ამხ. ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა მშრომელ ქალთა მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობაში. „საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული საქმე მხოლოდ მაშინ წაიწევს წინ, როცა მთელს რუსეთში რამდენიმე ასი ქალის ნაცვლად მასში მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე მილიონი ქალი“.

მაგრამ მშრომელ ქალთა მონაწილეობა საბჭოებში ჯერ კიდევ სრულებით არ არის საკმარისი. ქალის აქტივობა მამაკაცის აქტივობას ჩამორჩება. ხშირად ამისი მიზეზი ის არის, რომ საბჭოთა ორგანოები ქალებს საკმაოდ არ აბამენ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

საბჭოების გადარჩევის მომავალი კამპანიის დროს მუშა ქალები და გლეხი ქალები მაქსიმალურად უნდა იქნან ჩაბმულნი საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კრებებში, უნდა გაძლიერდეს მათი აქტივობა და მონაწილეობა საბჭოთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ფართო საქმიანი თვითკრიტიკის თვალსაზრისით. მხოლოდ მაშინ დაუახლოვდებით ილიჩის ანდერძის განხორციელებას: „ყოველმა მზარეულმა ქალმა უნდა ისწავლოს ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე“.

საბჭოების ქვედა ორგანოების ხელმძღვანელ სამუშაოზე მშრომელი ქალების დანაწილებას ცდამ დაგვანახვა, რომ ისინი მშვენივრად უძღვებიან ამ სამუშაოს. მიუხედავად ამისა, საშუალო და უმაღლესის საფეხურის საბჭოების ზოგიერთ ხელმძღვანელთა შორის არსებობს ერთგვარი უსაფუძვლო შიში და სკეპტიკური დამოკიდებულება ქალების შეუფერებელ დაწინაურებისადმი.

ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს ასეთ დამოკიდებულებას მუშაობისადმი და ქალების დაწინაურებისადმი. საჭიროა მათი გაბედული დაწინაურება საბჭოების ხელმძღვანელ სამუშაოზე და მუშაობის ნორმალური ამხანაგური პირობების შექმნა მათთვის.

საბჭოებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა ყოფა-ცხოვრების ძველ ნაშთებთან ქალთან დამოკიდებულების საქმეში.

ბრძოლა წარსულის ველური ნაშთების წინაალმდეგ, ბრძოლა კულტურისათვის.

ბრძოლა მუშა და გლეხ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად!

ბრძოლა მშრომელ ქალთა სრული და ნამდვილი განთავისუფლებისათვის!

ბრძოლა ყველა მშრომელი ქალის მონაწილეობისათვის საბჭოთა მშენებლობაში.

ბრძოლა ქალთა გაბედულ და რეგულარულ დაწინაურებისათვის საბჭოების ხელმძღვანელ სამუშაოზე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—
ალამალი-ოღლი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

თბილისი — სასახლე.

საბჭოების არჩევნების ორგანიზაციული საკითხები

ჩვენს წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სოციალისტური ელემენტების შეუწყვეტელ ზრდას ქალაქში და სოფლად და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას ეღობება წინააღმდეგობა კულაკური, ნეპმანური და ანტისაბჭოთა ელემენტების მხრივ, რომლებიც ჩვენს ყოველ მცირეოდენ დაბრკოლებას მშენებლობაში იყენებენ ჩვენს წინააღმდეგ. ისინი, ცხადია, შეეცდებიან საარჩევნო კამპანიაზე მოახდინონ გავლენა თავის მდგომარეობის განსამტკიცებლად.

ამიტომ ყველა ორგანიზაციამ და თვითეულმა ადგილობრივმა მუშაკმა უნდა შეიგნოს მომავალი საარჩევნო კამპანიის, როგორც უდიდესი პოლიტიკური კამპანიის, განსაკუთრებული მნიშვნელობა და მომზადებულად გამოვიდეს მის ჩასატარებლად.

საბჭოების არჩევნების კამპანია იყოფა სამ ძირითად ნაწილად: მოსამზადებელ, საანგარიშო და საარჩევნო ნაწილებად. ეს ნაწილები ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, რომ ერთის ნაკლოვანებანი სათანადო გავლენას მოახდენენ დანარჩენ ნაწილებზე. ამიტომ საჭიროა მზად ვიყოთ კამპანიის სამივე ნაწილის ჩასატარებლად, რათა არჩევნები წარმატებით დავამთავროთ.

მოსამზადებელი მუშაობა

მოსამზადებელი მუშაობა ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ იმ დეფექტების გათვალისწინების საფუძველზე, რომლებიც გამორკვეულ იქნენ გასული წლების კამპანიებში.

ავიღოთ ისეთი საკითხი, როგორიცაა ამომრჩეველთა სიის და საარჩევნო უფლება წართმეულთა სიის შედგენა. როდესაც ადგილებზე ამ საკითხს ფორმალურად და ბიუროკრატიულად უდგებიან, ჩვენ ვღებულობთ საარჩევნო კამპანიის არასწორ შედეგებს — ასეთ შემთხვევაში არჩევნების შედეგი სწორად არ გამოხატავს იმ პროცესებს, რომლებსაც ადგილი აქვს სოფლად. ეხლავე უნდა დაიწყოს ამომრჩეველთა სიების და საარჩევნო უფლება წართმეულთა სიების შემოწმება სოფლის საბჭოებში. ამ სიების განხილვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ მოქალაქეთ, რომელნიც ზამთრობით გარესამუშაოზე მიდიან და რომელთაც არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. თუ ისინი ამომრჩეველთა სიებში დარჩენ, ჩვენ სწორ წარმოდგენას ვეღარ მივიღებთ ამომრჩეველთა აქტივობაზე. მაგალითად: სოფელში სიით 1.000 ამომრჩეველია. აქედან 100 კაცი წასულია. აქტივობის პროცენტის გამოანგარიშების დროს მხედველობაში ღებულობენ 1000 ამომრჩეველს, ნამდვილად კი 900-ს უნდა ანგარიშობდნენ და მაშინ სურათი უფრო სწორი იქნება.

სოფლის საბჭომ მთლიანად უნდა განიხილოს ხმის უფლების მქონეთა სია, შეიტანოს ამ სიაში ისინი, ვინც ამ ორი წლის განმავლობაში მთავრობის მიერ აღდგენილია საარჩევნო უფლებებში და გამოირიცხოს ისინი, ვისაც საარჩევნო უფლებები უნდა წაერთვას.

ამასთანავე, რა თქმა უნდა, საჭიროა ყოველი ამომრჩევლის გულდასმით შეფასება, რათა დაშვებული არ იქნეს რაიმე შეცდომა. თუ საკითხის ერთბაშად გამორკვევა ძნელია—საბჭომ უნდა მიმართოს ადგილობრივ ორგანიზაციებს: პარტუჯრედს, კომკავშირის უჯრედს, ღარიბი გლეხების ჯგუფს, მოჯამაგირეთა კომიტეტს და სხ. პირადი შურისძიების, პირადი ანგარიშების გასწორების შემთხვევები სიების შედგენის დროს სასტიკად უნდა იდევნებოდეს.

ამომრჩეველთა სიების შედგენის შემდეგ საბჭო დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას — ზომების შემუშავებას ამომრჩეველთა აქტივობის გაძლიერებისათვის საარჩევნო კრებებზე.

საარჩევნო უწყებების გამოყენება სავსებით სწორი აღმოჩნდა, მაგრამ უწყებების გამოყენების დროს ჩვენ ზოგჯერ ბევრი შეცდომა მოგვდის. უწყებას თითონ ამომრჩეველს კი არ ვაბარებთ, არამედ მისი ოჯახის რომელსამე წევრს; ან ამომრჩეველს დაგვიანებით ვაბარებთ უწყებას და მას აღარ შეუძლია სათანადოდ მოიფიქროს ის საკითხები, რომლებიც დგანან საარჩევნო კრების დღის წესრიგში, ან უწყებას ვუგზავნით გარესამუშაოზე წასულებს; უწყების ჩაბარების შემდეგ გვავიწყდება მოვაგონოთ ამომრჩეველს, თუ რა დღეს არის დანიშნული კრება. ყველა ეს წვრილმანი ასუსტებს ამომრჩეველთა აქტივობას, რის წინააღმდეგ უნდა იქნეს ზომები მიღებული.

ეხლავე უნდა შევუდგეთ საანგარიშო კრებებისათვის მზადებას: როგორ იქნება შედგენილი დღის წესრიგი, ვინ იქნება მომხსენებელი, სად და როდის, რომელ საათზე შესდგება კრება — ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზე ეხლავე უნდა ვიფიქროთ. თუ კრება იმ დროს მოიწვიეთ, როდესაც ქალები განსაკუთრებული საოჯახო მუშაობის გამო ვერ მოიცლიან, ან სოფლის საგრძნობი ნაწილი, ქორწილს თუ რაიმე დღესასწაულს იხდის, ადგილიც რომ კარგი ამოირჩიოთ და მომხსენებელიც, ასეთი კრება მაინც ნაკლებად ნაყოფიერი იქნება.

კარგი იქნება, რომ საანგარიშო კრებაზე ამომრჩევლებმა მოისმინონ უმაღლესი ორგანოების მოხსენებები.

თუ ეს შეუძლებელია ყველგან, დიდ რაიონებში მაინც უნდა შევიტანოთ დღის წესრიგში უმაღლესი ორგანოების მოხსენებები. ამასთან, ადგილობრივი საბჭოს მუშაობის შესახებ მთლიანი საანგარიშო მოხსენებების განხილვის დროს სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციების (კოოპერატივი, საკრედიტო ამხანაგობა, გლეხკომი, შემნახველი სალარო, ფოსტა, სკოლა და სხვ.) წარმომადგენლებმა, რომლებმაც უნდა გააშუქონ თავიანთი დაწესებულება - ორგანიზაციების საქმიანობა.

საანგარიშო კრებები კიდევ უფრო აქტიურად ჩატარდება, თუ ყოველი ამომრჩეველი, რომელიც საანგარიშო კრებაზე წავა, არა მარტო მოისმენს ამა თუ იმ ორგანოს მოხსენებას, არამედ წინდაწინაც იქნება გაცნობილი ამ ორგანოს მუშაობასთან. ამისათვის საჭიროა შეძლებისდაგვარად მივაწოდოთ ამომრჩევლებს მოკლე დაბეჭდილი მასალები. ამ საქმეში ძალიან დიდ როლს ითამაშებს პრესა, რომელმაც ყოველ დღე უნდა გააშუქოს ამა თუ იმ ორგანოს მიერ ჩატარებული მუშაობა და ამ მუშაობის შედეგები უნდა გააცნოს ამომრჩეველთა ფართო მასას.

უნდა გვახსოვდეს — საბჭოთა სისტემაში საქმე იმით კი არ განისაზღვრება, რომ ამომრჩეველი გამოცხადდეს კრებაზე და ხმა მისცეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ქვეყნებისა, სადაც ამომრჩეველი წარმოადგენს მხოლოდ ხმის მიმცემ მანქანას, ჩვენში ამომრჩეველი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს საბჭოების მუშაობის განხილვაში და ასწორებდეს ამ მუშაობის დეფექტებს. ჩვენ ფორმისათვის კი არ უდგენთ მოხსენებას ამომრჩევლებს, არამედ როგორც კანონმდებელს, როგორც ხელისუფლების წყაროს. ეს უნდა იქნას მიღებული გამოსავალ წერტილად საანგარიშო კამპანიის მომზადებაში.

ყოველი წელი გვარწმუნებს, რომ რამდენადაც მცირეა საარჩევნო უბანი, მით უფრო მეტია ამომრჩეველთა აქტივობა. იმისათვის, რომ ამ საკითხზე მუშაობა არ მოგვიხდეს უშუალოდ საანგარიშო კამპანიის პროცესში, ეხლავე უნდა ჩავატაროთ საარჩევნო უბნების დანაწილება და ვაცნობოთ ეს ამომრჩევლებს.

ქალაქების მუშათა ორგანიზაციები არჩევნების დროს უნდა დაეხმარონ სოფლის ორგანიზაციებს მუშების გაგზავნით, რომლებმაც მთელი კამპანიის განმავლობაში უნდა იმუშაონ სოფლად. აზერბეიჯანის გასული წლის გამოცდილებამ სავსებით დაამტკიცა ამ ღონისძიების მიზანშეწონილობა. ეხლა ეს ღონისძიება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ყველა რესპუბლიკაში, ყველა სამრეწველო ცენტრში — ეს აუცილებლად დადებით შედეგებს მოგვცემს.

მიმდინარე კამპანიაში გამოყენებულ უნდა იქნას წარსული საარჩევნო კამპანიის კიდევ ერთი გამოცდილება, სახელდობრ — გლეხთა ფართო კონფერენციების ჩატარება რაიონებში. ეს კონფერენციები ხელს შეუწყობენ საბჭოს მოამზადოს ღარიბ გლეხთა აქტივი კამპანიის დაწყებისათვის.

საარჩევნო კომისიების შედგენის დროს წარსულში ჩვენ ზოგჯერ სათანადო ყურადღებით ვერ ვაწარმოებდით იმ ხალხის შერჩევას, რომელსაც ასეთ საპასუხისმგებლო მუშაობას ვანდობდით, და ამიტომ კომისიებში ზოგჯერ გვეპარებოდენ უცხო ელემენტები — კულაკები, ძველი პოლიციელები, ყოფ. მღვდლები და სხვ. ეხლა გაძლიერებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საარჩევნო კომისიების შემადგენლობის კლასობრივ შერჩევას. საარჩევნო კომისიებში უნდა ჩავაბათ ღარიბი გლეხები, მოჯამაგირეები და დაზგის მუშები. მათი მონაწილეობა ხელს შეუწყობს საარჩევნო კომისიებს თავიდან აიცილონ შეცდომები და ზოგჯერ პირადი ანგარიშების გასწორებაც. საარჩევნო კომისიის წევრების ან თავმჯდომარის მხრით; საარჩევნო კომისიის პერსონალური შემადგენლობა უნდა განიხილონ ღარიბი გლეხობის ჯგუფებმა და კრებებმა და რაც შეიძლება მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც არსებობენ ამა თუ იმ რაიონში, ქალაქში, სოფელში და სხვ.

მაგრამ ამით მაინც არ ამოიწურება მუშაობა ამ დარგში.

საჭიროა ისე მოვამზადოთ საარჩევნო კომისიის ყოველი წევრი, რომ მას თითონ ჰქონდეს წარმოდგენა თავისი მუშაობის შინაარსზე, საარჩევნო კომისიის დანიშნულებაზე და, რაც უმთავრესია, შეთვისებული ჰქონდეს საარჩევნო ინსტრუქციის და მისი ცალკე მუხლების საერთო აზრი. ჩვენი საარჩევნო ინსტრუქცია თავისთავად სწორად გამოხატავს მთავრობის ხაზს. მაგრამ ის შეიცავს ზოგიერთ ისეთ მუხლს, რომლის არასწორი ან ფორმალური გამოყენება გამოიწვევს შეცდომას, რაც ცუდ გავლენას მოახდენს ამომრჩეველთა ზოგიერთი კატეგორიის განწყობილებაზე. ჩვენ ვიცით ისეთი შემთხვევები, რომ საარჩევნო კომისია ფორმალურად იყენებდა ინსტრუქციის მუხლს და საარჩევნო უფლებას ართმევდა ღარიბ და საშუალო გლეხებს, ან ბოროტად იყენებდა საარჩევნო ინსტრუქციას და საარჩევნო უფლებას ართმევდა ღარიბ გლეხს — გლეხკორს იმის გამო, რომ ის გაზეთებში სწერდა, ამასთანავე აძლევდა მას მოწმობას, რომ ამ გლეხკორს საარჩევნო უფლება წართმეული აქვს 4 წლის ვადით.

აგრეთვე აუცილებლად საჭიროა, რომ პარტიის ყოველი წევრი, ყოველი კომკავშირელი, ყოველი მოჯამაგირე და საბჭოს ყოველი წევრი იცნობდეს საარჩევნო ინსტრუქციის შინაარსს, ყოველ მათგანს უნდა შეეძლოს ინსტრუქციის გამოყენება ამა თუ იმ პირის საარჩევნო უფლებების განხილვის დროს და თავისი აზრის გამოთქმა ამ საკითხზე. ჩვენ პოპულიარული უნდა გავხადოთ და ყველა ამომრჩეველს უნდა გავაცნოთ საარჩევნო ინსტრუქცია, რათა ის ხელში არ ჩაუვარდეს მარტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ან, თუ მან წერა-კითხვა არ იცის, სოფლის საბჭოს მდივანს, რომელიც ყოველთვის როდია ჩვენი ერთგული.

საზოგადოებრიობის ფართო ყურადღების მობილიზაციას კამპანიის საკითხების განხილვისათვის და ამ კამპანიაში მონაწილეობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ კიდევ მოსამზადებელი მუშაობის პროცესში უნდა მოხდეს ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყველა უჯრედების მობილიზაცია სოფლად. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზოგიერთ მუშაკებში სოფლად ჯერ კიდევ არსებობს განცალკევების სულისკვეთება, ისინი ასე მსჯელობენ: „ეს მე არ შემეხება. მე არაფერი ვიცი“. დეე, საბჭოებმა ჩაატარონ კამპანია, ჩვენ არაფერი საქმე გვაქვს საბჭოების გადარჩევის დროსო. ასეთი განწყობილება უნდა აღმოვფხვრათ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის აქტიობის კამპანიაში ჩვენ შევაფასებთ არა მათი წარმომადგენლობის რაოდენობას,არამედ იმ ენერგიის მიხედვით, რომელიც თვითონ ორგანიზაციებმა დახარჯეს მათი აპარატებით იმისათვის, რომ მოეხდინათ თავიანთი ორგანიზაციის წევრთა ყურადღების მობილიზაცია საარჩევნო კამპანიისათვის. ისეთ ორგანიზაციებს, როგორიც არიან ქალთა სადელეგატო კრებები, კომკავშირი, კოოპერაცია, გლეხკომები, არტელები, შემნახველი სალაროები, ამხანაგობანი, ფოსტა და სხვ., ძალიან დიდი დახმარება შეუძლიანთ გაუწიონ ადგილობრივ საბჭოებს მომავალი საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში.

მოჯამაგირეთა და ღარიბთა ორგანიზაციას სოფლად საპასუხისმგებლო ამოცანა ეკისრება — ის უნდა ჩაუდგეს სათავეში საზოგადოებრიობას. როგორც პროფკავშირები, მუშათა მასები ქალაქად, ისე მოჯამაგირენი და ღარიბი გლეხები სოფლად წინ უნდა უძღოდნენ და გადამჭრელ როლს უნდა თამაშობდნენ ამ კამპანიაში.

საანგარიშო კრებები

როცა შესრულებული იქნება მთელი ეს მოსამზადებელი მუშაობა, უნდა შეუდგეთ საანგარიშო კრებების ჩატარებას. რა დროს იქნება მოწვეული კრება, რომელ ადგილს ამოვარჩევთ კრებისათვის, როგორ შევადგენთ მოხსენებას, ვინ იქნება მომხსენებელი და სხვ., — ყოველივე ამაზე არის დამოკიდებული ამომრჩეველთა აქტიობა და მათი ჩაბმა არჩევნებში. თუ კრებას მოვიწვევთ ისეთ შენობაში, რომელშიაც 200 კაცის მაგივრად დაეტევა მხოლოდ 50 კაცი, მაშინ, რასაკვირველია, ამომრჩეველთა აქტიობა ვერ იქნება მიღწეული. თუ კრებას დავნიშნავთ ისეთ დღეებში და საათებში, როცა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა რამითაა გართული, ჩვენ ვერ მივაღწევთ ამომრჩეველთა აქტიობას. თუ მომხსენებელი კრებაზე ვერ მოახერხებს ამომრჩევლების წინაშე აშკარად და მარტივად გადაშალოს ჩვენი მიღწევები და სიძნელენი, რომლებიც არსებობენ ჩვენს მშენებლობაში — რასაკვირველია, ვერ მივაღწევთ ამომრჩეველთა საჭირო აქტიობას. თუ ჩვენ კრებებზე ჩავახშობთ გლეხთა ინიციატივას ჩვენი მოქმედების კრიტიკის დროს, ან ცალკე კომუნისტის მოქმედების კრიტიკას გამოვაცხადებთ კონტრრევოლიუციად, — ცხადია, ვერ გამოვიწვევთ აქტიობას ამომრჩევლებში. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ეხლა ვიმყოფებით ისეთ სტადიაში, როცა უკვე აღარ შეგვიძლია მასების ხელმძღვანელობა ადმინისტრატიული მეთოდებით: ჩვენ უნდა უხელმძღვანელოთ სოციალისტურ მშენებლობას და ამ ხელმძღვანელობაში უნდა ჩავაბათ თვით ამომრჩეველთა ფართო მასები.

ამხ. სტალინი ამბობს, რომ: „ხელმძღვანელობა ძველებურად ეხლა აღარ შეიძლება, ვინაიდან გაიზარდა გლეხობის პოლიტიკური აქტიობა და საჭიროა ეს აქტიობა გამოიხატოს საბჭოთა ფორმით, რომ იგი წარიმართოს საბჭოთა გზით და არა საბჭოების გარეშე“.

ამომრჩევლებს უნდა მივსცეთ ფართო ინიციატივა კრიტიკის წარმოებისათვის, მაგრამ ამასთანავე ჩვენ უნდა შეგვეძლოს ამ კრიტიკის ტონის გამოცნობა და საქმიანი, სინდისიერი კრიტიკა ჩვენი ნაკლულოვანებებისა უნდა განვასხვავოთ ისეთი კრიტისაგან, რომელშიაც გამოჭვივის მენშევიკური, დაშნაკური და მუსავატისტური სულისკვეთება.

ჩვენ ამომრჩეველთან მივდივართ როგორც კანონმდებელთან, როგორც ხელისუფლების წყაროსთან, მთელი ჩვენი მიღწევების თუ ნაკლოვანებათა და საჭიროებათა აღნიშვნით, და მას უნდა წარუდგინოთ ანგარიში არა მაღალ პოლიტიკაზე, არა ჩემბერლენზე, და სხ., არამედ იმ მუშაობაზე, რომელიც შესრულებულ იქნა და რომელიც მომავალში უნდა იქნას შესრულებული; ამასთანავე ეს ანგარიში უნდა დაუკავშიროთ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ზოგადი ხასიათის ღონისძიებებს. ჩვენ გვინდა ჩვენი მუშაობის შემოწმება მრავალი მილიონი მასების მიერ და არა უბრალო კენჭის ყრა. ჩვენში საანგარიშო მოხსენებას ამომრჩეველთა წინაშე ხშირად აკეთებენ ნაუცბათევად, მაშინ როდესაც ვერასოდეს ვერ გაბედავდნენ ასეთივე ანგარიშის წარდგენას მაღლამდგომ ორგანოში. ამომრჩეველთა წინაშე წარსადგენი ანგარიში ზედმიწევნით უნდა იქნას დამუშავებული.

ავიღოთ ბიუჯეტის საკითხი. თუ ამომრჩეველს დაუწყებთ ლაპარაკს ბიუჯეტზე საერთოდ, აქედან არაფერი გამოვა. ამომრჩეველს ეს ბიუჯეტი უნდა გავაცნოთ კონკრეტიულად, მთელი მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, უნდა ჩავაბათ იგი ბიუჯეტის ყოველი წვრილმანის განხილვაში, ამასთანავე არ უნდა მივაფუჩეჩოთ სიძნელენი.

საანგარიშო კრებებზე ჩვეულებრივ ადგენენ ამომრჩეველთა განაწესს (ნაკაზს) მომავალი საბჭოსათვის. საჭიროა გლეხების მოთხოვნათა გათვალისწინება და ამ მოთხოვნათა შეტანა მომავალი საბჭოსათვის შედგენილ ნაკაზში. ამ მხრივ ჩვენ ძალიან მოვისუსტებთ. ჩვენ საკითხს ხშირად უდგებით ბიუროკრატიულად, ნაკაზს ჩვენ ზოგჯერ ვიწერთ რომელიმე პოლიტიკური დოკუმენტიდან, ხშირად პარტყრილობის, კონფერენციის რეზოლიუციებიდან და სხვ. ასეთი ნაკაზები არ გამოხატავენ ამა თუ იმ სოფლის ნამდვილ მოთხოვნებს, მათ საჭიროებებს. ზოგჯერ ნაკაზში მართლაც შეაქვთ ამომრჩეველთა მოთხოვნანი, საჭიროებანი, მაგრამ ისე ფართოდ, რომ მათი შესრულება თანხების უქონლობის გამო შეუძლებელია ათეული წლების განმავლობაში. ამის შედეგია ის, რომ საბჭო ავტორიტეტს ჰკარგავს ამომრჩეველთა თვალში. ამომრჩეველი, რომელმაც კრებაზე გაატარა თავისი წინადადება და შეატანია ნაკაზში, შემდეგში მეტად ფხიზლად და დიდის ყურადღებით ადევნებს თვალს საბჭოს მთელ მუშაობას და ყოველ მის ნაბიჯში, ყოველ მის მოქმედებაში მოელის ამ წინადადების განხორციელებას, მაგრამ როცა ეს ამომრჩეველი ვერ ხედავს თავისი წინადადების გატარებას ცხოვრებაში, მცირდება მისი აქტიობა, იცვლება მისი დამოკიდებულება სასოფლო საბჭოსადმი.

საჭიროა ნაკაზები შედგენილ იქნას იმ გვარად, რომ აუცილებლად იქნას გათვალისწინებული მათი შესრულების შესაძლებლობა; ეს ნაკაზები უნდა წარმოადგენდნენ საბჭოს მომავალ მუშაობის გეგმას. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ნაკაზში გამოხატულ უნდა იქნას მხოლოდ ადგილობრივი, ვიწრო პრაქტიკული საკითხები, როგორიცაა აბანო, გზები და სხვა. ცხადია ნაკაზში უნდა იქნას შეტანილი ასეთი პრაქტიკული ხასიათის საკითხები, მაგრამ ეს საკითხები უნდა დაუკავშირდეს სოციალისტური მშენებლობის საერთო საკითხებს, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ძირითად საკითხებს.

იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნას ამომრჩეველთა აქტიობა საარჩევნო კრებებზე, საჭიროა ისეთი ფორმების, ტექნიკის შემუშავება, რომლებიც უზრუნველჰყოფენ იმას, რომ ცნობებმა ამ აქტიობის შესახებ რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში მიაღწიოს მაღლამდგომ ორგანოებამდე. წარსულში ანგარიშების დაგვიანებით მიღების გამო ჩამოვრჩით ხელმძღვანელობის საქმეში. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა არა უგვიანეს სამი დღისა კრების შემდეგ მაღლამდგომ ორგანოს გაეგზავნოს ცნობები კრების შედეგების შესახებ.

საანგარიშო კრებებზე აქტიობის გამორკვევის საქმეში ჩვენ უნდა მივაღწიოთ უდიდეს სისწორეს. ქვედა საფეხურის მუშაკებს შორის დღემდე არსებობს მისწრაფება იმისაკენ, რომ საქმის მდგომარეობა წარმოგვიდგინონ უფრო უკეთესად, ვიდრე სინამდვილეშია. ამიტომ ისინი მიღწევებს აზვიადებენ, იძლევიან მხოლოდ დაახლოებითი ცნობებს, ზოგჯერ ციფრებს თვითონვე თხზავენ, რაიც სავსებით ართმევს საშუალებას ხელმძღვანელ ორგანოს გამოარკვიოს საქმის ნამდვილი მდგომარეობა და თავის დროზე გამოასწოროს ნაკლოვანებანი.

საბჭოების არჩევა

არჩევნები მაშინვე კი არ უნდა მოხდეს როგორც კი ჩატარდება საანგარიშო კრება. საანგარიშო კრების ჩატარების შემდეგ უნდა გავიდეს 10-14 დღე, რათა მიეცეს საშუალება ამომრჩევლებს კარგად მოიფიქრონ ყოველივე ის, რაც გაიგონეს საანგარიშო კრებაზე, ჩამოაყალიბონ თავიანთი წინადადებანი და იფიქრონ ახალი საბჭოს კანდიდატებზე.

ყოველმა ამომრჩეველმა შეგნებულად უნდა მისცეს ხმა იმ კანდიდატს, რომელსაც ის გზავნის საბჭოში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამომრჩევლები უნდა იცნობდნენ იმ კანდიდატს, რომელსაც აძლევენ ხმას, ან კანდიდატი საკმაოდ ავტორიტეტული უნდა იყოს იმისათვის, რომ საბჭოში გავიდეს.

ახალი საბჭოს კანდიდატის წამოყენების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ერთი უმთავრესი გარემოება: ზოგჯერ ცდილობენ საარჩევნო კამპანიის, როგორც უმთავრესი პოლიტიკური კამპანიის, მთელი მნიშვნელობა დაუქვემდებარონ იმ მისწრაფებას,რომ როგორმე გაატარონ თავისი სია,როგორმე გაიყვანონ თავიანთი კანდიდატი. საკითხის ასე ვიწროთ შემოფარგვლა, რათქმა უნდა არაფრად ვარგა. საჭიროა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ უნდა დაუკავშიროთ ეს კანდიდატი მასებს, რომ იგი არ მოსწყდეს მათ, და როგორ უნდა ვასწავლოთ მას მუშაობა, როგორ უნდა გავხადოთ საბჭოს ყოველი წევრი აქტიური სახელმწიფო მოღვაწე, სახელმწიფოს მმართველი. ჩვენ ეს არ უნდა დავივიწყოთ.

საბჭოების გადარჩევა ამიერ-კავკასიაში არის საბჭოების ორი წლის მუშაობის გენერალური შემოწმება. ეს არის როგორც აპარატის მუშაობის შემოწმება, ისე დაბალი საფეხურის საბჭოებზე მაღლამდგომი საბჭოების ხელმძღვანელობის შემოწმება. ამიტომ საბჭოების მუშაობის შემოწმებამ მასიური კრიტიკის და თვითკრიტიკის საშუალებით არამც თუ არ უნდა დაასუსტოს, არამედ უნდა გააძლიეროს ჩვენი ფედერაცია, ჩვენი პოლიტიკა სოციალისტურ მშენებლობის დარგში და უნდა გამოაშკარავოს ყველა ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლის სოციალიზმის შენებას და წინსვლას დასახული გზით.

ძ. წ—ძე.

ყოფა-ცხოვრების საკითხები

მშრომელ მასებში მავნე ზნე ჩვეულებების აღმოფხვრა ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის.—სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ლოთობას, მექრთამეობას, ყოყოჩობას და ხელისუფლების ხაზის დამახინჯებას. — საჭიროა სოფ. ლიხაურში მომხდარ მკვლელობის მიზეზების დაწვრილებით გამოკვლევა და დამნაშავის სასტიკად დასჯა

საზიზღარი მკვლელობა
სოფ. ლიხაური, გურია

ოქტომბრის შუა რიცხვებში ს. ლიხაურში, დანიელ ურუშაძის ოჯახში მოხდა საზიზღარი მკვლელობა. ზემოხსენებულ გლეხს ესტუმრა თავისი ცოლის და მარო ხომერიკია. ეს ის დრო არის, როდესაც სოფლად გაჩაღებულია მუშაობა ქირნახულის შესანახად. საქმე შემდეგშია, რომ მისი გაუთხოვარი ცოლის და ფეხმძიმე ყოფილიყო, მაგრამ ურუშაძეს ისეთი ცოლი არწმუნებდა, რომ ეს ავადმყოფობის ბრალი იყო. საღამო ხანია, სამუშაოდან დაბრუნებული მთელი ოჯახობა მადიანად შეექცევა ვახშმობას, რომ დასვენებულნი და გამხნევებულნი მეორე დღეს ისევ დაუბრუნდნენ სამუშაოს. მაგრამ დახეთ უბედურებას: მარო უეცრად ავად ხდება. ავადმყოფობა თანდათან რთულდება და დაღლილ-დაქანცული ურუშაძე გარბის ექიმთან. შუაღამეზე და ისიც სოფლად, ექიმს ძნელად იპოვით. ურუშაძე იძულებულია მიმართოს ამავე სოფლის ბებია-ქალს ელენე ვაშაყმაძეს, რომელიც ამავე სოფელში მივლინებული ოზურგეთის ჯანმრთელობის განყოფილებიდან. ბებია-ქალიც სასწრაფოდ გაჩნდა ავადმყოფთან. სიჭაბუკე შემცდარი, გამოირკვა რომ ექიმი კი არ არის საჭირო, არამედ ბებია-ქალი. ბებია-ქალმაც დასვა დიაგნოზი: მარო უნდა მოილოგინდეს სადაც არის. რა იცის დაღლილმა საქმე, თუ რა ხდება მის ოჯახში. ის მეორე ოთახში ზის და ნანობს, რომ დღეს მას ცოლის და ყანაში ემარჯვებოდა და ზედმეტი მუშაობით გახდა ალბად ავად. მაგრამ როდესაც მან ბავშვის კნავილი მოისმა, ის ცოფმორეული წამოვარდა ზედ, უნდა დახოცოს ყველა. მაგრამ შეჩერდა, დაფიქრდა, სცემს გაჩერდის ოჯახის „შერცხვენა", ხუმრობა ხომ არ არის. აქ მას ბებია-ქალიც შეპირდა, რომ ის ამ ამბავს არ გამხელს და ოჯახიც გადარჩება „შეურაცყოფას" და გასათხოვარი ქალი მაროც.

უკვე გათენების ხანია. ბებია-ქალი თავის სახლში წავიდა, ოჯახის წევრებსაც ჩაეძინა. არ სძინავს მხოლოდ მაროს, რომელიც იმაზე ფიქრობს, თუ როგორ მოიშოროს თავიდან „სირცხვილი". ბევრი არ უფიქრია მაროს, წამოდგა ზედ, მოჰკიდა ბავშს ხელი და გარედ გამოვარდა. რა ქნას, სად დამალოს ბავში? მარომ აქვე შეამჩნია დიდი ხე, რომელზედაც გასროლილი ბავში მაგრად მიახალა და მოკლა. მალე გაიგო ოჯახმა ეს საშინელი ამბავი, ბევრი ინანეს, მაგრამ გვიანღა იყო.

მეორე დილით „ნაავადმყოფარი" მარო ურემზე დაწოლილი წაიყვანეს თავის სახლში, ბავში კი დამარხეს და ამით გათავდა ყველაფერი.

სოფელში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ საზიზღარმა ამბავმა. აღმასკომის ყურამდეც მივიდა ეს ცნობა, მაგრამ ბოროტმოქმედი დღესაც დაუსჯელია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საზიზღარი მკვლელობა გამოაშკარავებული იქნება და დამნაშავე შესაფერისად დაისჯება პროლეტარული სასამართლოს მიერ.

ლახვარი.

ცინცაძის ტარიელობა
ლანჩხუთის თემი, გურია

ამას წინად თბილისიდან ლანჩხუთში შვებულებით ჩამოვიდა კოწია (კოტე) მაქსიმეს ძე ცინცაძე. ცინცაძეს სოფ. შუხუთში (ლანჩხუთის რაიონი) ყავს ბიძაშვილი ორაგველიძე, რომლის 16 წლის ქალის მოტაცება მოინდომა ცინცაძემ. ამ მიზნით დაიქირავა ეტლი და ლანჩხუთიდან თავის დამქაშებით წავიდა სოფ. შუხუთში, რათა თავს დასხმოდა ორაგველიძეს და წაერთმია მისთვის ქალი. ქალმა წინასწარ გაიგო ეს ამბავი და გადაიმალა მეზობლის ოჯახში. ცინცაძე იმ ღამეს მართლაც დაესხა თავს ორაგველიძის ოჯახს, გაჩხრიკა სახლი და მოითხოვა დაუყოვნებლივ მოეყვანათ მისთვის ქალი. როცა უარი მიიღო, რამდენიმეჯერ გაისროლა რევოლვერიდან და მოკვლით დაემუქრა ორაგველიძის ოჯახის წევრებს, თუ ისინი ქალს არ მოიყვანდნენ. ორაგველიძემ განუცხადა, რომ ჩემი ქალი ქობულეთში იმყოფებაო: ცინცაძე მეორე დღესვე გაემგზავრა ქობულეთში, ეძება ქალი იქ ბათომში და სამტრედიაში (ქალი კი სამეგრელოში გადაიმალა). იქაც რომ ვერ ნახა, ისევ თავს დაესხა ორაგველიძის ოჯახს, აგინებდა ყველას და თან იმუქრებოდა: მე ქალი როგორ დამეკავება, დიდი კაცი ვარ, 10 კაცი რომ მოვკლა, ვერავინ დამიჭერსო. თან ცინცაძე რევოლვერს გლეხების შესაშინებლად მუდამ ხელში ატრიალებდა.

ცინცაძემ ასე ეძება ქალი ერთ თვეს, მაგრამ მისი აღმოჩენა ვერ შესძლო, ერთხელ კიდევ დაესხა ორაგველიძეს და გადასცა თუ ქალი არ წამომყვა ცოლად, სიცოცხლეს მოგისპობო.

საჭიროა ცინცაძე სასტიკად დაისაჯოს, როგორც რევოლ. წესრიგის დამრღვევი და პარტიისა და ხელისუფლების ჩირქის მომცხები.

შუხუთელი ჰაბო.

მექრთამე და მკლავჯე
საქარის თემი, შორ. მაზრა

საქარის თემ-აღმასკომის თავმჯდომარე დ. ბიბილაშვილმა თემის აღმშენებლობის მაგიერ თავის ჯიბის აღმშენებლობას მიყო ხელი. სოფ. ზედა-საქარაში მეზობელ ცერცვაძეებს დავა ჰქონდათ მიწის შესახებ. ამ საქმეში ჩაერია ბიბილაშვილი, რომელმაც ადგილი უკანონოდ მიაკუთვნა პ. ცერცვაძეს. სოფელში ხმა გავრცელდა, რომ ბიბილაშვილმა ფულები აიღო ქრთამის სახით. კომუჯრედმა გამოყო კომისია ამ საქმის გამოსარკვევად, რომელმაც სინამდვილე აღმოაჩინა. ბიბილაშვილს კომისიის გამორკვევით ხსენებული დავის „მოგვარებისათვის" მიუღია 35 მანეთი.

მას რომ თავი დავანებოთ, ბიბილაშვილი მომლხინე კაცია. ერთ საღამოს კარგად შეზარხოშებული ის წავიდა სოფ. არგვეთაში ასისთავ გიორგაძესთან და სთხოვა იქვე მეზობლისას გაჰყოლოდა საქეიფოდ. გიორგაძემ თხოვნა არ შეუსრულა და ამის გამო ბიბილაშვილმა ის მათრახით გაშოლტა.

სხვა ბოროტმოქმედებებიც აქვს ჩადენილი მოქ. ბიბილაშვილს, მაგრამ ზემოთქმულიც საკმაოა იმისათვის, რომ მას სათანადო პასუხი მოეთხოვოს არ კმარა მარტო თანამდებობიდან გადაყენება.

გოგი.

ასეთი თანამშრომლები არ გამოგვადგება
სუფსის თემი, გურია

საბჭოთა ხელისუფლება ლოთობის და აზარტიულ თამაშის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებს. მიუხედავად ამისა სუფსის თემში ყველა ეს უკულმა გაგებით ხდება და ზოგიერთი ადგილობრივი მომუშავეები ლოთობასა და აზარტიულ თამაშში ატარებენ დროს. ასეთი ხალხი სუფსის დაწესებულებებში თანასწორადაა დანაწილებული, მაგ.: სუფსის შვიდწლედში—მასწავლებელი პარმენ ჯინჭარაძე, კოოპერატივში—ნოქარი ყაისარ სირაძე, ფ.-ტ. განყოფილებაში—შუქრი კილუნჯერიძე და აღმასკომში—საქმისმწარმოებელი ტიხონ მასხულია.

ამ ვაჟბატონების საქმიანობის აღწერა შორს წაგვიყვანს, მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს:

ამას წინედ შუქრიმ მიიღო საფოსტო მატარებელზე ფოსტა. ამ დროს შეხვდნენ მას თავისი ძმა-ბიჭები პარმენ და ყაისარი, რომლებმაც გადასწყვიტეს ქეიფს შესდგომოდნენ. შუქრიც დათანხმდა და თავის ფოსტით შევიდა სამიკიტნოში. ღამის 1-ლ საათამდე სვეს, შემდეგ კი სცემეს ერთმანეთს. ამასაც არ დასჯერდნენ და შუა ბაზარში ასტეხეს რევოლვერების სროლა. სროლის დროს დაჭრეს მასწავლებელი პარმენ ჯინჭარაძე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუქრი კილუნჯერიძეს არც სახ. ქონების გაფლანგვის ეშინია. ერთ დღეს შუქრის ჯიბეში ჰქონდა 400 მანეთი საფოსტო ფული. მას შეხვდა პროფესიის მოთამაშე ტიხონ და წავიდნენ სათამაშოთ, სადაც შუქრიმ წააგო 400 მანეთი სახაზინო ფული. ეს ამბავი ყველამ გაიგო, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია.

განა ასეთი ხალხი გამოგვადგება სამუშაოდ და ისინი რაიმე სასარგებლო საქმეს გააკეთებენ?

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება. უნდა განიდევნონ ჩვენი დაწესებულებებიდან ლოთები და კარტოჟნიკები, რომლებიც ჩირქსა სცხებენ საბჭოთა ხელისუფლებას.

წ—ლი.

სასტიკად უნდა დაისაჯონ
გეზათ-გულუხეთის თემი, სენ. მ.

გეზათ-გულუხეთის თემში თითქმის ყოველ საღამოობით გლეხკომის სასადილოში იმართება ღვინის სმა და ქეიფი, რაც მთელი ღამე გრძელდება.

1-ლ სექტემბერს, ღამის პირველ საათზე მოხდა ასეთი შემთხვევა. საღამოზე გლეხკომის სასადილოში შემოვიდა ვარლამ ჯობლაძე და ალიომა ჩალიგავა, რომლებიც განთქმულნი არიან ერთი ღვინის სმაში, მეორე სხვადასხვა „გმირობის" ჩადენაში. ეს ვაჟბატონები რამდენჯერმე იყვნენ დაპატიმრებული ჩხუბისათვის და ქალის გაუპატიურებისათვის.

მათ წინდაწინ მოელაპარაკებიათ, რომ ჯერ დავთვრეთ და შემდეგ ქალი ვიშოვოთო. როდესაც შეზარხოშდნენ ეს ვაჟბატონები, მიადგნენ ჟულინა მაღ-ძის ქალის ოჯახს და მოითხოვეს კარის გაღება, მაგრამ ქალმა ხმა არ გასცა. ბოლოს ძალით შემტვრიეს კარები და შევიდნენ სახლში. გამოიყვანეს მძინარე ქალი გარეთ და მოსთხოვეს დანებებოდა. როდესაც ქალისაგან უარი მიიღეს, ძალა იხმარეს, ქალს შემოახიეს ტანსაცმელი, ქალის კივილი, რომ მეზობლებს არ გაეგონათ, თავისი თმა ჩაუკუჭეს პირში და ასე მხეცურად დაიკმაყოფილეს თავიანთი ჟინი და გაიქცნენ. მეორე დღეს ეს ვაჟბატონები დააპატიმრა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ხსენებულმა ქალმა ასეთი შეურაცყოფისათვის თავი ჩამოიღრჩო.

აი ასეთი აღმაშფოთებელი შემთხვევა მეორეთ რომ არ განმეორდეს, საჭიროა ხსენებულ ვაჟბატონების სასტიკად დასჯა და ენერგიული ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ.

ცხენისწყლისპირელი.

მეტი სიფრთხილეა საჭირო
აწყურის თემი, ახალციხის მაზრა

აწყურის თემის საექიმო პუნქტში მუშაობს ექ. მოშიაშვილი და ბებია-ქალი. ეს უკანასკნელი დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივ გლეხ-ქალებს საექიმო დახმარების აღმოჩენაში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ავადმყოფისათვის უარი ეთქვას საექიმო დახმარებაზე.

სამწუხაროდ უკანასკნელ ხანებში ექიმი მოშიაშვილი არ აძლევს ბებია-ქალს ნებას, რომ მან ავადმყოფი ქალები გასინჯოს. თუ მუსულმანი ქალები ჯერ კიდევ არ არიან იმდენად განვითარებული, რომ მათ ნება დართონ ექიმ მამაკაცს თავის გასინჯვის. ამ ნიადაგზე ამას წინად აქ ერთი არასასიამოვნო მოვლენას ჰქონდა ადგილი. 15-მდე ქალი ელოდებოდა ბებია-ქალს გასასინჯავად. ექ. მოშიაშვილმა მოსთხოვა მათ გაესინჯებიათ თავი ექიმისათვის. ქალებმა უარი განაცხადეს, ხოლო მოშიაშვილმა ბებია-ქალს ნება არ დართო ქალების გასინჯვის და ისინი პუნქტიდან გარეთ გამოყარა.

ავადმყოფ ქალებისადმი ასეთი მოპყრობა დაუშვებელია, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს ჯანმრთელობის განყოფილებამ.

მანაბაძ.

მიხედეთ გაჭირვებულ ოჯახს
(წერილი თელავიდან)

თელავის სატყეო აგარაკში ტყის მცველის თანამდებობაზე 5—6 წელი პატიოსნად მუშაობდა სოფ. ვარდისუბნის მცხოვრები კოტე ჯამიაშვილი.

12 ივლისს შუა-მთის ტყეში, როდესაც ის ტყეს ათვალიერებდა, ჯამიაშვილს თოფით ხელში წინ წარუდგა ყაჩაღი და მოსთხოვა განიარაღებულიყო. ჯამიაშვილმა წინააღმდეგობა გაუწია, ყაჩაღმა ესროლა და მძიმედ დასჭრა. დაჭრილი ჯამიაშვილი მალე გარდაიცვალა.

კოტე ჯამიაშვილი იყო უღარიბესი გლეხი, მას საკუთარი ქოხიც არ ჰქონდა. დაიწყო ჩალაცა ფარდულის აგება, მაგრამ სანახევროდ აუშენებელი დარჩა. დასტოვა ობლად მოხუცი დედა, ცოლი და ორი პაწია ბავში.

ქვრივმა მიმართა თელავის დამზღვევ სალაროს პენსიის შესახებ. დაჰპირდნენ, მაგრამ დღემდის საქმე მიწერ-მოწერის პერიოდშია. ოჯახი სიმშილობს.

ამბობენ ქალს ქმრის ნათესავები ბინიდანაც აგდებენო. საჭიროა ვისგანაც ჯერ არს ყურადღება მიექცეს ჯამიაშვილის ობლად დატოვებულ ოჯახს.

ალაზნელი

ლოთი მასწავლებელი
ნაგომარის თემი, გურია

ნაგომარის შვიდწლედის მასწავლებელთა შემადგენლობა დიდად განსხვავდება სხვა სკოლის მასწავლებლებთაგან. აქ არის მასწავლებელი თომა წიტაიშვილი, რომელიც თითქმის სისტემატიურად თვრება. სექტემბერში ხსენებული წიტაიშვილი თავისძ ძმით ვ. ოსიპოვის დუქანში ქეიფობდა, როდესაც მაგრად დათვრენ გამოვიდნენ სასადილოდან. წიტაიშვილს თან ახლდა თავისი ცოლი, შეზარხოშებული ძმები ყვირილით და ლანძღვა-გინებით გაემართნენ სახლისაკენ.

ბაზრის თავში, გზის ორივე მხრით სდგას დიდი წუმპე. აი, ამ წუმპესთან ასტეხეს ჩხუბი ძმებმა და დაუშინეს ქვები ერთი-მეორეს. მასწავლებელ წიტაიშვილმა ესროლა თავის ცოლს ქვა და გადაისროლა წუმპეში მარცხენა მხრით, თვითონაც თავი ვერ შეიმაგრა და მეორე მხრივ გადავარდა ტალახში.

მეორე დღეს წიტაიშვილი მოვიდა სკოლაში და გაკვეთილი გადასცა მოწაფეებს, რომელნიც მოწმენი იყვნენ წინა ღამის სცენის. ამისი არ სცხვენოდა ამ „სახელოვან" პედაგოგს, რადგან მისთვის პირველი არ იყო ასეთი შემთხვევა.

სკოლის გამგემაც დაწვრილებით იცოდა ეს ამბავი, მაგრამ არავითარი ზომები არ მიუღია. ამასთანავე წიტაიშვილი არის ადგილკომის თავმჯდომარე, მაგრამ არც პროფკავშირის სამაზრო გამგეობა აქცევს მასწ. წიტაიშვილს ყურადღებას.

ხსენებულ შვიდწლედში მასწავლებლობს აგრეთვე ვლასა კონტრიძე, რომლისთვისაც ლოთობა პროფესიონალური ხელობაა და მასწავლებელი კაპიტონ ტრაპაიძეც არ ჩამორჩება მათ ლოთობაში. ამასთანავე ტრაპაიძის ზედმეტი ღირსება ის არის, რომ 1927 — 28 წელში ის გამოყოფილი იყო საწევრო ანარიცხების ამკრეფათ, რომელმაც ზაფხულის არდადეგების დაწყების დროს, მასწავლებლებს გამოართვა ანარიცხები, წიგნაკში არ გაატარა და თვითონ მიითვისა.

აი ამ სამი ვარდით შექმნილ თაიგულით ყნოსავს ნაგომარის შვიდწლედის მოწაფეობა, რომელთაც ამ ახალი სკოლის პედაგოგები ლოთობის და გარყვნილების მაგალითს აძლევენ. ამ გარემოებას არ აქცევს ყურადღებას არც განათლების განყოფილება და არც ადგილობრივი ორგანოები.

დროა ნაგომარის შვიდწლედი გაიწმინდოს უღირსი მასწავლებლებისაგან.

მეხი.

საბჭოთა მომავალი არჩევნები

ცენტრ. საარჩევნო კომისიის სხდომა

გუშინ, საღამოს საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში ამხ. ი. **ვარძიელის** თავმჯდომარეობით შესდგა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი გეგმები არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

განხილული იქნა შემდეგი ორგანიზაციების გეგმები:

სახელმწიფო გამომცემლობა

სახელმწიფო გამომცემლობამ,—განაცხადა გამომცემლობის გამგემ ამხ. ბ. **ბიბინეიშვილმა**,—გადაწყვეტილი აქვს არჩევნებისა და საბჭოების შესახებ გამოსცეს მთელი რიგი წიგნები და თვითღირებულების ფასებში გაავრცელოს ისინი. გარდა ამისა არჩევნებთან დაკავშირებით გამოცემული წიგნები მაზრებში დაგზავნილ ცენტრ. საარჩევნო კომისიის რწმუნებულებს გადაეცემა ას-ასი ცალის რაოდენობით ადგილობრივ საბჭოთა მუშაკების შორის უფასოთ გასავრცელებლათ. ამავე შინაარსის წიგნები სამკითხველოებს გადაეცემა უფასოდ.

დელეგატ ქალების მონაწილეობა არჩევნებში

საერთოდ მშრომელ ქალებისა და კერძოდ დელეგატ ქალების მონაწილეობის შესახებ მომავალ საბჭოთა არჩევნებში მოხსენება გააკეთა საქ. კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. **ვარო ჯაფარიძემ**. ქალთა განყოფილებამ, — განაცხადა მან, — უკვე დაუგზავნა ადგილებს შესაფერი ცირკულიარული წერილები არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

ჩვენ ამჟამად საქართველოში გვაქვს 4.000 სადელეგატო პუნქტი, რომლებშიაც ირიცხება 12.000 დელეგატი ქალი. ქალთა განყოფილების გეგმით, 1 იანვრამდე ყველა ამ პუნქტებში ჩატარებული იქნება თათბირები, რომლებზედაც გაშუქებული იქნება არჩევნების მიზნები და ამოცანები და საარჩევნო ინსტრუქციები. ამავე მიზნით ადგილებზე მოეწყობა ქალთა აქტივის კრებები. ადგილებს წინადადება მიეცა აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და იმ დროს ჩაატარონ ფართო მუშაობა, რათა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ამომრჩეველ ქალთა რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა.

კომკავშირი

კომკავშირის არჩევნებში მონაწილეობის გეგმას სხდომას აცნობს ამხ. **ნესტეროვი**. ამ გეგმის მიხედვით კომკავშირის ცეკას გადაწყვეტილი აქვს მოიწვიოს ადგილებზე კომკავშირელების სამაზრო, რაიონული და სათემო თათბირები. ამ თათბირებზე დამუშავებული იქნება არჩევნებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და არჩევნებში მონაწილეობის გეგმები. მოწვეული იქნება აგრეთვე უპარტიო ახალგაზრდობის თათბირები. ყველა ამ თათბირზე საანგარიშო მოხსენებებს გააკეთებენ საბჭოს წევრი კომკავშირელები.

კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე არჩევნების ტექნიკური მხარის მოგვარებაში.

განსაკუთრებული მუშაობა იქნება ჩატარებული ახალგაზრდა მოჯამაგირეთა შორის.

გარდა ამისა ბორჩალოში, ახალქალაქში, ახალციხეში, სამხრეთ - ოსეთში, აფხაზეთში და აჭარისტანში მოწვეული იქნება ცალკე ახალგაზრდა ქალების კრებები, რომლებზედაც განმარტებული იქნება არჩევნების და მასში ქალების მონაწილეობის მნიშვნელობა. არჩევნებში აგრეთვე გამოყენებული იქნება კომკავშირის „მსუბუქი კავალერია" და მოზრდილი პიონერები.

პროფკავშირები

არჩევნებში პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ანთიძემ**. მომხსენებელმა განაცხადა, რომ პროფსაბჭომ უკვე დაუგზავნა შესაფერი შინაარსის მოწოდებები სამაზრო პროფბიუროებს და კავშირების ცენტრალურ გამგეობებს.

გარდა ამისა პროფსაბჭოს დადგენილებით პროფკავშირთა სრულიად საქართველოს ყრილობაზე, რომელიც მოწვეულია 20 ნოემბერს, მთავარი ყურადღება მიექცევა საბჭოთა არჩევნების საკითხს და ამავე დროს დელეგატებს მიეცემათ შესაფერი დირექტივები, თუ როგორ უნდა იქნეს ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე, რომ პროფკავშირების წევრთა რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

არჩევნების წარმატებით ჩატარების მიზნით მაზრებში მოწვეული იქნება პროფბიუროების პლენუმი პროფაქტივთან ერთად, ხოლო თბილისში ქალაქის პროფაქტივის და სადელეგატო კრებები, რომლებზედაც გაკეთებული იქნება შესაფერი მოხსენებები.

პროფსაბჭოს გადაწყვეტილი აქვს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებაში გამოჰყოს 10 პასუხისმგებელი პროფმუშაკი.

ამხ. **დ. ქუჩულორიას** წინადადებით სხდომამ დაადგინა ეთხოვოს პროფსაბჭოს 10-ის მაგიერ გამოჰყოს 20 ამხანაგი.

მიწა-ტყის კავშირი

ამხ. **სიხარულიძემ** სხდომას აცნობა, რომ მიწა - ტყის კავშირმა ადგილებს უკვე დაუგზავნა მოწოდებები არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. კავშირს შემუშავებული აქვს აგრეთვე არჩევნებში მოჯამაგირეთა მონაწილეობის კალენდარული გეგმა. თემებში და რაიონებში მოწვეული იქნება მოჯამაგირე ქალების და კაცების კრებები, რომლებზედაც განუმარტავენ არჩევნებში მონაწილეობის წესსა და არჩევნების მნიშვნელობას. საარჩევნო კამპანიის განმავლობაში გამოვა „მოჯამაგირის ხმა"-ს სპეციალური ნომრები.

ცეკავშირი

ცეკავშირმა ამხ. **მაისურაძის** განცხადებით წინადადება მისცა ადგილობრივ კოოპერატიულ აპარატს დაუბრკოლებლად შეასრულონ საარჩევნო კომისიების დავალებები. არჩევნების შესახებ შესაფერი მუშაობა ჩატარებული იქნება კოოპერატიულ წრეებში და კუთხეებში.

ის კინო აპარატები, რომლებიც ადგილებზე აქვს ცეკავშირს, არჩევნების დროს გადაეცემა საარჩევნო კომისიებს. ცეკავშირის ინსტრუქტორებს ადგილებზე დავალებული აქვთ შეასრულონ საარჩ. კომისიების დავალებანი და ამავე დროს შესაფერი მუშაობა ჩაატარონ კოოპერ. წევრთა შორის. არჩევნებთან დაკავშირებით ცეკავშირი გამოსცემს ბროშიურას: „კოოპერაციის წარსული და მომავალი მუშაობა".

სხდომამ დაადგინა დაევალოს ყველა ორგანიზაციებს წარმოადგინონ არჩევნებში თავიანთი მონაწილეობის წერილობითი გეგმები.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ქსელი გორის მაზრაში

როგორც ყველგან, ისე გორის მაზრაში სას.-სამ. საკრ. ქსელის მუშაობის მიმართულებას განსაზღვრავს მაზრის მეურნეობის ხასიათი. გორის მაზრა არის უაღრესად სასოფლო-სამეურნეო კუთხე. მაზრაში სახნავ-სათესი მიწის სივრცე უდრის 68.100 დესეტინას, აქედან ურწყავი მიწაა 51.518 დეს. პირველი ადგილი სოფლის მეურნეობაში უჭირავს მემინდვრეობას. მაზრაში ყოველწლიურად იხნება და ითესება 58.623 დეს.

სას.-სამ. პროდუქტების გამოსავალი 1925 წელს შეადგენდა 3.700.000 ფუთს, ე. ი. 1913 წელთან შედარებით 337.000 ფუთით მეტს. მიუხედავად ამისა, ბაზარზე ნაკლებად გამოდის პურნახული: თვით მაზრას მოსახლეობას გამოსაკვებად ესაჭიროება 3.022.389 ფუთი, საქონლის საკვებათ—150.000 ფუთი და სათესლეთ 507.400 ფუთი. მაზრა სულ საჭიროებს ყოველწლიურად 3.779.799 ფუთს. ამგვარად ყოველწლიური დეფიციტი უდრის 79.000 ფუთს ნორმალური მოსავლის დროს. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენების გამო მოსავალი საგრძნობლად არის შემცირებული.

მეორე ადგილი მაზრაში უჭირავს მეხილეობას. ხილის ბაღების სივრცე ამჟამად უდრის 2.472 დესეტ. ე. ი. 1913 წელთან შედარებით 605 პროცენტით არის გადიდებული. მეხილეობის ასეთი ტემპით ზრდის მიზეზია ის გარემოება, რომ გორის მაზრის ხილმა თავისი გემოვნებით, გამძლეობით და დახარისხებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხო ქვეყნების ბაზარზე. გორის ხილი უკვე გადაიქცა საექსპორტო საქონლად. ხილის ყოველწლიური მოსავალი უდრის მილიონ ფუთს, მაგრამ ჯერჯერობით ხილის საექსპორტო შესაძლებლობა 300—400 ფუთით განისაზღვრება, დანარჩენი გადის შინაურ ბაზარზე.

შემდეგი ადგილი უკავია მებოსტნეობას. მისი პროდუქცია მილიონ ფუთს აჭარბება, მაგრამ ბაზრის მოუწესრიგებლობა აბრკოლებს მის განვითარებას. მებოსტნეობის სამი მთავარი პროდუქტის კომბოსტოს, პომიდორის, ბადრიჯანის მოსავალი ყოველ წლიურად უდრის 700.000 ფუთს. ამ ქირნახულის დასამუშავებლად მაზრაში შენდება ოთხი საშრობი ქარხანა (გორში, მეჯვრისხევში, შინდისში და ტყვიავში), რომელიც ყოველწლიურად დაამზადებს 400—500 ათას ფუთამდე ბოსტნეულსა და ხილს. თქმა არ უნდა, რომ ქარხნების აგება დიდათ შეუწყობს ხელს ამ დარგების განვითარებას. შაქრის ქარხნის აშენებაც, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტილია, მტკიცე ნიადაგს ქმნის ჭარხლის მეურნეობის განვითარებლად.

მაზრის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მესაქონლეობასაც. მაზრაში ყოველწლიურად იყიდება 1.253.100 მანეთის ხორცი და ძროხეული, რაც 1913 წელთან შედარებით 22 პროც. ზრდას იძლევა. მაზრაში ჯერ-ჯერობით ჩამორჩენილია მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ., რომელთაც, მიუხედავად დღევანდელი ჩამორჩენისა, მაინც აქვს ხელსაყრელი ნიადაგი განვითარებისათვის.

საერთოდ სასოფლო მეურნეობის მთელი პროდუქცია მაზრაში 1926 წელს 19 პროც. სჭარბობს.

როგორც ვხედავთ სასოფლო მეურნეობის ასეთი მდგომარეობა იძლევა დიდ შესაძლებლობას სას.-სამ. საკრ. ქსელის განვითარებლად მაზრაში, მაგრამ სას.-სამ. კრედ. მდგომარეობა არ შეესაბამება მისი განვითარების შესაძლებლობას. 1928 წლის 1-ლ ივლისისათვის მაზრაში მუშაობდა 12 სას.-სამ. საკრ. ამხ-ბა, რომელიც აერთიანებდა 5722 წევრს, ე. ი. მოსახლეობის (35.021 კომლი) 16,3 პროც. 1927 წლის 1-ლ ოქტომბერთან შედარებით წევრთა რიცხვი 2.3 პროცენტით არის გადიდებული. სოციალური მდგომარეობის მიხედვით წევრთა შემადგენლობა ასე ნაწილდება: ღარიბი—34,2 პროც., საშუალო—40,1 პროც., შეძლებული—5,7 პროც. საპაიო თანხა 1927 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის უდრიდა 22.368 მანეთს. (ბალანსის 9 პროცენ. 1928 წლის 1-ლ ივლისისათვის კი 37.793 (ბალანსის 5,3 პროც.), საშუალო პაი თითო წევრზე უდრის 6 მან. და 60 კაპ. 1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის, ამხ-ბებს მიღებული ჰქონიათ 191000 მან. გრძელვადიანი სესხი და 85 ათასი მანეთის მოკლევადიანი. სულ ნასესხი თანხა უდრიდა 276.000 მანეთს (ბალანსის 76 პროც.), საშუალოდ თვითეულ ამხანაგობაზე მოდიოდა 25 ათასი მანეთი. თითო წევრზე 56 მან. 1928 წლის 1-ლ ივლისისათვის გრძელვადიანი სესხი შეადგენს 293 ათას მანეთს, მოკლევადიანი—68 ათას მან. სულ 361.000 მან. ზრდა უდრის 30 პროცენტს, საშუალოდ თვითეულ ამხანაგობაზე მოდიოდა 30.000 მან. თითო წევრზე 63 მან.

ანაბარების ჯამი 28 წლის 1-ლი ივლისისათვის უდრიდა 11800 მან. (ბალანსის 1,7 პროც.), თვითეულ წევრზე მოდის 2 მანეთი. საკუთარი საშუალებები შეადგენენ 1927 წლის 1-ლი ოქტომბრისათვის 58.000 მან. (16,2 პროც.), 1928 წელს 1 ივლისისათვის—92000 მანეთს (ბალანსის 13 პროც.), ანუ თვითეულ წევრზე 16 მანეთს. 1927 წ. ყოველ საკუთარ მანეთზე მოდიოდა 5 მან. ნასესხი, ხოლო 1928 წლის 1-ლი ივლისისათვის ყოველ საკუთარ მანეთზე 4 მან. ნასესხი.

1927 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ამხანაგობებს გაცემული ჰქონიათ 222 ათასი მანეთის სესხი, აქედან გრძელვადიანი სესხი ყოფილა 91 ათასი მან., მოკლევადიანი 131 ათასი მანეთი. საშუალოთ თითო ამხანაგობაზე გაცემულია 20 ათასი მან., თითო წევრზე 45 მან. 1928 წლის 1-ლ ივლისისათვის გაცემული ყოფილა სულ 268 ათასი მან. სესხი, აქედან გრძელვადიანი 165 ათასი მან. მოკლევადიანი 103 ათასი მან.; თითო ამხანაგობაზე გაცემულია 22 ათასი მან., თითო წევრზე 47 მანეთი. ვადაგადაცილებულ სესხების ჯამი 1928 წლის 1-ლი ივლისისათვის შეადგენდა 35.700 მან. ანუ მთელი სესხის (13,3 პროც.). შარშან კი იგი უდრიდა 32.900 მან. ანუ მთელი სესხის 14,8 პროც.

მომარაგებული საქონლის ნაშთი 1927 წლის 1-ლ ოქტომბერს შეადგენდა 24.000 მან 28 წლის 1-ლ ივლისისათვის—61 ათას მან.

1927 წლის 1-ლ ოქტომბერს ამხანაგობათა შემოსავალი უდრიდა 155.000, გასავალი 43.000 მან. ამგვარათ წმინდა მოგება შეადგენდა 11.000 მანეთს. ა. წ. 1-ლ ივლისისათვის შემოსავალი უდრიდა 45.000 მანეთს, გასავალი 52.000 მანეთს, ე. ი. ამხანაგობებს აქვთ 7.000 მან. დეფიციტი. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ამხანაგობებს 1-ლი ივლისისათვის არ ჰქონდათ გატარებული მეოთხე კვარტალის შემოსავალი. შემოსავალი მეოთხე კვარტალში კი გაცილებით უფრო ეფექტიანია, ვიდრე წინა კვარტალებში.

კონტრაქტაციის საქმეში მაზრაში ასეთი მდგომარეობაა: პურის დამზადება სათანადოთ ვერ მოგვარდა, რაც ნაწილობრივათ მოუსავლიანობით და ნაწილობრივ სუბიექტური პირობებით აიხსნება. სამაგიეროთ კარგად ტარდება თესლის კამპანია და ხილის კონტრაქტაცია. მაზრაში სულ დასათესია 20 ათასი ჰექტარი, რაც აუცილებლად დაითესება. დასამზადებელია 300.000 ფუთი ვაშლი, რაც შესრულდება 90 პროცენტით მაინც.

პ. ეფრემიძე.

გაზაფხულის მატყლის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის საქართველოში შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა გაზაფხულის მატყლის დამზადების გეგმა. თათბირს დაესწრნენ: „სოფლის კავშირი"-ს, სააქციო საზ. „შერსტი"-ს, „მწყემსი"-ს და „ბირლიკი"-ს წარმომადგენლები.

გეგმის თანახმად გაზაფხულის მატყლი დამზადებული უნდა იქნეს 55.022 ფუთის რაოდენობით. ამ რაოდენობიდან კონტრაქტაციის წესით დამზადებული უნდა იქნეს 49.593 ფუთი. კონტრაქტაცია ჩატარებული უნდა იქნეს ნოემბრის, დეკემბრის და იანვრის განმავლობაში. აღნიშნული დამზადების ფინანსებით უზრუნველსაყოფად გადადებულია 340.000 მანეთი.

მეცხვარეთა მომარაგების გეგმის თანახმად მეცხვარეთათვის 1929 წლის განმავლობაში შემოზიდული უნდა იქნეს 55 ვაგონი ხორბალი.

შეძლებისდაგვარად მეცხვარეებს ავანსი უნდა მიეცეს ხორბლეულით. დამზადების წარმატებით ჩასატარებლად საჭიროთ არის ცნობილი მეცხვარეთა მომარაგება საქონლის საკვების საკმაო რაოდენობით.

თათბირმა საჭიროთ სცნო გამოყოფილი იქნეს კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენად შესაძლოა ზედნადები ხარჯების შემცირება და საერთოდ დამამზადებელი აპარატის რაციონალიზაცია.

ამხ. ფ. მახარაძე ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა შორის

13 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე ტრამვაის პარკში შესდგა ტრამვაის მუშათა საერთო კრება, რომელზედაც საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე მუშებს ესაუბრა მათთვის მტკივნეულ და საინტერესო საკითხების შესახებ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო, თქვენთან საუბრის სურვილი აღმიძვრა ერთმა უბრალო შემთხვევამ. ამას წინად გორში ვიყავი და იქიდან დაბრუნებისას მატარებელში შევხვდი ტრამვაის ერთ-ერთ მუშას. საუბარში მან განაცხადა რომ ტრამვაის მუშებს ბევრი რამ აწუხებს, მაგრამ არა აქვთ საშუალება ამის შესახებ ხელისუფლებას აცნობონ.

მე მესმის ეს გარემოება. თქვენ იმდენათ ხართ მუშაობაში გართულნი, რომ არ გრჩებათ დრო ყოველ წვრილმანზე, მაგრამ ამავე დროს თქვენთვის საჭირბოროტო საკითხების შესახებ მიმართოთ ხელისუფლებას, გააცნოთ თქვენი ჭირ-ვარამი, თქვენი აზრი ყოველდღიურ მოვლენებზე. არც ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ იმდენი დრო, რომ ყველა მთხოვნელები, მათთვის საჭირო საქმეებზე მოსულნი დაუბრკოლებლად მიიღონ და თავის დროზე გასცენ პასუხი. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პასუხისმგებელი ამხანაგები დატვირთულნი არიან მუშაობით, მთხოვნელები ბევრია და ყველაფერი ეს არ გვაძლევს საშუალებებს, მიუხედავათ ჩვენი დიდი სურვილისა, ყველა თავის დროზე დავაკმაყოფილოთ. ამისათვის საჭიროა, დრო, მოცლილობა. ეს დრო თქვენ არ გაქვთ, ვინაიდან აწარმოებთ აღმშენებლობის საქმეს და არ გინდათ მოცდეთ მუშაობას.

ამიტომ ამხანაგებო! გადავწყვიტე მეპოვა დრო და მოვსულიყავი თქვენთან, რომ პირადათ გავცნობოდი თქვენთვის საჭირბოროტო საკითხებს, ჩემი თხოვნაა დაურიდებლად თქვათ ყველაფერი და გულახდილათ ვისაუბროთ იმაზე, რაც თქვენ გაწუხებთ. ამხ. ფ. მახარაძის სიტყვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მუშებს შორის.

შეკითხვები

მუშებმა ამხ. ფილიპე მახარაძეს მისცეს მრავალი ზეპირი და წერილობითი შეკითხვები. მუშებმა აღნიშნეს, რომ ქუჩებში მოძრაობა არ არის მოწესრიგებული, რის გამო შეუძლებელი ხდება ტრამვაის ვაგონების წესიერი მოძრაობა. ხშირად ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს, რის დროსაც აპატიმრებენ სრულიად უდანაშაულო ვატმანსაც სასამართლოში საქმის გარჩევამდე.

გარდა ამისა მუშები შეეხნენ იმ გარემოებას, რომ ტრამვაის მუშათა ახალ სახლში ჩაასახლეს სხვა დარგის მუშებიც, ეს იმ დროს, როცა ტრამვაის მუშათა უმრავლესობა უბინაოთაა დარჩენილი. ამავე სახლში ჩასახლებულ მუშებს ბინის ქირა არ გადაუხდიათ დღემდე, არც იციან რამდენი უნდა გადაიხადონ. უძრავ ქონებათა სამმართველო კი ამ მხრივ არავითარ ზომებს არ ღებულობს. ამასთანავე მუშებმა აღნიშნეს, რომ ტრამვაის მუშათა სახლი უვარგისია საცხოვრებლად.

მუშები განსაკუთრებით შეეხნენ შტატის შემცირების საკითხს. როგორც მათი შეკითხვებიდან გამოირკვა, მუშებს გადაუწყვეტიათ შტატის შემცირების თავიდან აცილების მიზნით შემოიღონ წელიწადში ორ-ორი კვირით დამატებითი შვებულება ხელფასის მიუღებლად.

მუშებმა აგრეთვე ამხ. ფილიპეს მისცეს შეკითხვები იმის შესახებ, თუ ჯარში გაწვევისაგან რატომ არიან განთავისუფლებულნი შეძლებული კლასის შვილები და სხვ.

ისინი აგრეთვე შეეხნენ კოოპერატიულ სავაჭროებიდან, ხოლო კერძოდ, „საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობიდან" საქონლის გაცემის წესს, რომლითაც სარგებლობენ კერძო პირები და საქონელი გააქვთ სასპეკულიაციო მიზნით; დაწესებულებებში გამეფებულ ბიუროკრატიზმს, რასაც ხელს უწყობენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი მოსამსახურეები და სხვ.

ამხ. ფილიპე მახარაძემ მუშებს გასცა პასუხი და აღუთქვა მათ, რომ მიღებული იქნება სათანადო ზომები მუშების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მათ მიერ აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

ამხ. ფ. მახარაძემ მუშებს აგრეთვე აღუთქვა იმ წერილობითი შეკითხვების გულდასმით განხილვა, რომლებზედაც პასუხის გაცემა ვედარ მოასწრო სიგვიანის გამო.

კახეთის ახალ ცენტრში

(წერილი გურჯაანიდან)

გურჯაანი დიდი და შეძლებული სოფელი იყო, რომელიც მდებარეობდა კახეთის შუაგულში, რკ. გზ. ლიანდაგზე.

ისეთ დიდ და მტკიცე შენობებს, როგორიც გურჯაანშია, კახეთის ბევრ სოფლებში ვერ შეხვდებით.

გურჯაანის სიმდიდრე მისი ვენახებია, რომელნიც იძლევიან საუკეთესო ხარისხის კახურ ტიპის ღვინოებს.

ამ სოფელში ბევრ გლეხს ჰქონდა გაყვანილი თავის სახლში ელექტრონის შუქი. ამგვარად გურჯაანმა ელექტროფიკაციაში ბევრს სოფელს გაუსწრო.

გურჯაანის მეორე სიმდიდრე არის ახტალის ტალახი. ტალახმა თავისი თვისებებით უკვე დაიმსახურა საბჭოთა კავშირში სახელი და დიდძალ ავადმყოფებს იზიდავს ყველა კუთხიდან. კურორტზე ჩამოსული ხალხი საგრძნობ დოვლათს სტოვებს ადგილობრივ გლეხებში, რომელნიც ასაღებენ აქ თავიანთ ნაწარმოებს. კურორტი დღითი-დღე იზრდება და უმჯობესდება კიდევაც მოწყობილობის მხრივ.

მაზრის ცენტრად გადაქცევამდე გურჯაანში გარდა თემაღმასკომისა არსებობდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, მომხმარებელთა საზოგადოება და კომუნალურ მეურნეობის თბილისის ბანკის განყოფილება, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა.

მთელი კულტურული მუშაობა მიმდინარეობდა რკ. გზის თეატრში, რომლის შენობა ქალაქშიაც არ დაიწუნება.

საერთოდ, როგორც სოფელში, ისე სადგურზე ჩვეულებრივი, დინჯი ცხოვრება და მუშაობა მიმდინარეობდა. დღისით გამვლელი მატარებელი ცოტათი გამოაცოცხლებდა დადინჯებულ არეს.

მაზრის ცენტრის გადმოტანის შემდეგ, ცხოვრება უცბათ შეიცვალა. გამოიცვალა თვით ის ხალხი, რომელიც პროვინციალურ ცხოვრებას ეწეოდა. მოსულებმა შემოიტანეს ახალი ცხოვრების შექმნის ენერგია. სოფელი და სადგურის მიდამოები გაივსო ახალი ხალხით: სამაზრო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებით. შეიქმნა ბინის არაჩვეულებრივი კრიზისი. ბინის პატრონებმა ოთახებზე ფასები ასწიეს, რომ ცოტათი ეშველნათ საქმისათვის სიღნაღიდან ჩამოიტანეს „გლეხის სახლი" და ისიც აღმასკომის თანამშრომლები ვერსად ეტევიან. თვითეულ ოთახში 3—4 პიროვნება ცხოვრობს, დაწესებულებებშიაც ბევრს სძინავს მაგიდებზე.

აღმასკომმა დაიწყო ერთი შენობის აგება. ეს შენობა მალე დამთავრდება, მაგრამ საბინაო კრიზისს მაინც ვერ შეამსუბუქებს.

1-ლ ოქტომბერს დაიხურა კურორტი ახტალა. თითქმის ყველა ბარაკები დაკავებულია დაწესებულებების თანამშრომლებით, მაგრამ ზამთარში ამ შენობებში ცხოვრება შეუძლებელი იქნება.

დიდხანს იყო დავა იმის შესახებ თუ სად უნდა აეშენებინათ ქალაქი. ზოგს უნდოდა აქვე რკინის გზის სადგურთან, ზოგი ურჩევდა ახტალის მაღლა მთაზე გაშენებას. ბოლოს გაიმარჯვა მესამე ვარიანტმა: ქალაქი შენდება სოფლის ნაწილში, რომელიც სადგურიდან ხევითაა გამიჯნული. ეს კარგი, მაღლობი ადგილია. ქალაქის დაგეგმვა მიდის ჩქარი ტემპით. ამ დღეებში გეგმა მზად იქნება.

გურჯაანში არაფრად არ ვარგოდა გზები. წვიმების დროს ქუჩებში გავლა შეუძლებელი ხდებოდა. მიღებულ იქნა ზომები მათ შესაკეთებლად. დაიყარა ქვიშა, ხრიოკი და იტკეპნება სატკეპნი ტრაქტორებით.

მუშაობა სწარმოებს გაცხოველებულად აღმშენებლობის ფრონტზე.

ახალმა ცენტრმა მიიზიდა სხვა ხალხიც. ქუჩები სავსეა ჩამოსულ გლეხებით, ჩარჩ-ვაჭრებით, მუშებით. კოოპერატიული სასადილო ვერ ასდის მოსადილეთა დაკმაყოფილებას. რკინის გზის სადგურის ბუფეტიც დღე და ღამე მუშაობს.

ეხლა გურჯაანის რაიონში გადაბმულა რთველია. ყურძნის მოსავალი ბარაქიანი გამოდგა. აქ ღვინოს ამზადებენ სახალხო მამულები და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები. თეთრი ყურძნის ღირებულება ორი მანეთი და 50 კაპ. წითელზე სამი მანეთი ფუთში.

გლეხობას იმდენი ყურძენი მოაქვს, რომ დამამზადებელნი ვერ ასწრობენ ქვევრების გამზადებას და მიღებას.

საერთო გაცხოველებულ საქმიანობაში [illegible] მიყუჩებიათ კულტურული მუშაობა, თეატრი სუსტად მუშაობს, მოხსენებები, ლექციები იშვიათად იმართება.

ჟურნალ-გაზეთებს თუ მატარებლის მოსვლისთანავე მიუსწრე, თორემ მერმე მანეთად ვერ იშოვი ნომერს. „კომუნისტს" საერთოდ გურჯაანში ძნელად ეღირსები. ამავე დროს რაღაცა პატარა კიოსკი კი მიყუჩებულა მარცხვად სადგურის ბუფეტის კუთხეში. მაგრამ მის გამგემ ალბად არ იცის ვარაუდითაც რამდენი ცალი, რომელი გაზეთისა არის გურჯაანისათვის საჭირო. ჯერ ის კიდევ არ გაცნობია მკითხველებს.

ალაზნელი.

მალარიისა და სხვა ტროპიკული სენების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი საქართველოში

მალარია რომ ძლიერ არის გავრცელებული ჩვენში, ეს თითქმის ყველამ იცის და ნამეტურ იმ გლეხობამ, რომელიც საუკუნოებით ამ სენის მსხვერპლია, მაგრამ დაავადების გავრცელების ხარისხი მტკიცედ და მეცნიერულად გამოკვლეული და შესწავლილი ჯერჯერობით არ არის. ჯ. ს. კ. სანეპიდემიის სტატისტიკური ქვე/განყოფილების ცნობებით, სრულიად საქართველოში მალარიით იყო დაავადებული: 1910 წ.—177,441 ადამიანი, 1913 წ.—165,116, 1921 წ.—94,247, 1922 წ.—350,728, 1923 წ.—332,588, 1924 წ.—176,562, 1925 წ.—216,937, 1926 წ.—247,443, 1927 წ.—210,054, მაგრამ ეს რიცხვები სინამდვილეს სავსებით ვერ გამოხატავს, რადგან აღრიცხვაში ხვდებიან მხოლოდ ის ავადმყოფნი, რომელნიც სამკურნალო დახმარებისთვის საექიმო წერტებს ან საავადმყოფოებს მიმართავენ, ხოლო ვინც კი ამათ ვერ მიმართავს ავადმყოფობის სიმძიმისა თუ დახმარების სიშორის გამო, ის აღურიცხველი რჩება. ჩვენს სინამდვილეში მალარიანების წლიური რაოდენობა მოყვანილ რიცხვებზე ბევრად უფრო მეტია. ტროპიკულ მედიცინის მუშაკთა წარმომადგენლების თათბირმა, რომელიც ამა წლის ივლისში მოხდა, კათეგორიულად აღიარა, რომ სრულიად საქართველოში წლიურად 600.000 ადამიანია მალარიით დაავადებული. ეს დიდი უბედურებაა! უეჭველია, რომ მალარიით დაავადებულთა შორის სიკვდილიანობა წლიურად ერთ პროცენტს მაინც უდრის, ე. ი. წელიწადში საქართველოში პირდაპირ მალარიით ჰკვდება 6.000 ადამიანი. ვინც პირდაპირ მალარიით სიკვდილს გადაურჩება, ის მაინც ფიზიკურად დასუსტებული და დაბეჩავებულია ნამეტურ მაშინ, როდესაც ჯეროვანი მკურნალობა არ არსებობს და ჩვენში კი ამნაირი მკურნალობა არ არსებობს, ქინაქინის საკმაო რაოდენობის უქონლობის გამო. ცნობილია, რომ მალარია ამნაირივე ზოგადი და ადამიანის ჯანმრთელობის შემმუსვრელი ინფექციაა, როგორც ლუესი. მალარიული ინფექცია იწვევს საჭმლის მოსანელებელ, სასუნთქავ, სისხლის მიმოქცევის, შინაგან სეკრეციის, სასქესო ორგანოების დაავადებასა და დაზიანებას, იწვევს ნერვების სისტემის და სულიერ დაავადებას და, საზოგადოდ, ადამიანის ფიზიოლოგიურ წონასწორობის დაქვეითებას. პროფესორი Sallmayer-ი ჰფიქრობს, რომ მალარია აზიანებს თვით შთამომავლობითი პლაზმას. როგორც სხვა ქვეყნებში, აგრეთვე ჩვენში მალარიის გამო ზოგადი სიკვდილიანობა და ნამეტურ ბავშთა სიკვდილიანობა ფრიად მაღალია და დაბადება კი შედარებით მცირეა. ეს ხომ ხალხის გადაგვარებისა და გადაშენების ნიშანია? რადგან ჯეროვანი მკურნალობა არ არსებობს, მალარიანები ჩვენში უმთავრესად ქრონიკული ავადმყოფები არიან. მოურჩენელ მალარიანებს კი სიცოცხლის ყოველი უნარი დაქვეითებული აქვთ. ამიტომ მალარიანებს ძლიერ ადვილად ემართებათ ყოველი სხვა ავადმყოფობა, რასაც მალარიით დასუსტებული ორგანიზმი ძნელად იტანს. ამიტომ გასაგებია, რომ საქართველოში მალარიან ადგილებში ზოგადი სიკვდილიანობა უფრო დიდია, ვიდრე უმალარიო ადგილებში. ეს მოვლენა აგრეთვე ხალხის გადაგვარების უტყუარი ნიშანია. ხალხის გადაგვარების ნიშანია ის გარემოებაც, რომ ჯარში გაწვევის დროს გასაწვევთა დიდი პროცენტი მალარიის გამო უვარგისად ირიცხება. თუ საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა ფრიად შემცირდა, ეს არა მხოლოდ ომიანობის ან სხვა ხალხოსნურ უბედურებათა შედეგი იყო, არამედ, უმთავრესად, მალარიის გავლენა. ამნაირივე მდგომარეობაა აღიარებული ისტორიკოსების მიერ საბერძნეთის და იტალიის მოსახლეობის შესახებ. „Erschreckend war dje Bedeutung der Malaria im Mittelalter für Italien,—იტყვის Ziemann-ი,—indem sie ganze Stätte entvölkerte" *).

მალარიამ გაანახევრა კორსიკის მოსახლეობა ორი საუკუნის განმავლობაში. განა ნაკლებ უბედურებას უქადის საქართველოს მოსახლეობას ექვსასი ათასი მალარიანი წლიურად?) მაგრამ მოსახლეობის სიკვდილიანობას, რომ თავი დავანებოთ და გამოვიანგარიშოთ, თუ ფულად რამდენი უჯდება წლიურად ხალხს მალარიით ავადმყოფობა, ძლიერ დამაფიქრებელ მოვლენას აღვნიშნავთ. როგორც ვიცით, მალარია მუდმივ არის ჩვენში, მაგრამ უფრო მძვინვარებს იგი ადრე გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ე. ი. იმ დროს როდესაც სოფელში მუშაობაა გაჩაღებული. ამ ხნის განმავლობაში ყოველ მალარიანს, თუ მხედველობაში მივიღებთ მისი ავადმყოფობის პირველ შეტევას და შემდეგ შებრუნებებს, სულ უკანასკნელი 20 დღე გაუცდება. ვთქვათ, გლეხის დღიური მინიმალური ხელფასი ათ შაურს უდრის, მაშასადამე, მალარიის გამო ერთი გლეხი წლიურად 10 მანეთს ჰკარგავს, 600 ათასი მალარიანი კი—6 მილიონ მანეთს.

რომ მალარია ხალხის დიდი უბედურებაა, ამას ყური მაინც შეჩვევია ჩვენში, თუ გული კიდევ ვერ გრძნობს ამას სავსებით და გონებას კიდევ არ ესმის მისი მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენს ხალხს სხვა უფრო საშინელი სენი სჭირს კიდევ, რომელიც უფრო მეტად ანადგურებს მის ფიზიკურ და ზნეობრივ არსებობას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ანკილოსტომიაზი ანუ იმ საშინელი ტროპიკული ჭიით დაავადება, რომელიც მეცნიერებაში ცნობილია „ანკილოსტომა"-ს სახელით. ამ ჭიით საზოგადოდ, ფრიად დაავადებულია მოსახლეობა აზიაში, აფრიკაში, პოლინეზიაში, ავსტრალიაში და სამხრეთ-ამერიკაში. ჩვენში, რამდენადაც ჯერჯერობით გამორკვეულია, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარისტანი და აფხაზეთი მთლიანად არის დაავადებული ამ სენით. ეს პაწაწკინა ჭია კანში შეუძვრება ადამიანს და უმთავრესად თორმეტგოჯა ნაწლავში ჰბუდობს. იწვევს საშინელ ანემიას, სხეულის ზოგად ინტოქსიკაციას, მკაცრ სიგამხდრეს, გულისა და ნერვების სისტემის დაავადებას, სიუძლურეს, ზოგად მოსხლეტილობასა და ბოლოს სიკვდილს. თუ ავადმყოფობა მოზარდ არსებას შეეყარა, მისი ზრდა და განვითარება იმდენად შეჩერდება, რომ 16 წლის ახალგაზრდას 8—10 წლის შეხედულება აქვს. დედაკაცს ეკარგება განაყოფიერების უნარი, საზოგადოდ კი სნეულება ადამიანის ზნეობასა და ხასიათს აქვეითებს.

ანკილოსტომიანი ადამიანი ხშირად მატყუარაა და ქურდი. ამ სნეულებიდან ადამიანის განკურნება სრულიად შესაძლებელია,-მაგრამ თვით სნეულების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც სოციალურ მოვლენისა, ძლიერ რთული პრობლემაა, რადგან ავადმყოფობის გავრცელება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი გლეხობის ბუნებრივ, ეკონომიურ, სოციალურ და ცხოვრების სხვა პირობებთან. ვრცელდება სენი ჭიის კვერცხების საშუალებით, რომელსაც ადამიანი გამოჰყოფს განავალში პრიმიტიულ პირობებში, რადგან ჰიგიენური საპირფარეშო სოფლებში არ არსებობს. ჩვენი ქვეყნის სითბო და სინესტე ხელს უწყობს ჭიის კვერცხების განვითარებას. ფეხშიშველა ადამიანი ადვილად შეეხება ამ პირობებში განავალს და პარაზიტის შეჭრა მის სხეულში უზრუნველყოფილია. ავადმყოფობის გავრცელების პირობებისა და თვით მისი არსების მოკლე დახასიათება აშკარად გვიჩვენებს, რომ ანკილოსტომიაზი ჩვენში, როგორც აგრეთვე სხვა ქვეყნებში, საშინელი სოციალური უბედურებაა.

ჩვენში არსებობს აგრეთვე სხვა ტროპიკული ჭიები, რომლებიდან ზოგიერთი ცოტაოდნად შესწავლილია და უფრო მეტი კი ჯერჯერობით შეუსწავლელი. ჩვეულებრივი ჭიები კი, რომლებიც უკვე საუკუნოებით მოშინაურებულია, ხომ ფრიად არის გავრცელებული, როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთ საქართველოში. ამიტომ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვეულებრივი ჭიებით დაავადება ანუ ჰელმინთიაზი აგრეთვე საშინელი სოციალური უბედურებაა ჩვენი ხალხისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში ჭიები იწვევენ მძიმე კლინიკურ მოვლენებს, როგორიცაა მძიმე ანემია, რთული ნერვიული მოვლენები, ნაწლავების დაავადება, ზოგადი ინტოქსიკაცია და სხვა, და ზოგიერთ შემთხვევაში კი ჭიები ვითომ შეუმჩნევლად არსებობენ ადამიანის სხეულში, მაგრამ, უეჭველია, რომ ისინი იწვევენ აგრეთვე ადამიანის სხეულის ფიზიოლოგიური წონასწორობის დაქვეითებასა და პათოლოგიურ მოვლენებს, რომელნიც ჯერ სავსებით გამორკვეული არ არის მეცნიერებაში.

მძიმე სოციალურ დაავადებას წარმოადგენს ჩვენში აგრეთვე ამებიური დიზენტერია ანუ ამებიაზი, რაც ჩვენ ჯერ 1925 წელს აღვნიშნეთ: „ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამებიაზი მეტად მტკივნეულ საკითხად არის დასმული თანამედროვე მეცნიერებაში და ცხოვრებაში. ამებიურ დიზენტერიის საკითხი ბევრად უფრო რთული და მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე ჩვენ გვგონია; რთული და მნიშვნელოვანი, როგორც საზოგადოებრივ ეროვნულის, აგრეთვე პათოლოგიისა და კლინიკის თვალსაზრისით. ენდემიური იყო და დროგამოშვებით ეპიდემიურ ხასიათს იღებდა წინედ, დიდი ომის შემდეგ კი ეს სნეულება პანდემიური გახდა ჩვენში. როგორც მალარია ამებიური დიზენტერია ომის დროს და მას შემდეგ საზოგადოდ ძლიერ გავრცელდა სხვა ქვეყნებში ჯარებისა და ხალხის გადაყვან-გადმოყვანის, დაკლებული და უვარგისი საზრდოობისა და ცხოვრების სანიტარულ - ჰიგიენურ პირობების დაქვეითების გამო („ამებიაზისა და მისი თერაპიის საკითხი").

ამ უკანასკნელ წლებში სენის ეპიდემიის სიმწვავემ იკლო, მაგრამ ამით ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობა სრულებით არ გაუმჯობესებულა. საქმე ის არის, რომ სასტიკი ეპიდემიის დროს ამ სნეულების მკურნალობისათვის უმთავრესად საჭირო წამლები (ემეტინი,იატრენი,სტოვარსოლი) ჩვენში საკმარისად არ მოიპოვებოდა ისე; როგორც არ მოიპოვება დღესაც. ვინაიდან წესიერი მკურნალობა არ არსებობდა, ამებიაზის მკვეთრი ფორმები ქრონიკულად იქცენ. ქრონიკული ამებიაზი კი ისეთ სხვადასხვანაირსა და თავისებურ ფორმებს იღებს, რომ თვით ექიმებსაც უჭირთ ხშირად მისი გამოცნობა, ნამეტურ ჩვენს სინამდვილეში, როდესაც პათოგენურ პროტოზოათა გამოსაკვლევად ლაბორატორიები არც ცენტრში და არც ადგილობრივად ჯეროვნად არ არის მოწყობილი არც პერსონალითა და არც სამეცნიერო იარაღებით. მაშასადამე, ჩვენში ამებიაზის არც დიაგნოზისა და არც თერაპიის საქმე მოწესრიგებული არ არის. ამნაირი მდგომარეობა მით უფრო საყურადღებოა, რომ ამებიაზი არა მხოლოდ ადგილობრივი (ნაწლავების) პროცესია, რომელიც მძიმე გართულებას იწვევს სხვადასხვა ორგანოების მხრით, არამედ აგრეთვე მთლიანად შხამავს დაავადებულის სხეულსა. და აქვეითებს მის ფიზიკურსა და ზნეობრივ არსებობას.

ამებიურ დიზენტერიას გარდა არსებობს ჩვენში აგრეთვე ბაცილარულიც, რომელიც ხანდახან ეპიდემიურ ხასიათს იღებს, მაგრამ მისი ბუნება საქართველოში შესწავლილი და გამორკვეული არ არის.

ნაწლავების პროტოზოული დაავადებანი, რომლებსაც ლამბლიები, ბალანტიდიები, ტრიხომონადები და სხვ. იწვევენ, ძლიერ გავრცელებულია საქართველოში. სხვა სენთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე პელაგრისა, პაპატაჩის და სპრუეს გავრცელება საქართველოში.

ჩვენ სრულიად მოკლედ დავახასიათეთ ტროპიკული სენებით საქართველოს დაავადება, მაგრამ ეს მოკლე დახასიათებაც უტყუარად გვიჩვენებს, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი ხალხი, აქედან აშკარაა აგრეთვე, რომ ტროპიკული სენების წინააღმდეგ ბრძოლა ძირითად სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოვალეობას შეადგენს ჩვენში. ამავე დროს კატეგორიულად უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საკითხის ჯეროვანი გადაწყვეტა ძლიერ რთული და ძნელი საქმეა. საქმის სიძნელე და სირთულე დაგეგმულ მუშაობას, მტკიცე სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას და ხალხის ამოქმედებას მოითხოვს ტროპიკულ სენებისგან თავის დასაცავად.

ტროპიკული სენების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა ჩვენში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში სხვადასხვა სახით ხშირად არის შემუშავებული და დასაბუთებული. როგორც ცნობილია, ტროპიკული მედიცინა და ჰიგიენა შეიქმნა და ფრიად განვითარდა ევროპა-ამერიკაში უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში. ამ დარგში მტკიცედ არის შესწავლილი, როგორც ტროპიკული პათოლოგია, აგრეთვე ტროპიკული სენების საწინააღმდეგო ღონისძიებანი. მსოფლიო ტროპიკული მედიცინის დებულებათა მიხედვით არის შედგენილი ტროპიკულ პათოლოგიის შესწავლისა და ტროპიკული სენების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა საქართველოში. ამ გეგმის შინაარსი მოკლედ ასე გამოიხატება: ტროპიკული პათოლოგიის შესწავლა, ავადმყოფთა ნამდვილი აღრიცხვა, ტროპიკული სენების გავრცელების ხარისხის და ხელშემწყობ ბუნებრივ, სოციალურ და ეკონომიურ პირობების გამორკვევა, ხალხის განკურნება - გაჯანსაღება, საზოგადოდ და განსაკუთრებით, ტროპიკულ სენებისგან. აქ არ კმარა მხოლოდ მაშინ ხმაურობის ატეხა, როდესაც ტროპიკული სენების ეპიდემია კარზე მოგვადგება მთელი თავისი სიმკაცრით, არამედ საჭიროა გამუდმებული მუშაობა ამ მიმართულებით, გამუდმებული, ესე იგი გაზაფხულიდან შემოდგომამდე და შემოდგომიდან გაზაფხულამდე.

ფრიად მიზანშეწონილია კოღოების მოსასპობად მათი მჭამელი მტრების ფართოდ მოშენება, როგორიც არიან სხვადასხვა ჯიშის თევზები (გამბუზია), ღამურები და სხვა, მაგრამ მთავარი ღონისძიება მალარიისა და სხვა ტროპიკული სენების საწინააღმდეგოდ არის ჭაობების გაშრობა, წყალგუბეების მოსპობა, წყალთა მდინარეების მოწესრიგება და, საზოგადოდ, ადგილების გაჯანსაღება „ფართო" და „მცირე" ფარგლებში — (Bonificatio magna et Bonificatio parva). ამ დიადი მიზნების განხორციელებისთვის საჭიროა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ფართო ორგანიზაცია და, უწინარეს ყოვლისა, ხალხის გათვითცნობიერება ამ საკითხების შესახებ, და მისი ამოძრავება და ამოქმედება მალარიისა და სხვა ტროპიკული სენების წინააღმდეგ საბრძოლველად. თუ თვით ხალხმა არ შეიგნო ამ საქმის სიდიადე, თუ ფართო მასებმა არ მიიღეს მოქმედი მონაწილეობა ამ საქმეში, ამაოდ ჩაივლის მხოლოდ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ზრუნვა და მოღვაწეობა. რაც შეეხება თვით საქმის მოწყობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში უკვე არსებობს გეგმაზე შექმნილი სპეციალური ორგანიზაცია. აქ აღსანიშნავია, სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ორგანოთა გარდა, ჯ. ს. კ. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი და ცხრა ტროპიკული სადგური საქართველოს მაზრებში, ამ.-კავკ. რკინისგზის ცენტრალური ტროპიკული სადგური და მისი პროფილაქტიური რაზმები, აფხაზეთის ტროპიკული ინსტიტუტი და მისი პროფილაქტიური რაზმები, აჭარისტანის ც. ტროპიკული სადგური და თბილისის აღმასკომის ტროპიკული დისპანსერი. მცირე არ არის ამ დაწესებულებათა მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობა. ასზე მეტი სამეცნიერო შრომაა მათ მიერ გამოქვეყნებული სპეციალურ დარგიდან, ბევრი სამეცნიერო პრაქტიკული ექსპედიცია არის მათ მიერ შესრულებული; მცირე ღვაწლი არ მიუძღვით მათ საქართველოს შესწავლაში ტროპიკულ მედიცინის თვალსაზრისით, არა ერთი ათეული ათასი ავადმყოფია მათ მიერ განკურნებული. 87 ექიმია ჯ. ს. კ. ტროპიკულ ინსტიტუტის და 75 პროფილაქტიკური მუშაკი თბილისის აღმასკომის დისპანსერის მიერ მომზადებული. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მოფიქრებული გეგმით არის შექმნილი ეს დაწესებულებანი და სრულიად სწორის გზით სწარმოებს მათი მუშაობა, მაგრამ მათი ორგანიზაცია გაფართოებასა და გაღრმავებას მოითხოვს.

ადგილების გაჯანსაღება ქვაკუთხედია ტროპიკულ სენების წინააღმდეგ ბრძოლაში და, იმის მიუხედავად, რომ ეს საქმე ფრიად რთულია და ერთობ დიდ თანხებს მოითხოვს, მაინც შესაძლებელია ამ საქმესთან რეალურად მიდგომა. აგრეთვე მრავლის საქმეა მოსახლეობის საზრდოობის გაუმჯობესება, ჰიგიენური სახლების აშენება და ჰიგიენური ტანსაცმელ - ფეხსაცმელი. მით უფრო სავალდებულოა, რომ, სანამ ხალხის ცხოვრების პირობები სრულიად გაუმჯობესდება, ავადმყოფთ წესიერად ვუმკურნალოთ და წამლები მივაწოდოთ. აქ კი დაბრკოლებები გვეღობება წინ. ქინა-ქინა არ გვაქვს საყოფი.

ზემოთ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ანკილოსტომიაზით დაავადებულია დასავლეთი საქართველო, მაგრამ, უსახსრობის გამო, ვერ მოვახერხეთ გაგვეგზავნა სამეცნიერო პრაქტიკული ექსპედიცია ადგილობრივად საკითხის დაწვრილებით გამოსაკვლევად. აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ ამებიაზი და ნამეტურ მისი ქრონიკული ფორმები ძლიერ გავრცელებულია ჩვენში და იმავე დროს მისი საწინააღმდეგო ძირითადი წამლები (იატრენი და სტოვარსოლი) სრულებით არ მოიპოვება. გვშორის, მაგრამ ჩვენში რომ შავი ჭირი ან ხოლერა გაჩნდეს, მათ წინააღმდეგ ყოველი ღონისძიება იქნება დაუყოვნებლად ნახმარი ისე, რომ ფინანსიურ მხარეზე სიტყვაც არ დაიძრება, განა მალარია და ანკილოსტომიაზი ბევრად უფრო საშინელი არ არის ხალხისთვის, ვიდრე ხოლერა და შავი ჭირი! განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ შავი ჭირი ან ხოლერა უეცრად იფეთქებს და დააფრთხობს ჩვენს სულიერ სიმშვიდეს, მალარია და ანკილოსტომიაზი კი შეჩვეული ჭირია, არავის აშინებს, ხოლო ორივე ჯგუფის ავადმყოფობის მსხვერპლს კი ვერავინ მოსთვლის. თუ ხალხი ტროპიკული სენებისგან არ გაჯანსაღდა, არავითარ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, და ტროპიკული სენების წინააღმდეგ ბრძოლა და ყოველი ანტიტროპიკული ორგანიზაცია არა უწყებრივი, არამედ უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმეა. თუ ამ დებულებას მივიღებთ, და მისი არ მიღება კი შეუძლებელია, მაშინ ამ უდიდესი საქმისთვის თანხე-

---

*) საშინელებას წარმოადგენდა იტალიისთვის მალარია საშუალო საუკუნოებში, როდესაც მან მთელი ქალაქები ამოსწყვიტა.

საყურადღებო წვრილმანები

თბილისის გარე უბნებში კულტურული და აღმშენებლობითი მუშაობა მოიკოჭლებს.—ქუთაისის ალმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება ყურადღებას არ აქცევს ქალაქში წესრიგის დაცვას.—ზაჰესის ენერგიით სარგებლობის პირობები უმჯობესდება.—მეტი ყურადღება ტრამვაის წესიერ მოძრაობას

ამხ. ფ. მახარაძის უბანი

(ყოფ. საბურთალო)

თბილისში არ არის კულტურულად ისეთი ჩამორჩენილი უბანი, როგორიც ყოფ. საბურთალო. სიდიდით ეს უბანი თბილისის არც ერთ უბანს არ ჩამორჩება, მცხოვრებთა უმრავლესობაც მუშა-მოსამსახურენი და გლეხები არიან, მაგრამ კულტურული მუშაობა მაინც არ სწარმოებს, უბანი მაინც ჩამორჩენილია ყოველმხრივ.

არის ოთხამდე სასწავლებელი. საავადმყოფო, წიგნთსაცავ-სამკითხველო, კოოპერატივი, ახალგაზრდათა კოლექტივი და სხვა. მოიპოვება აგრეთვე საკმაოდ მომზადებული ინტელიგენტური ძალებიც. უმეტესად მასწავლებლობა, მაგრამ სამწუხაროდ ისინი რატომღაც გაურბიან კულტურულ მუშაობას. თვით სახალხო სახლის გამგეობის მუშაობა თვეში თითო-ოროლა წარმოდგენის დადგმას არ გასცილებია. მისი კულტურული მუშაობა მხოლოდ დილიდან საღამომდე „დუბეშის" ძახილით განისაზღვრება. სახლთან არ არსებობს წრეები და თუ არსებობს, ისიც მხოლოდ ქაღალდზე. არც წიგნთსაცავ სამკითხველოსთან არსებობს რაიმე წრე. არის დრამწრე, რომელიც არაფერს აკეთებს. აქაური ინტელიგენცია არამც თუ მონაწილეობას იღებს კულტურულ მუშაობაში, არამედ არც კი იცის სად არის სახალხო სახლი. ბევრი მათგანი, ქუდი რომ შეუგდოთ სახალხო სახლში, შიგ გამოსატანათაც არ შევა.

არც ცენტრი იწუხებს თავს მაინცა და მაინც ამ უბნის საქმიანობაზე. არავითარი ხელმძღვანელობა. არავითარი ყურადღება არავისგან არ არის. სახალხო სახლის გამგეობამ განიზრახა ბაღის გაშენება. ამისათვის მიმართეს კიდეც ცენტრს დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დაწყებული საქმე უშედეგოთ დარჩა.

ამაში ადგილობრივ მომუშავე აქტიურ ამხანაგებსაც მიუძღვით ბრალი: მათ ვერ შესძლეს ჩაეთრიათ მუშაობაში ადგილობრივი ძალები.

შემდეგში ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ადგილობრივი ინტელიგენცია უნდა ჩაებას კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში. მათ დიდი მოვალეობა აქვთ ამ მხრივ დაკისრებული და ბევრის გაკეთებაც შეუძლიათ, მხოლოთ სურვილია საჭირო, დროა შეუდგეთ კულტურულ მუშაობას ამ უბანშიც.

გოგიტო ციმბირელი.

—:—

უსუფთაობა და უწესრიგობა

(ქუთაისი)

ქუთაისის ზოგიერთი უბანი აუტანელ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ანტისანიტარია კი ყოველგვარ ავადმყოფობასა და ეპიდემიას ავრცელებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აუტანელ მდგომარეობაშია ბროსეს ქუჩა და მის ახლო, ადმინგანის წინ არსებული მოედანი. აღნიშნულ ადგილზე თავს იყრიან სოფლებიდან ჩამოსული მეურმეები, რომლებსაც ჩამოაქვთ გასაყიდათ შეშა და სხვადასხვა სასოფლო ნაწარმოები.

განსაკუთრებით ოთხშაბათობით და პარასკეობით ქუჩა ისეა გაჭედილი, რომ ყოვლად შეუძლებელია გავლა. მოძრაობა თითქმის ერთიანად შეწყვეტილია. წესრიგზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია; ლანძღვა-გინება და ცემა-ტყეპა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. ყოველივე ეს ხდება ქალაქის ცენტრში—ქუთაისის ადმინგანის ცხვირის წინ.

მილიცია გრძნობს, რომ აქ სისუფთავე და წესრიგი არ არის და „სათანადო ზომებსაც ღებულობს"; თვეში ერთხელ გამოუცხადებს მეურმეებს, რომ ამ ადგილას გაჩერება არ შეიძლება და მიუთითებს მათთვის მიჩენილ ადგილს. მორჩა და გათავდა. მილიცია თავის მოვალეობას ამით ასრულებს. მეურმეები კი ისევ თავისას განაგრძობენ, ერთხელ არჩეულ ადგილს არ სცილდებიან. მომავალში რა იქნება არ ვიცით. ჩვენ კი მოვითხოვთ სისუფთავესა და წესრიგს.

მნახველი.

—:—

უყურადღებობის მაგალითი

ერთ თვეზე მეტია რაც სოხუმის ქუჩა, სადაც მოთავსებულია რკინის გზის მე-10, მე-7 და მეთერთმეტე სკოლები, თითქოს გამზადეს მოსაკირწყლავად, მიწა ამოთხარეს, ცოტაოდენი ქვა და ქვიშა დაყარეს, მაგრამ მას შემდეგ მუშაობა შეწყვეტილია. ახლა ქუჩაზე სულ აღარ შეიძლება გავლა ზოგი წყლის გამო, ზოგიც ქვების და ქვიშის გამო.

საჭიროა თბილისის ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და დაწყებული საქმე დროზე დაბოლოოს.

ჭალარა.

მუშკორთა წრეების შესახებ

მუშ-გლეხკორთა სრულიად საკავშირო მეოთხე თათბირთან დაკავშირებით, მუშკორთა მოძრაობის წინაშე წამოიჭრა მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხებისა, რომლების გადაჭრა საბოლოოდ უზრუნველყოფს მუშგლეხკორთა მოძრაობას სწორი ხელმძღვანელობით.

ამ საკითხთა შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა საკითხი მუშკორთა წრეების საჭიროებისა და სარედაქციო კოლეგიის არჩევის შესახებ. იყო დრო, როდესაც კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის ირჩევდნენ არა მუშ-გლეხკორთა წრეები, როგორც ეს ხდება დღეს, არამედ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები.

დღეს ასე აღარ არის. დღეს კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას, მუშგლეხკორთა წრეები ირჩევენ. მაგრამ საქმე იმაშია, თუ რამდენად შეეფერება მუშკორთა მოძრაობას კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის არჩევნების თანამედროვე წესი და მუშკორთა წრეები. ჩვენ ვიცით, რომ მუშგლეხკორთა მოძრაობა, ეს არის მუშათა მასიური ორგანიზაცია. მასში გაერთიანებულია მუშათა მთელი აქტივი, რომლებიც იბრძვიან სოციალისტურ მშენებლობისათვის. ამავე დროს მუშგლეხკორთა მოძრაობის განვითარება განუსაზღვრელია. რაც დრო გადის იგი იზრდება და ფართოვდება. შორს არ არის ის დრო, როდესაც მუშკორთა ორგანიზაციაში გაერთიანებული იქნებიან მუშათა ყველა საუკეთესო ძალები.

ამჟამად არსებული მუშკორთა ორგანიზაციული ფორმა კი სავსებით ეწინააღმდეგება მუშ-გლეხკორთა მოძრაობის ძირითად პრინციპებს. მართალია მუშგლეხკორთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობამ მიზანშეწონილად სცნო მუშ-გლეხკორთა წრეების არსებობა და სარედაქციო კოლეგიების ამ წრეებზე არჩევა, რაც იმ ხანებში აუცილებლივ სწორი იყო, მაგრამ დღეს, როდესაც მუშკორთა მოძრაობის წინაშე უფრო რთული ამოცანები წამოიჭრა, როდესაც გაცხოველებული ბრძოლა სწარმოებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შემაფერხებელ მიზეზებთან, როდესაც მუშათა ფართო მასამ შეიგნო თვითკრიტიკის მნიშვნელობა, მუშკორთა მოძრაობას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მუშკორთა წრეების ჩარჩოებში მუშაობით. მას უფრო ფართო და მასიური მუშაობა ესაჭიროება. ასეთი მუშაობის წარმოება კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ. როდესაც ვიწრო, მუშ-გლეხკორთა წრეებიდან გადავალთ გაზეთის მკითხველთა და მუშკორთა ფართო კრებების მოწვევის სისტემაზე. ამავე კრებებზე უნდა ირჩეოდეს კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიებიც.

ეს იქნება ყველაზე უფრო სწორი და მუშგლეხკორთა მოძრაობის ძირითად პრინციპების გამამართლებელი ფორმა მუშკორთა შორის მუშაობისა.

ვ. ნ.

—:—

საქმის გაჭიანურებას ადგილი აღარ ექნება

ზაჰესის სინათლე იმდენად ხელმისაწვდომი გახდა მუშა-მოსამსახურეთათვის, რომ ამჟამად აბონენტთა საერთო რიცხვი ელ-გაყვანილობით 23090 აღემატება.

დღემდის აბონენტი, რომელიც სარგებლობს ზაჰესის ენერგიით, ელნათის საფასურის გადახდის დროს, რამოდენიმე საათს იდგა რიგში და ძლივს ეღირსებოდა ხოლმე ფულის ჩაბარებას სალაროში. ამ მხრივ ადგილი ჰქონდა [illegible] ვოლოკიტას და საქმის გაჭიანურებას. ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევდა აბონენტთა შორის. ტელასმა გაითვალისწინა ყველა ეს და მიზანშეწონილად სცნო ელდენის საფასურის აბონენტთა ბინაზე გადახდევინება და ე. წ. ქვე-აბონენტზე ფულის არა კანონიერად გადახდევინების მოსპობა.

ამ საკითხის მოსაგვარებლად, ტელასის ადმინისტრაციამ გამოჰყო 45 კაცი, რომლებიც შეასრულებენ მანტიორის, კანტროლის და ფულის ამკრეფის მოვალეობას. (ინკასატორები). ყველა მათგანი აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და საბუთებით, რომ [illegible] წარდგენის შემდეგ უფლება აქვთ მიიღონ აბონენტისაგან ენერგიის და გაყვანილობის ფული. ასეთივე საშუალებით აბონენტს შეუძლია ადგილზე მიიღოს ცნობა მისი დავალიანების შესახებ, რისთვისაც დღემდე საკმაოდ დიდი დრო იყო საჭირო.

ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება მოსპობს აბონენტების დაუსრულებელ კუდებს სალაროსთან და აღმოფხვრის ყოველგვარ გაუგებრობას. აბონენტების უკმაყოფილებას და საქმის გაჭიანურებასაც ადგილი აღარ ექნება.

გრ. დოლიძე.

სიბინძურემ შეგვაწუხა

(ქუთაისი)

არავითარი საშველი არ ადგება ურიცკის ქუჩის პირველ შესახვევს. უხსოვარ დროიდან ის ღლევისა და გაფუჭების გზაზეა. ძველმა ქალაქის მართველობამ, ყოფილ ივანოვის ქუჩის სიბინძურის არხი პირდაპირ რომ შესახვევს შეუერთა. ყოფილ ივანოვის ქუჩის ასენიზაცია დღესაც ჩვენი შესახვევის არხების საშუალებით სწარმოებს. არც ერთი გაავდრება, რაც ქუთაისში ხშირია, ისე არ გაივლის, რომ ყოფ. ივანოვის ქუჩაზე რამდენიმე ფეხისადგილი არ გაიწმინდოს.

შესახვევის მცხოვრებთ ყოველ კვირაში განცხადებების წერაც მობეზრდათ, ვინაიდან ჯერ კიდევ ვერ გამოარკვია მეცნიერებამ, თუ რომელი წლის ხარჯთაღრიცხვაში შეიტანს ქუთაისის სამალმასკომი ამ გავერანებულს და თავის სიმყრალით შეუდარებელ შესახვევის შეკეთების ხარჯებს.

უდღეურმა მეწვევიკებმა თვითმპყრობელობას გადააჭარბეს. მათ ისეთი თხრილი გაიყვანეს შესახვევის გარდიგარდმო, რომ სავსებით შეწყვეტილია მასზე ეტლით და ურმით მიმოსვლა. დღევანდელ სურათის გასათვალისწინებლად ადამიანმა თავის თვალით უნდა ნახოს ის რომ დარწმუნდეს თუ რა სისაძაგლეს წარმოადგენს ქალაქისათვის ასეთ თვალსაჩინო ადგილას ეს ყოველმხრივ ანტისანიტარული შესახვევი.

აგროგამ.

—:—

მეტი ყურადღება ტრამვაის მოძრაობას

ტრამვაის მოძრაობა თბილისში დღითიდღე იზრდება.

მეტად დიდ გარეგნულ სილამაზეს აძლევს თბილისს მოსკოვიდან ჩამოტანილი, ტრამვაის ახალი ვაგონების მოძრაობა, მაგრამ ამ სილამაზეს ჩრდილავს იმ სავალდებულო წესების დარღვევა, რომელიც ეხება ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგებას.

აღსანიშნავია ის უხერხული მდგომარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რამდენიმე ხნის წინად. ეს იყო მეხუთე და თუ გნებავთ მეექვსე მგზავრის შემოჯდომა ოთხი ადამიანის ადგილზე. ან კიდევ, როდესაც მგზავრს შეეძლო სკამებზეა დამდგარიყო ფეხზე, სინამდვილეში კი სხვას უჯდა კალთაში. ამგვარი არანორმალობა მოისპო.

ეხლა შედარებით უფრო სხვა ფორმებს უხერხულობას აქვს ადგილი. ეს არის ვაგონების შუა ადგილზე გასასვლელის დაკავება ფეხზე მდგომი მგზავრებით ისე, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება გავლა. ეს აბრკოლებს ერთის მხრივ მგზავრებზე ბილეთების თავის დროზე დარიგების საქმეს. ხშირად ბილეთის აუღებლადაც ჩამოდის მგზავრი, ვაგონიდან, რადგან კონდუქტორი ვერ ასწრებს ბილეთის მიწოდებას. ამით იზრდება და ხშირდება „უბილეთო" მგზავრთა რიცხვი.

მეორეს მხრივ ვაგონის ბოლოში მოქცეული მგზავრი, ვიდრე ის „გზას გაიკაფავდეს" და წინა ბაქანს მიაღწევდეს, ჩამოსასვლელად, ვაგონი სდგას, რაზედაც მეტად დიდი დრო იკარგება.

ეს კი დიდ ზიანს აყენებს ტრამვაის მოძრაობას და მასთან მის შემოსავლიანობასაც.

საჭიროა ვაგონებში გაკრულ იქნეს სათანადო სავალდებულო დადგენილება ტრამვაის მოძრაობის წესების შესახებ და ვაგონებში მოსამსახურე პერსონალმა ფხიზელი ყურადღება მიაქციოს გასასვლელ ადგილების და ბაქანის ნორმალურ დაცვას.

ჯაფარ-ფაშა

—:—

მუშკორთა წერილებიდან

ხურდას აღარ უბრუნებენ. ტრამვაის კონდუქტორები ძალიან ხშირად ინარჩუნებენ მგზავრების ხურდას. ამას წინად ავლაბრის ვაგონით მიმავალმა ერთმა მგზავრმა, კონდუქტორ ხალვაძეს მისცა სამ მანეთიანი ბილეთის ასაღებად. ხალვაძემ მისცა ბილეთი ხოლო ხურდაზე კი უთხრა მოეცადნა. ბოლოს არც კონდუქტორმა დაუბრუნა ხურდა და არც თვით მგზავრს გაახსენდა. ჩამოვიდა იგი ვაგონიდან და გაუდგა გზას. რამოდენიმე ხნის შემდეგ მგზავრს მოაგონდა, რომ კონდუქტორზე დარჩა ფული, რისთვისაც მიმართა ტრამვაის მოძრაობის უფროსს, მაგრამ უკანასკნელმა მგზავრს მოსთხოვა ბილეთი, რომელიც დიდი ხანია გადაგდებული იყო. უიმისოდ მგზავრს არ მისცეს კუთვნილი ფული. ამგვარად კონდუქტორმა შეინარჩუნა ხურდა. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია.

მგზავრი.

სტიპენდია არ ეკუთვნის. სახელმწიფო უნივერსიტეტის მსმენელი ქალი, ეკატერინე ქურიძე, საკმაოდ შეძლებული გლეხის შვილია. მიუხედავად ამისა მან როგორღაც მოახერხა აეღო სოფლიდან სიღარიბის მოწმობა და დაენიშნებია სტიპენდია. იმ დროს, როდესაც სხვა. იმაზე უფრო ღარიბი მსმენელი მშიერი იმყოფება.

კომკავშირელი.

—:—

ბის აღმოჩენა ძნელი აღარ იქნება. მაგალითად, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ხელში უჭირავს ჩვენი გლეხობის ცხოვრების მთავარი ძარღვი. მან უნდა მოაწესრიგოს მიწის საკითხი, გააუმჯობესოს მიწა, უზრუნველჰყოს გლეხობა მიწის საჭირო რაოდენობით და განავითაროს სოფლის მეურნეობა. ახლო წარსულში ერთს ფრიად ავტორიტეტიან სხდომაზე ჩვენ მოვისმინეთ მოხსენება ამ ძირითად საკითხების შესახებ. მომხსენებლის დასკვნა შემდეგი იყო: მიზანის განხორციელებისათვის საჭიროა მიწის მომწყობი, აგრონომი და მელიაორატორი, ხოლო ის კი აღარ უხსენებია. რომ ჩვენში საჭიროა კიდევ მალარიოლოგი; როგორ უნდა მოეწყოს მიწის საკითხი, როგორ უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა ჩვენში, როდესაც გურიაში, სამეგრელოში, ქვემო იმერეთში და კახეთში მოსავლიანს ადგილებში მოსახლეობის 80 პროც. დაავადებულია მალარიით და ზოგიერთს კუთხეებში კი მოსახლეობა ზაფხულობით ვაკე ადგილებიდან მთებში გარბის. ზოგიერთ ადგილებიდან, მიწის სივიწროვის გამო, აუცილებელი ხდება გადასახლება უფრო თავისუფალ ადგილებზე. ალაზნის გაღმა მხარეში, მაგალითად, ამჟამად იმდენი თავისუფალი ადგილებია, რომ შეიძლება იქ 25.000 სულის გადასახლება, მაგრამ თუ ეს საქართველოს მდიდარი კუთხე არ განთავისუფლდა მალარიისაგან, იქ ახლების გადასახლება ზედმეტი იქნება, რადგან ძველი მცხოვრებნიც იღუპებიან ამ მძვინვარე სენის გამო, ამიტომ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი დიდი ამოცანაა და მისი შესრულებისათვის ბიუჯეტში სპეციალური თანხა უნდა შეიტანოს. იგივე უნდა ითქვას სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საკურორტო მთავარი მმართველობის შესახებ. განსაკუთრებული მონაწილეობა უნდა მიიღოს მალარიას წინააღმდეგ ბრძოლაში წყალთა მეურნეობის მართველობამაც, რადგან ამნაირი მოქმედება კანონით პირდაპირ ევალება ამ დაწესებულებას. მაგრამ ამ მხრით არაფერი კეთდება. წინააღმდეგ, მისი მოქმედება ზოგჯერ საზიანოა ეპიდემიოლოგიის თვალსაზრისით. დამტკიცებულია, რომ თვით ინჟინერული სისტემით გაყვანილი სარწყავი არხები არ უზრუნველჰყოფს ადგილებს დაჭაობებისაგან.

ამიტომ მან თავისი სპეციალური თანხებით მონაწილეობა უნდა მიიღოს ანტიმალარიულ და ანტიტროპიკულ მოღვაწეობაში. ასეთივე მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საქმეში თავისი თანხებით დამზღვევმა სალარომ. თავისთავად ცხადია, რომ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, რომელიც დღემდე ერთადერთი მომქმედი ორგანოა ამ საქმეში, გაადიდებს ამ მიზნისთვის თავის თანხებსა და ყოველხაირ თავის შესაძლებლობას. როდესაც აღნიშნული უწყებანი თავისი სპეციალურის თანხებით მონაწილეობას მიიღებს მალარიასა და სხვა ტროპიკულ სენების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ საქმეს ნამდვილი სახელმწიფოებრივი და მასიური ხასიათი მიეცემა, მაშინ ამ უდიდესი საქმის წარსატება სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნება. რასაკვირველია, ეს საქმე კანონმდებლობით მოწესრიგებას მოითხოვს.

მეორე ძირითადი და მორიგი საკითხი ის არის, რომ საქართველოში წლიურად ათი ათასი კილო ქინაქინა შემოდის. აქედან 1.500 კილო, შეიძლება, უფასოდ დაურიგდეს მოსახლეობას და დანარჩენი კი წესიერ ფასად გაიყიდება.

ზემოდ ჩვენ საკმაოდ დავახასიათეთ, რომ ტროპიკული სენები ხალხისთვის საშიშროებას წარმოადგენს. ფართო სახელმწიფოებრივი დახმარება ამ შემთხვევაში აუცილებელია. სწორის გეზით არის შექმნილი მალარიისა და სხვა ტროპიკული სენების საწინააღმდეგო ორგანიზაცია. უკვე შეიქმნა საქართველოში ტროპიკული მედიცინა, როგორც მეცნიერული და პრაქტიკული დარგი. არსებობენ უკვე ჩვენში სპეციალისტი მუშაკნი და სპეციალისტი ხელმძღვანელნი. საჭიროა მხოლოდ ამ საქმის ფინანსიურად უზრუნველყოფა. შესაძლებლობის ფარგლებში სახელმწიფო ამ საქმეს ეხმარებოდა. საჭიროა კიდევ ამ დახმარების გაძლიერება.

პროფ. სპ. ვირსალაძე.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

სესხის რეალიზაციის კამპანიის შედეგები

13 ნოემბრეს შესდგა სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ ა.-კ. ცენტრალურ კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. **ანანოვის** მოხსენება სარეალიზაციო კამპანიის შედეგების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1 ნოემბრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში გასაღებული იყო ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის 16.500.000 მან. ობლიგაცია. აქედან ქალაქებში გასაღებული იყო 15.458.000 მანეთის, ხოლო სოფლებში — 1.042.000 მან. ობლიგაცია. ამავე დროისთვის ხელის მოწერა მთელ ამიერ-კავკასიაში ჩამოყალიბებული იყო14.120.000 მანეთზე.

კომისიამ თავის რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ ქალაქებში სარეალიზაციო კამპანიაში სუსტათ არიან ჩაბმული კერძო პირები და ორგანიზაციულად შეუკავშირებული მშრომელები.

სოფლებში სარეალიზაციო კამპანია ჩატარებულია სუსტათ. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ სოფლებში ძალიან სუსტათ იყო დაყენებული როგორც საორგანიზაციო, ისე სააგიტაციო მუშაობა და კამპანიაში ჩაბმული არ იყო მთელი სოფლის აქტივი და ღარიბი გლეხობა. ამ ნაკლის აღმოფხვრის მიზნით კომისია საჭიროთ სცნობს, რომ მაქსიმალურათ იქნეს გამოყენებული დამატებითი ვადა (1 დეკემბრამდე) და ყველა ის ძალები, რომლებიც სარეალიზაციო კამპანიაში მუშაობდენ, ქალაქიდან მივლინებული იქნან სოფლებში; სოფლათ მომუშავე პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების მთელი ყურადღება მიმართული უნდა იქნეს იქითკენ, რომ ხელახლათ გაიშალოს სოფლათ დაკვრითი მასიური საგიტაციო მუშაობა.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ და საშუალო გლეხებს, ხოლო მათი ზეგავლენით კამპანიაში ჩაბმული უნდა იქნან სოფლის მოსახლეობის დანარჩენი ფენებიც. გლეხებს შორის კოლექტიური ხელის მოწერის გასაფართოვებლათ მაქსიმალურათ უნდა იქნეს გამოყენებული საკრედიტო კოოპერაცია და სხვა კოოპერატიული შენაერთები.

ამასთანავე სარეალიზაციო კამპანიაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული იძულებითი ზომები.

სარეალიზაციო კამპანიის სახელმძღვანელოთ რაიონებზე მიმაგრებული უნდა იქნან ცენტრებში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგები.

12 ნოემბრისათვის ამიერ-კავკასიაში გასაღებულია 17. 883.000 მან. ობლიგაცია

ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, 12 ნოემბრისთვის მთელ ამიერ-კავკასიაში სესხზე ხელის მოწერით შეგროვილი იყო 17.883.000 მანეთი. აქედან აზერბეიჯანში ხელის მოწერით შეგროვილია 8.223.000 მან., საქართველოში—7.500.000 მან. და სომხეთში — 2.150.000 მანეთი. ხელის მოწერა 12 ნოემბრისთვის მთელ ამიერ-კავკასიაში ჩამოყალიბებული იყო 16.650.000 მანეთზე. აქედან აზერბეიჯანში — 7.700.000 მანეთზე საქართველოში—7.000.000 მანეთზე და სომხეთში 1.950.000 მანეთზე.

საქართველოში გასაღებულია 8.188.107 მან. ობლიგაცია

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოში მიღებულ დამატებითი ცნობების მიხედვით საქართველოში გასაღებულია 8.188.107 მანეთის ობლიგაცია.

ხელის მოწერის თანხა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრებს შორის შემდეგ ნაირად ნაწილდება: აფხაზეთი—298.160 მ., აჭარისტანი—750.815 მან., სამხრეთ-ოსეთი—58.110 მან., ახალქალაქის მაზრა—60.620 მან., ახალციხის—141.980 მან., ბორჩალოს—59.560 მან., გორის—436.270 მან., თბილისის (ქ. თბილისის გამოკლებით)—147.065 მან., კახეთის—191.865 მან., ქუთაისის—652.252 მან. რაჭა-ლეჩხუმის—26.950 მან., სენაკის—123.160 მან., ზუგდიდის—97.240 მან., შორაპნის—312.415 მან. და ოზურგეთის—129.275 მან. თბილისში ხელის მოწერა უდრის—2.928.165 მანეთს და ქ. ფოთში—157.945 მანეთს.

ა.-კ. ცაკში

მოჯამაგირეების მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში

ა. კ. ცაკი ამუშავებს დადგენილების პროექტს, რომლის თანახმად საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის პერიოდში მოჯამაგირეები განთავისუფლებული უნდა იქნენ სამუშაოდან, რომ მონაწილეობა მიიღონ კამპანიაში.

საბჭოების მუშაობის გასაცნობათ

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სატახტო ქალაქების საბჭოები ვალდებული არიან გამოყონ (თითო ქალაქმა) ათ-ათი მუშა, რომლებიც გაგზავნილი იქნებიან მეზობელ რესპუბლიკების სატახტო ქალაქების საბჭოების მუშაობის გასაცნობათ.

სტაჟიორები

ა. კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით ა. კ. ცაკთან მიმაგრებული იქნება ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ხუთი სტუდენტი, სტუდენტები გაეცნობიან საბჭოთა მშენებლობას.

ა. კ. სახკომსაბჭოში

მსუბუქი ავტო-ტრანსპორტის გაერთიანება

მსუბუქი ავტო-ტრანსპორტის რაციონალურად გამოყენების მიზნით, ა. კ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო თბილისში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებების ცალკე ავტოგარაჟების ნაცვლად დაარსებული იქნეს ცენტრალური ავტობაზები, რომლებსაც უნდა გადაეცეს სახელმწიფო დაწესებულებების მთელი ავტოტრანსპორტი.

საკავშირო ვეტერინარულ-სანიტარული კონფერენცია

ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, საკავშირო კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქნება ვეტერინალურ სანიტარული და სოფლის მეურნეობის მავნებლობასთან ბრძოლის საკითხების განსახილველად, ამიერ-კავკასიიდან გაგზავნილი იქნებიან: ამხ. **კარკლინი, ალიბეგოვი, ერზინკიანი და გ. კუპაიძე.**

გუდაუთის საბაჟოს დახურვა

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო გადაუთის საბაჟოს დახურვა.

მუშათა საბინაო-სააღმშენებლო ფონდის განაწილება

მუშათა საბინაო-სააღმშენებლო ფონდი 42.007 მან. რაოდენობით ა. კ. სახკომსაბჭომ რესპუბლიკებს შორის შემდეგ ნაირად გაანაწილა საქართველოს—16.802 მან., აზერბეიჯანს—18.903 მან და სომხეთს—6.301 მან.

სავალდებულო დაზღვევა

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო, რომ მიმდინარე სამეურნეო წელს აუცილებლად იქნეს გატარებული ცხოვრებაში სკოლებისა და საავადმყოფოების სავალდებულო დაზღვევა ამიერ-კავკასიის სოფლებში.

ადმინისტრ.-სამეურნეო ხარჯების შემცირება

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: წინადადება მიეცეს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1928-29 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და 1927-28 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის დროს გამოარკვიოს, რამდენად იქნა დაცული ადგილობრივი ორგანოების მიერ მთავრობის დირექტივები 1927-28 წ. ადგილობრივ ბიუჯეტით გათვალისწინებული საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის გამოკვლევას, ხომ არ ყოფილა ბიუჯეტის ასრულების პროცესში საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯები გადიდებული ოპერატიული თუ სხვა ხარჯების შემცირების საშუალებით.

1928-29 საბიუჯეტო წლისათვის საადმინისტრაციო სამეურნეო კრედიტების გამოანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედვას ამავე ხარჯებისათვის 1927-28 წ. ძირითადი ბიუჯეტით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა და მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი ორგანოების მიერ 1927-28 წ. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების გადიდება.

ფინანსთა სახალხო კომისარიატმა მტკიცე მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს, რათა მათ მთავრობის ზემოაღნიშნული დირექტივები ზედმიწევნით და ურყევად განახორციელონ.

ის, ვინც არ შეასრულებს მთავრობის ზემოაღნიშნულ დირექტივებს. პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული არსებული წესისამებრ.

ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა, მოხსენება წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს მის მიერ წარმოებულ გამოკვლევის შედეგების შესახებ.

სასამართლო

„თეთრი დუქნის" გმირების გასამართლება

(საჩვენებელი პროცესი)

ავტო-კლუბის დარბაზი ხალხითაა გაჭედილი.

საღამოს 7 საათზე იხსნება სასამართლოს სხდომა.

საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვის შემდეგ იწყება ბრალდებულების დაკითხვა.

საბრალმდებლო სკამზე სხედან მუშკოოპის ყოფ. თანამშრომლები **არაქელაშვილი** (შოფერი), **არსენიშვილი** (მუშკოოპის გარაჟის დროებითი გამგე), **გრძელიშვილი** (საგასტრონომიო სექციის გამგე), **ერმოლოვი** (საბუხჰალტრო განყოფილების გამგის მოადგილე), **ბურადაშვილი** (მუშკოოპის კორესპონდენტი).

შოფერი არაქელაშვილი ცდილობს დაარწმუნოს სასამართლო, რომ მას, როცა მისი ავტომობილი ურემს დაეჯახა, არ დაუნახავს თუ რამე ზიანი მოუვიდა მეურმე გლეხს და არც მისი ყვირილი გაუგონია.

ურემი დაიმტვრა, მეურმეს ფეხი მოტყდა, კამეჩი კლდეში გადიჩეხა, ურემზე დალაგებული 20 ფუთი ხილი სულ ერთიანად დაიპა, მეურმის შვილი დაშავდა, თვით ავტომობილს დაემტვრა ფრთა და შოფერი არაქელაშვილი ამას „ვერ ამჩნევს"(!).

პირდაპირ მთელი დარბაზის სიცილს იწვევს დანარჩენი ბრალდებულების დაკითხვა.

თურმე ნუ იტყვით, გაქანებულ ავტომობილში, რომელიც ელვის სისწრაფით მიქროდა, სულ ყველას ნაბლისავით ეძინა და სრულებით არაფერი გაუგიათ.

ისეთი მძლავრი დაჯახება, რომელმაც მათი ავტომობილი კინაღამ გადააყირავა, მათ თითქოს არ გაუგიათ!

— მეც მეძინა!

— მეც მეძინა!—გაიძახიან ბრალდებულები. დარბაზში დაუსრულებელი სიცილია.

იწყება მოწმეების დაკითხვა.

საინტერესო ჩვენებას იძლევიან ის გლეხები, რომლებმაც თავისი თვალით ნახეს დაჯახების სურათი და გულწასული გლეხი, რომელიც ტკივილებისაგან კვნესოდა.

ისინი ადასტურებენ, რომ მანქანა დაჯახების დროს არ შეჩერებულა. ადასტურებენ აგრეთვე იმას, რომ ავტომობილის შესაჩერებლად თოფი გაისროლა გამვლელმა მონადირემ, რომელიც აღშფოთებული იყო შოფერის საქციელით.

მოწმეები ადასტურებენ აგრეთვე, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო ასეთი მძლავრი დაჯახება არ შეემჩნიათ ავტომობილში მსხდომ მგზავრებს რაზომ მთვრალი, ან მძინარე არ ყოფილიყვნენ ისინი.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

გაფლანგვა იუსტიციის სახალხო კომისარიატში

ამა წლის იანვარში დანიშნულმა რევიზიამ იუსტიციის სახალხო კომისარიატის საფინანსო განყოფილებაში აღმოაჩინა დიდი თანხის გაფლანგვა. დაპატიმრებული იქნენ გამფლანგველები და დაიწყო საქმის დაწვრილებითი გამოძიება.

საქმის გამოძიება უკვე დამთავრდა და 46 ფურცელზე დაწერილი საბრალმდებლო დასკვნა წარედგინა თბილისის სამაზრო სასამართლოს.

მთავარ ფიგურას გამფლანგველთა შორის წარმოადგენს იუსტ. სახალხო კომისარიატის საფინანსო ნაწილის ყოფ. გამგე **იოსებ დავითის ძე მაისურაძე,** რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან არ მოსცილებია ამ „თბილ ადგილს" და რომელმაც თავისი ბნელი საქმეების მოსაგვარებლად შემოიკრიბა გარშემო „თავისი ხალხი", შექმნა ისეთი შტატი, რომელსაც „ენდობოდა" ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ადვილად გამოიყენებდა თავისი კომბინაციების განხორციელებაში.

მაისურაძის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა იმავე საფინანსო ნაწილის მოლარე **ალექსანდრე ჩიკოიძე,** ურომლისოდაც მაისურაძეს არც ერთი „მსხვილი ლუკმა" არ გადაუყლაპავს.

ერთმანეთთან შეთანხმებით მუშაობდნენ მაისურაძე და ჩიკოიძე. მათი მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი ფული დაეცანცლათ კომისარიატისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდნენ ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში და უნდა ითქვას, რომ დიდ შედეგებსაც მიაღწიეს—ამ ხნის განმავლობაში გაფლანგეს **16,261 მანეთი.**

ბნელი საქმეების უკეთ მოსაფარებლად მაისურაძე და ჩიკოიძე კავშირს აბამენ ბუხჰალტრებთან— **კონსტანტინე კარახანთან** და **ივანე ყამუტაშვილთან,** ამზადებდნენ გაფლანგულ თანხის „გასამართლებელ საბუთებს".

ამას მოწმობს საბრალმდებლო დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ გაფლანგულ 16,261 მანეთიდან 4223 მანეთის გაფლანგვაში მონაწილეობას იღებდა ბუხჰალტერი ყამუტაშვილი, ხოლო 3523 მანეთის გაფლანგვაში ბუხჰალტერი კარახანი.

გარდა ამისა მოლარე ჩიკოიძეს, როგორც ჩანს უღალატნია „ამხანაგური სოლიდარობის გრძნობისათვის" და გაუფლანგავს საკუთრად 3892 მანეთი .

ასე რომ ოთხივე კომბინატორის მიერ გაფლანგული თანხა 20.000 მანეთს აღემატება.

ოღონდ ფული ჩაეგდოთ ხელში და კომბინატორები არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას: ადგენდნენ ყალბ საბუთებს, აჭარბებდნენ შემოსულ ფულის დავთრებში, [illegible] საქმის წარმოებაში, ერთს საბუთს ორ და სამ ადგილას აყენებდნენ ანგარიშის შესასწორებლად. იღებდნენ სალაროდან ზედმეტ თანხებს გაწეულ ხარჯების დასაფარავად. მაგალითად, დურგალ შატბეროვის მიერ გაწეულ მუშაობისათვის მაისურაძეს და ჩიკოიძეს სალაროდან გამოუწერიათ 2.400 მანეთი, მუშას კი დასცეს დანაპირები 850 მანეთი, ხოლო დანარჩენი 1550 მანეთი მიითვისეს.

მაისურაძემ და ჩიკოიძემ თბილისის აღმასკომს გამოსტყუეს ყალბი ცნობების მიწოდებით 2412 მანეთი, რომელიც არსად არ გაუტარებიათ წიგნებში და „ამხანაგურად" გაფლანგეს. მათვე ყალბი ცნობების საშუალებით—მითომ ბლანკებისა და წიგნების დაბეჭდვაზე გაწეულ ხარჯების დასაფარავად—ხელმეორედ გამოიწერეს 2723 მანეთი და გაფლანგეს. ეს თანხა მათ წინად ამავე საჭიროებისათვის აქვთ მიღებული.

საქმეში აურაცხელია ასეთი სიყალბის მაგალითი.

ბუხჰალტერ ყამუტაშვილს, რომელსაც ფოსტიდან მიღებულ თანხების ანგარიში უნდა ეწარმოებია, მიუბამს სხვების მაგალითისთვის და საკუთრად გაუფლანგავს ათას მანეთამდე.

პასუხისგებაში არის მიცემული აგრეთ, ამავე ნაწილის გამგე (იგივე კომენდანტი) **ნიკოლოზ განჯუმოვი,** მასაც აქვს გაფლანგული 300 მანეთამდი. საქმის წარმოება ისეთ არეულ-დარეული, რომ რევიზიამ ვერ შესძლო ვერაფრის გამორკვევა: არაფერი არ ჩანს, საიდან რას იღებდა, ვის რას აძლევდა განჯუგოვი, რადგან დავთრები არეულია.

სამაგიეროდ განჯუმოვი დიდათ უწყობდა ხელს მაისურაძეს საკუთარ სახლის მასალებით შეძენაში.

მაისურაძე იქამდე გათავხედდა, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობისათვის შეძენილი ფიცრები თავისი საკუთარი სახლის ასაგებად გადაზიდა კომისარიატის ეზოდან და, წარმოიდგინეთ, გადასაზიდი ფასიც არ გადაიხადა თავისი ჯიბიდან. მაისურაძემ 300 მანეთის ფიცრები გაალაგა კომისარიატიდან კომენდანტ გონჯუმოვის დახმარებით, რომელმაც მეფურგუნეს 13 მანეთი მისცა და ეს გატარა კომისარიატის ხარჯებში.

პასუხისგებაში არის აგრეთვე მიცემული შიკრიკი **სოკოლოვსკი,** რომელმაც იცოდა, რომ ფიცრები კომისარიატს ეკუთვნოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა თვითონ ესწრებოდა გადაზიდვას და თვითონ ქირაობდა ფურგუნს.

პასუხისგებაში არის მიცემული შემოსავალ-გასავლის სალაროს ბუხჰალტერი **დავით ზენდელიანი,** რომელმაც დაუდევრობა გამოიჩინა და საშუალება მისცა ჩიკოიძეს ყალბი საბუთით მიეღო საგრძნობი თანხა.

ექვსივე ბრალდებული: **იოსებ მაისურაძე ალექსანდრე ჩიკოიძე, ივანე ყამუტაშვილი კონსტანტინე კარახანი, ნიკოლოზ განჯუმოვი, იოსებ სოკოლოვსკი,** და **დავით ზენდელიანი** 30 ნოემბერს წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

გამფლანგველების გასამართლება

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გაარჩია **ნიკოლოზ სიმონის ძე არჩვაძის** და **სერგო აგაბეგოვის** საქმე.

არჩვაძე და აგაბეგოვი მუშაობდნენ ამიერ-კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების („ზაკვოენპო"-ს) № 30 მაღაზიაში პასუხისმგებელ ნოქრებად და ა. წ. აპრილიდან 14 ივნისამდე მათ გაფლანგული აღმოაჩნდათ 2.590 მანეთი.

სასამართლო გამოძიებით მათ დაუმტკიცდა აღნიშნული თანხის გაფლანგვა და თვითეულს მიესაჯა **სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.** მათ ქონებას დაედო ყადაღა გაფლანგული თანხის ასანაზღაურებლად.

ვერ.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა მე-7 ყრილობა

მე-8 სხდომაზე ყრილობამ მოისმინა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ამხ. **საკიანის** მოხსენება.

მოხსენების დასაწყისში ამხ. საკიანი შეეხო იმ შეფერხებას ბაზარზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რამოდენიმე ხნის წინად, ამ მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებსა და იმ ამოცანებს, რომლებიც სდგას ამჟამად შინავაჭრობის კომისარიატის წინაშე ბაზარზე წარმოშობილ დაბრკოლებათა დასაძლევათ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტია და ხელისუფლება [illegible] ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას, გლეხთა მასების კოოპერატიულად დარაზმვას და საერთოდ ყველა იმ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოფლო მეურნეობის ზრდა-განვითარებას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ხორცის დამზადების საკითხს და ამბობს, რომ ეს საქმე წარსულში ძლიერ მოიკოჭლებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს საქმე დაევალა „მიასოპროდუქტის" ამიერ-კავკ. განყოფილებას, ხორცის დამზადება საგრძნობლად გაუმჯობესდა.

დასასრულ მომხსენებელი შეჩერდა ფასების დაკლების საკითხზე და განაცხადა, რომ ეს საკითხი უახლოესი დროის ერთ-ერთ უდიდესი ამოცანათაგანია.

მოხსენების დამთავრების შემდეგ ამხ. საკიანმა უპასუხა მიცემულ შეკითხვებზე, რის შემდეგ გაიმართა კამათი.

ბოლო სიტყვაში ამხ. საკიანმა ამომწურავი პასუხი გასცა კამათში გამოსულ დელეგატებს.

ყრილობის უკანასკნელ (მეცხრე) სხდომაზე მოსმენილ იქნა რეზოლიუციები ყრილობაზე გაკეთებულ ყველა მოხსენებათა გარშემო. გარდა ამისა, მიღებულ იქნა პრაქტიკული წინადადებანი მომავალი მუშაობის შესახებ და ნაკაზი კავშირის ახალი გამგეობისადმი.

შემდეგ ყრილობა გადავიდა ახალი ცენტრალური გამგეობის არჩევნებზე. ცენტრალურ **გამგეობაში** აირჩიეს: ამხ. სავა ორჯონიკიძე, თურქია, აკოპოვი, კობახიძე, აბულაძე, მაისურაძე, ბოკუჩავა, კოზლოვსკი, კარაპეტოვი, ხოშტარია, ათოევი, მელქაძე, ნარსია, გორდაძე, ჯვებენავა, სტეფანოვი, ვინგარი, კრიმკოვსკი, სემერჯიევი, თევზაძე, სვანიძე, კურტანიძე, არუთინოვი, ცავა, ძინძიბაძე, ჯაშიევა, კაზაროვი. **კანდიდატათ:** სალაია, პოხონელიძე, გაბისონია, ნადია, გასიმ მამედ ოღლი, კერესელიძე, ტარხანოვა, ცეხანოვსკაია და გუსევი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს 5 წევრი და ორი კანდიდატი.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნად აირჩიეს ამხ. **სავა ორჯონიკიძე და სვანიძე, კანდიდატათ** ამხ. **გაბისონია.**

ყრილობის დახურვის წინ დელეგატებს სიტყვით მიმართა ამხ. სავა ორჯონიკიძემ, რომელმაც ჯამი გაუკეთა ყრილობის მუშაობას და უსურვა ახალ გამგეობას მასზე დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულება.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვის შემდეგ ყრილობა დაიხურა.

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების უკანასკნელ სხდომაზე ინჟ. **ი. ყიფშიძემ** გააკეთა მოხსენება „საქართველოს ნავთის ბუდობებისა და მათი გამოკვლევის შესახებ". მომხსენებელი შეეხო საქართველოში ნავთის მრეწველობის დარგში ჩატარებულ მუშაობის ისტორიას და აღნიშნა, რომ წარსული საუკუნის საშუალო წლებიდან 1910—12 წლამდე შირაქის ველზე სწარმოებდა ნავთის ამოღება და გადამუშავება. ამ ხნის განმავლობაში ამოღებული იქნა 1.700.000 ფუთი ნავთი, რომელიც უმთავრესად საღდებოდა თბილისში და კახეთში. შირაქში აგრეთვე მოწყობილი იყო ნავთის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც ამზადებდა სუფთა ნავთს, ბენზინს, ფისს, ასფალტს და სხ. მაშინდელი ჭაბურღილების სიღრმე აღწევდა 60—65 მეტრს.

საქართველოში ნავთის წყაროების გამოკვლევა განსაკუთრებით ინტენსიურად სწარმოებდა 1914 წელში. ამ წელს გერმანული საზოგადოება ნავთის წყაროების გამოკვლევას აწარმოებდა გურიაში (ჭაბურღილი გათხრილი იყო 400 მეტრის სიღრმეზე), ინგლისური საზოგადოება—ილდოყანში (ჭაბურღილი გათხარეს 240 მეტრის სიღრმეზე), ფრანგული საზოგადოება—ელდარის ველზე, ამავე დროს ბაქოს საზოგადოება ინჟ. თუმანიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობას აწარმოებდა ფხოველში. გარდა ამისა გამოკვლევითი მუშაობა სწარმოებდა ჩატბაში, ზემო ხოდაშენში, ჭალაში, ბაღდათში და თბილისის მახლობლად—ნორიოში, უჯარმაში, მარტყოფში და სხ.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩატარებულ მუშაობას შირაქსა და გურიაში ნავთის ბუდობების შესასწავლად. მუშაობის შედეგებს და აღნიშნა, რომ საქართველოს ნავთიანი ადგილები საერთოდ და კერძოდ შირაქის ველი დიდი ყურადღების ღირსია. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია შირაქის ნავთიან ადგილების გამოკვლევათა მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება და ღრმა საექსპლოატაციო ჭაბურღილების ამოღება.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

ვინაიდან მახლობელ 5—8 წლის შემდეგ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ არსებული ნავთის წყაროები ვეღარ დააკმაყოფილებს მსოფლიო მოთხოვნილებას, ამიტომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნავთის ახალი წყაროების აღმოჩენას და ამ მიმართულებით გამოკვლევითი სამუშაოების ჩატარებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. კერძოთ საჭიროა საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი საქართველოში აღმოჩენილი ნავთიანი ადგილები. განსაკუთრებით საჭიროა შირაქის ნავთის წყაროების შესწავლის საქმის დაყენება მკვიდრ ნიადაგზე. ამ მიზნით ითხოვოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, საგეგმო კომისიას და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რათა გაძლიერებული იქნეს საქართველოში ნავთიან ადგილების გამოკვლევის საქმე და ამასთანავე შირაქის ველზე და [illegible] ადგილებში, საკონცესიო ნაკვეთების გარეშე, საჩქაროდ დაიწყოს ბურღვითი გამოკვლევა და საექსპლოატაციო მუშაობა.

ქუთაისი

საბინაო მშენებლობა

ქუთაისის სამაზრო ალმასკომი საბინაო მშენებლობის დარგში გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. 1928—29 საბიუჯეტო წელში საბინაო მშენებლობისათვის გადადებულია ერთი მილიონი მანეთი. უკვე დამთავრდა 29 ოთახიანი სახლის აგება, რომელშიაც ახლო ხანში დაბინავდება ფაბრიკა-ქარხნების მუშები და ხანძრისაგან დაზარალებულნი. ხოლო მომავალი წლისათვის განზრახულია ელიგულაშვილის ყოფილ დაუსრულებელი სახლის დამთავრება. დამთავრდა 55 საბჭოთა სახლის შეკეთება, რაზედაც დაიხარჯა 21.000 მანეთი. კაპიტალური შეკეთება სწარმოებს აგრეთვე ყოფილი „ერმიტაჟის" სასტუმროსი, რომლის შეკეთება ხარჯთაღრიცხვით ჯდება 17.000 მანეთი.

კომიტეტის ჩამოყალიბება

ქუთაისის სამაზრო ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, შინა-ვაჭრობის განყოფილებამ ჩამოაყალიბა სამაზრო კომიტეტი, რომლის მიზანია გაანაწილოს მაზრაში, ბაზრების ტერიტორიაზე მდებარე მოვაჭრე პირთა და ორგანიზაციათა შორის ყოველგვარი ხარჯები, აღნიშნულ ბაზრებზე მდებარე ქონების დასაცავად და აგრეთვე ბრძოლის წარმოება ბაზარზე ნორმალური სანიტარული პირობების დაცვის, უნებართვოდ ვაჭრობის წინააღმდეგ და სხვა. მოკლე ხანში ასეთი სახის კომიტეტები ჩამოყალიბდებიან მაზრის სხვადასხვა ქალაქებში და ყველა სამრეწველო რაიონებში, რომელთა შესაქმნელად ადგილებზე მიმდინარეობს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია.

სას.-სამ. გადასახადის გაწერა აფხაზეთში

1928-29 წლისთვის გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უდრის 281.690 მანეთს. შარშანდელთან შედარებით, იგი 42 ნახ. პროცენტით მეტია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ შუამდგომლობათა და საჩივართა განხილვის წესით, სხვადასხვა შეღავათების გატარების შემდეგ, ნავარაუდევი თანხა საგრძნობლად შემცირდება, მაგრამ მაინც, შარშანდელთან შედარებით, იგი 25-30 პროცენტით მეტი იქნება.

გადიდება შედეგია, ერთის მხრით, უფრო სწორი აღრიცხვისა, მეორეს მხრივ, შეძლებული კულაკური ელემენტების შემოსავლის სადასახადო პროცენტის გადიდებისა.

წელს შემჩნეულია ზოგიერთი არანორმალური მოვლენა გადასახადის გაწერის დროს, რაც ობიექტების უსწორო აღრიცხვის შედეგია. იყო შემთხვევები, როცა მეთამბაქოები სწორად არ უჩვენებდნენ ნათესი ჰექტარების რაოდენობას.

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა

რატომ აგვიანდება ფაბრიკის მოწყობა

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწყობის საქმე ამჟამად ასეთ მდგომარეობაშია: გერმანიაში მივლინებულ ინჟ. **გ. კოჩინაშვილს** დავალებული აქვს შეიძინოს ფაბრიკის მოწყობილობა. კოჩინაშვილისაგან აბრეშუმის ტრესტმა მიიღო ცნობა, რომ სატრიკოტაჟო ქსოვილების დასამზადებლად მან ამოარჩია ორი ტიპის მანქანები.

1-ლი ტიპის, ე. წ. რგვალი მანქანები ამზადებენ საშუალო ღირსების ნაწარმოებს, მაგრამ სამაგიეროდ ასეთ მანქანებზე მუშაობა უფრო ადვილია და მათი შეძენაც ნაკლები დაჯდება. მეორე ტიპის, ე. წ. კოტონმანქანები ამუშავებენ მაღალ ხარისხოვან ქსოვილებს. ეს მანქანები ძალიან რთული კონსტრუქციისაა და მათზე მუშაობა შეუძლიათ მხოლოდ სპეციალურად მომზადებულ პირებს. მანქანები ძვირი ღირს.

ამის გამო აბრეშუმის ტრესტთან, რომელსაც მინდობილი აქვს უხელმძღვანელოს სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწყობას, შესდგა სპეციალისტთა კომისია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, თუ რომელი ტიპის მანქანების შეძენა უფრო ხელსაყრელი იქნება.

აბრეშუმის ტრესტში მიღებული ცნობებით, ფაბრიკის მოწყობა დასრულდება მომავალი წლის გაზაფხულისათვის.

ქრონიკა

ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის მე-5 ტირაჟი

20-დან 22 ნოემბრამდე ქალაქ სტალინგრადში ჩატარებული იქნება ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის მეხუთე ტირაჟი, რომლის დროსაც გათამაშებულ იქნება 23.300 მოგება —3.001.500 მან. რაოდენობით.

მისალმება ამხ. ფ. მახარაძეს

საქართველოს თავმჯდომარემ ამხ. **ფ. მახარაძემ** სოჭის რაიონის ქართველ მოსახლეობისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის მისასალმებელი დეპეშა:

„სოჭის რაიონის ქართველი მცხოვრებლები მხურვალეთ მოგესალმებიან ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავზე. ამასთანავე გაცნობებთ, რომ პირველ ქართულ სკოლას ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავის აღსანიშნავად ეწოდა თქვენი სახელობის სკოლა.

მინდობილობით მასწავლებელი **ნ. ბაახია.**

თბ. ალმასკომში

◆ **სამალარიო სადგურის შეკეთება.** ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა სამალარიო სადგურის შეკეთება-გაფართოებას.

◆ **რძის პროდუქტების ბაზრის მოწესრიგება.** ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ქალაქი რძის პროდუქტებით.

სას.-სამ. ბანკში

◆ **კარაქის წარმოების გასაძლიერებლად** ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს გადასცა 70.000 მანეთი, რომელიც გაცემული იქნება სესხათ კარაქის წარმოების გასაძლიერებლად.

სხვადასხვა

◆ **სტუდენტთა აღმასბიუროს პლენუმი.** 17 ნოემბერს დილის 10 ს. უნივერსიტეტში მოწვეულია თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა აღმასბიუროს პლენუმი პროფკომის წევრებთან და კურსის რწმუნებულებთან ერთად.

◆ **მეხანძრეთა მოსამზადებელი კურსები.** ახლო ხანში თბილისში გაიხსნება მეხანძრეთა მოსამზადებელი 6 თვიანი კურსები.

◆ **ხილი.** ვაჭრობის კომისარიატმა საბჭოთა კავშირის ბაზრებზე და უცხოეთში დღემდე გორიდან გაიტანა 63 ვაგონი ხილი.

◆ **სტუდენტთა შრომის არტელი.** ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტებმა გადაწყვიტეს დაარსონ სტუდენტთა შრომის არტელი.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** თავრიზიდან—აირაპეტიანს, დნეპროპეტროვსკიდან—ერაძეს, აჭყურიდან—მესხიძეს; მოსკოვიდან—გლუშკოვს; ბაქოდან—მანაევს, ნოვოროსიისკიდან—ტურაბელიძეს.

ხელოვნება

თბილისის სატირის თეატრის გახსნა

ავტორები: გ. ბუხნიკაშვილი და მ. გოგიაშვილი, რეჟ. ხელაია

სატირაზე ეხლა დიდი მოთხოვნილებაა. მუშათა მასებში სატირა დიდი პოპულიარობით სარგებლობს. ამიტომ უნდა მივესალმოთ პროფკავშირების დახმარებით დაარსებულ თბილისის მუსიკალურ სატირის თეატრს. სატირის თეატრის სეზონი, რომელიც გაიხსნა 13 ნოემბერს, მუშათა ცენტრალურ კლუბში—ერთგვარ იმედებს იძლევა. პროლეტარული სატირა ჯანსაღ და არა პორნოგრაფიულ ან იაფფასიან და ბანალურ მოტივებზე უნდა იქნას დამყარებული. თეატრის მთავარ ხელმძღვანელს და ავტორს ამხ. **გ. ბუხნიკაშვილს** ეს კარგად შეუგნია, და თითქმის ყველა ნომრები აგებულია სოციალურად გამართლებულ იდეებზე.

განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას **ქართული ესტრადის შექმნის ცდებს გლეხურ სიმღერა-შაირების გამოყენებით.** ქართული ესტრადა არ გვაქვს და მის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფორმები თეატრის მიერ ჯერ ვერ არის საკმაოდ გამოყენებული: ტექსტი მოიმძიმებდა და ასრულებაში (მიუხედავად კარგი ხმებისა) ზედმეტი და მოსაწყენი იყო შესავალი. ცოტა დაულაგებელი და ზოგიერთ შემთხვევაში იაფფასიანი იყო ხუმრობა „მზადება უნივერსიტეტში". პროვინციალიზმის დაღი აკრავს „ხრინწაძის ხორის".

შესრულების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ კადრი ნიჭიერი ახალგაზრდობისაგან შესდგება, რომელთაც საშუალოდ კარგი ხმები აქვთ. შედარებით უკეთესია ქალების შემადგენლობა, სამწუხაროდ ისინი ცოტანი არიან (**ნიკოლაიშვილი, ჭანტურია** და **ფაჩულია**), ვაჟებში აღსანიშნავია: **ვაშაძე, მაღალაშვილი, ლოლიძე, ფხალაძე** და სხვ.

სპექტაკლი რეჟისორული და მხატვრული მხარე სუსტი იყო. აქ ალბათ მატერიალურმა ხელმოკლეობამ ითამაშა როლი. სპექტაკლი გაიტანა მსახიობების თამაშმა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სატირისთვის ძალიან საჭიროა შარჟისა და „ლუბოკის" გამოყენება. მხატვრული ჰიპერბოლები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და ამხიარულებს სპექტაკლს.

საერთოდ თბილისის მუსიკალური სატირის თეატრი მეტად პრაქტიკული და სასარგებლო თეატრია და გახსნამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

პლ. ქიქოძე.

სომხური სახელმწიფო დრამა

„რღვევა"—ბ. ლავრენევის, დადგმა—ბურჯალოვის

სომხური დრამის მუშაობა უკანასკნელ წლებში არ იყო დამაკმაყოფილებელი: თეატრის ხელმძღვანელებს არ ახასიათებდათ არავითარი იდეოლოგიური მიდგომა რეპერტუარისადმი (თითქოს სავსებით შეუმჩნევლად ჩაიარა ამ ხელმძღვანელებისათვის დიდმა რევოლიუციამ), არ არსებობდა რამდენადმე ძლიერი დასი, არ იყო მტკიცე ანსამბლი, ხოლო გასტროლიორების მოწვევა, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში წარმოდგენის წინა დღით (თუ წარმოდგენის დღეს არა!) ჩამოდიოდნენ ხოლმე, იწვევდა იმას, რომ რეპეტიციები საკმაო არ იყო და დადგმა იღებდა ხალტურულ ხასიათს. ხალხს გული აუცრუვდა და რუსთაველის თეატრის დარბაზი სომხურ წარმოდგენებზე ხშირად მოგვაგონებდა არაბეთის უდაბნოს.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ წელს სხვა მდგომარეობაა. სომხური დრამის ახალმა ხელმძღვანელებმა უპირველეს ყოვლისა მიზნად დაისახეს დაედგათ მთელი რიგი ახალი პიესები რევოლიუციონურ რეპერტუარიდან. თეატრის ხელმძღვანელებმა სეზონი გახსნეს [illegible] ორიგინალური და საინტერესო პიესით (ამის შესახებ თავის დროზე იყო მოთავსებული რეცენზია „კომუნისტ"-ში) და ეხლა ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას აცნობეს ლავრენევის საუცხოვო პიესა „რღვევა". მესამე პრემიერად მიდის „კაცი პორტფელით".

„რღვევაშიც" ჩანდა ინტენსიური და გულმოდგინე მუშაობა რეჟისორ **ბურჯალოვისა,** რომლის მეოხებით ცოცხლად ჩაიარა მასიურმა სცენებმა, განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში, რამაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

ანსამბლი—აი რა იყო ყველაზე უფრო მოხდენილად გამოხატული „რღვევაში". ცალკე შემსრულებლებს შორის აღსანიშნავია **გალსტიანის** თამაში, რომელმაც შესძლო სწორი ტონის აღება ფონ შტუბეს პიროვნების განსახიერებისათვის.

დამაკმაყოფილებელი არ იყო **ალიხანიანის** თამაში. მსახიობმა რატომღაც საჭიროდ არ სცნო გრიმის გაკეთება და სცენაზე გამოვიდა თავისი, ასე ვსთქვათ „ნატურალური" სახით. როლს ასრულებდა მოდუნებულად, მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებაში საუცხოვოდ ჩატარებულ მიმიკურ სცენაში მიიზიდა საზოგადოების ყურადღება.

ხორენმა გოდუნის როლში საკმაოდ ვერ დაგვანახვა გოდუნის ერთგვარი ინტელიგენტობა, მსახიობი, ძალიან გადაჭარბებულად ყვიროდა, მაგრამ ამასთან ერთად განგვაცდევინა მთელი რიგი ძლიერი მომენტები, განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში.

ახლად მოწვეულმა ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა **მოჩორიანმა** საკმაოდ ცოცხლად ჩაატარა ქსენიას როლი. კარგია **გუკასიანის** ქალი ტატიანას როლში.

ეპიზოდიური როლების შემსრულებელთა შორის უნდა აღინიშნოს **გამიკონიანი,** რომელმაც მოგვცა ექსპანსიური ადმირალის ცოცხალი (თუმცა რამდენადმე გაშარჟებული) ფიგურა, **სანამიანი,** რომელმაც კარგად შეასრულა ბოცმანის როლი და **ბერძიანი** (მეზღვაური).

აუარებელი ხალხის დასწრება წარმოდგენაზე მოწმობს იმას, რომ ხალხს სურს გაეცნოს ახალ რევოლიუციონურ ლიტერატურას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კარგად დაწყებული საქმე ასევე კარგად გაგრძელდება.

ვ.

ხელოვნების ქრონიკა

„ანზორი"

რუსთაველის თეატრში სეზონის გახსნის დღიდან „ანზორ"-ის წარმოდგენა მიდის ზედიზედ.

აბონემენტების გარდა „ანზორი" იდგმება პროფკავშირის წევრებისათვის. პროფკავშირებს უკვე შესყიდული აქვთ 19 წარმოდგენა და პირველ დეკემბრამდე ბილეთები განაწილებულია. ამის გამო ახალი პრემიერა „ხოჭოების დოლი" წავა 20 ნოემბერს და განმეორებული იქნება 22 ნოემბერს. „ხოჭოების დოლი"-ს შემდეგი წარმოდგენები და აგრეთვე ახალი პრემიერები წავა 1 დეკემბრიდან, ვინაიდან 23 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე ყველა დღეებში დაკავებული აქვთ პროფკავშირებს „ანზორი"-სათვის. დღემდე „ანზორი" სულ წარმოდგენილი იქნა 13-ჯერ; წარმოდგენას დაესწრო სულ 11.629 კაცი.

დღეს „ანზორი" წარმოდგენილი იქნება ხეზე მომუშავეთა კავშირის წევრებისათვის.

◆ **მოზარდ მაყურებელთა თეატრის, მიერ** დღეს მეღითონეთა კლუბში დღით წარმოდგენილი იქნება „ფრიც ბაუერი".

◆ **მუშათა თეატრში** დღეს რუსულად წარმოდგენილი იქნება „წრის კვადრატურა".

— მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის მორიგი წარმოდგენა გაიმართება დღეს, 16 ნოემბერს, მეღითონეთა კლუბში (ყოფ. ცენტრ. მუშათა კლუბი) მე-5 და მე9 აბონემენტისათვის. მიდის „ფრიც ბაუერი". ბილეთების ნაწილი იყიდება კლუბის სალაროში.

ქუთაის-ბათომის სახელმწიფო თეატრში

შაბათს, 17 და კვირას 18 ნოემბერს ქუთაის ბათომის სახელმწიფო დრამის მიერ ქუთაისში მეორე პრემიერად წარმოდგენილი იქნება **ბერნარდ შოუს** კომედია **„წმინდა ქალწული"**, თარგმანი **ი. გრიშაშვილი**, დადგმა **ვახ. აბაშიძის**, მხატვარი აკადემიკოსი **შარლემანი**, მუსიკა **თ. ვახვახიშვილის.**

მთავარ როლებში: **ელ. დონაური, შ. ღამბაშიძე, ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, კვანტალიანი, ალ. ჟორჟოლიანი, ა. მურუსიძე, შ. გომელაური** და სხვები.

20 და 21 ნოემბერს იგივე პიესა განმეორებული იქნება ბათომში.

შაბათს, 24 ნოემბერს, ქუთაისში განახლებული იქნება „ცხვრის წყარო" **კ. მარჯანიშვილის** დადგმით.

მზადდება დასადგმელად (წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრებულია) ტრაგედია „ურიელ აკოსტა" (აკოსტას როლს შეასრულებს **უშანგი ჩხეიძე**), **კრიშმნის** პიესა „ლიან დაგი გუგუნებს" და ახალი ორიგინალური კომედია **შ. დადიანის** „კაკალ გულში".

„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ"! ჯერ-ჯერობით დაიდგა ექვსჯერ (ოთხჯერ ქუთაისში და ორჯერ ბათომში) და ექვსივეჯერ ანშლაგით.

რკინის გზებზე

ა. კ. რკ. გზების ეკონომიური გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ეკონომიური განყოფილება ამჟამად ატარებს გზების ეკონომიურ გამოკვლევას.

გამოკვლევის მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რა არის გაკეთებული გზებზე უკანასკნელ წლების განმავლობაში.

გზების სატრანსპორტო რაიონებათ დაყოფა

გზათა სახალხო კომისარიატის დავალებით ამიერ-კავკასიის რკინის გზების ეკონომიურმა განყოფილებამ ჩაატარა ა. კ. რკინის გზების სატრანსპორტო რაიონებათ დაყოფა.

გზის რაიონებად დაყოფას საფუძვლად დაედო ამა თუ იმ რაიონის ეკონომიური შესაძლებლობა. გზა სულ დაყოფილია 21 რაიონად.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 16 ნოემბერი

დღეს, 16 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება—„მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების 10 წლის თავი", თურქული რადიო-გაზეთი; მუსიკალური შესვენება; ტეხნიკური კონსულტაცია, ამხ. ტაგიევის მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები; 17 ნოემბრის პროგრამის გადაცემა; კონცერტი სტუდიიდან; ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 64

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საარბიტრაჟო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქალაქოდ შემოღებული იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საარბიტრაჟო კომისიების შესახებ და:

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. თებერვლის 1-ს თარიღისა და 4 №-ის დადგენილება (ს. ს. რ. კან. კრ. 1926 წ. № 1 მუხ. 4).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მაგ: **შ. ვაშაკიძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგ: **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ.: **შ. მათიკაშვილი.**

1928 წლის ივლისის „5“.

დებულება

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საარბიტრაჟო კომისიების შესახებ

1. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის ქონების გამო აღძრული დავის გადასაწყვეტად საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან დაარსდება საარბიტრაჟო კომისია.

2. საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისია მოეწყობა თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და წევრების შემადგენლობით 7-დან 10 კაცამდე. რომელთაც დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საარბიტრაჟო კომისიას ექვემდებარება ქონებრივი დავა:

ა) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის:

ბ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, ერთის მხრით, და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი ა. კ. ს. ფ. ს. რ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ადგილობრივ ორგანოებს შორის. მეორეს მხრით:

გ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ერთის მხრით, და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებ გარეთ მყოფ ა-კ. ს. ფ. ს. რ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ადგილობრივ ორგანოებს შორის. მეორეს მხრით, უკეთუ მოპასუხე მხარედ საქმეში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის დაწესებულებანი და საწარმონი არიან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საარბიტრაჟო კომისია განიხილავს აგრეთვე იმ დავას, რომელიც ექვემდებარება ა.-კავკ. უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას, იმ შემთხვევაში და პირობებში. რაც ჩამოთვლილია ა-კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ამიერ-კავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულების (ა-კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებული 1928 წ. № 2. მუხ. 24) მე-4 მუხლში და ამ მუხლის 1-ლ შენიშვნაში, უკეთუ სარჩელის ღირებულება ერთი ათას მანეთს არ აღემატება.

შენიშვნა. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე დაწესებულებებსა და საწარმოებს შეეფარდება ქვემდებარეობის წესები თანახმად სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისიის დებულებისა. (ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1926 წ. № 13, მუხ. 90).

5. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისიის გამგებლობიდან გამოირიცხება:

ა) დავა ერთი და იმავე უწყების სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის. უკეთუ ორივე მოდავე მხარე საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფება:

ბ) დავა, რაც აღიძვრის სახელმწიფო ბანკისა და სახელმწიფო დაზღვევის მთავარი გამგეობის ოპერაციების გამო იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ბანკი და სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა არიან მოსარჩელე ან მოპასუხე:

გ) დავა, რაც გამომდინარეობს რკინისგზით გადატანის ხელშეკრულებიდან, რომელი დავაც მოწესრიგდება რკინიგზის წესდებით და აგრეთვე დავა, რაც მოწესრიგდება საფოსტო გაგზავნებისათვის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების პასუხისმგებლობის შესახებ არსებული განსაკუთრებული წესებით:

დ) სარჩელი პროტესტქმნილი თამასუქის გამო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სათამასუქო სარჩელის წინააღმდეგ, მომქმედი კანონების თანახმად, შეიძლება განცხადებულ იქნეს იმ გარიგებიდან გამომდინარე მისაგებელი, რაც თამასუქის გაცემას ან გადაცემას საფუძვლად დაედვა:

ე) სარჩელი, რაც გამომდინარეობს ტიპიური ხელშეკრულებიდან მუნიციპალიზაცია ქმნილი სადგომებისა და აგრეთვე კომუნალური მოსამსახურეობის: ტელეფონისა, ელექტრონის განათებისა, წყალსადენისა და სხვ. სარგებლობის შესახებ.

ვ) დავა, რაც აღიძვრის ყოველგვარი, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი გადასახადისა და ბეგარის დადების გამო და აგრეთვე დავა საფინანსო ორგანოებთან ბიუჯეტის შესრულების გამო.

6. საარბიტრაჟო კომისია მიიღებს საქმეს წარმოებისათვის იმ დაწესებულების ან საწარმოს წერილობითი განცხადებით, რომელიც თავის უფლებას დარღვეულად სთვლის, ან საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის უმაღლესი ორგანოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს განკარგულებით.

7. დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა: დაეკისრება საქმეში მონაწილე მხარეთ. უკეთუ საჭირო იქნება, საარბიტრაჟო კომისია წინადადებას მისცემს მხარეთ წარმოუდგინონ დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები ან შეჰკრებს მას თავისი ინიციატივით.

8. გადაწყვეტილების დადგენის დროს საარბიტრაჟო კომისია გადასწყვეტს დავას უფლების შესახებ, რისთვისაც იხელმძღვანელებს მოქმედ კანონმდებლობას, მთავრობის განკარგულებებს, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა იმ სავალდებულო დადგენილებებს, რაც გამოცემულია მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში და აგრეთვე საბჭოთა კანონმდებლობისა და საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის საერთო საფუძვლებს.

9. საარბიტრაჟო კომისიას გადაწყვეტილების გამოტანის დროს შეუძლიან მიიღოს მხედველობაში საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესი და დაადგინოს:

ა) შესრულების ვადის გადადება ან განაწილება:

ბ) შესრულების საგნის მეორე საგნად ან ფულის ეკვივალენტად შეცვლა;

გ) გამონაკლის შემთხვევაში სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან;

ამა წესის შეფარდება საერთოდ და მთლიანად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სავაჭრო ბრუნვის სიმტკიცის პრინციპს და ეს შეფარდება თვითეულ ცალკე შემთხვევაში დასაბუთებულ უნდა იქნეს.

10. გადაწყვეტილებაში ან ცალკე დადგენილებაში საარბიტრაჟო კომისია აღნიშნავს შესრულების კონკრეტულ საშუალებას ან მისცემს ზოგად დირექტივს შესრულების საშუალების შესახებ.

11. საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრება.

12. საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებას სასამართლოს გადაწყვეტილების ძალა აქვს და სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს თვით მხარეთა მიერ.

საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილება. რომელსაც მხარეები საარბიტრაჟო კომისიის მიერ დადგენილ ვადაზე არ შეასრულებენ. მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში იძულებითი წესით, განსაკუთრებული წესების თანახმად.

13. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს შეუძლიან. ზედამხედველობის წესით, შესცვალოს ან გააუქმოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილება და გადასცეს მას საქმე ხელახალი განხილვისათვის სხვა შემადგენლობაში.

14. იმ დაწესებულებას, რომელსაც საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოში საკითხების უშუალოდ შეტანის უფლება აქვს, შეუძლიან ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც დადგენილია საარბიტრაჟო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილების დამზადებისათვის, აღძრას საკითხი გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის შესახებ უკეთუ უკმაყოფილება გადაწყვეტილების გამო 1000 მანეთზე მეტ თანხას შეეხება.

საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს არ გადასცეს ეკონომიურ საბჭოს საკითხი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და დასტოვოს იგი განუხილველად ან და გადასცეს განსახილველად საარბიტრაჟო კომისიის პლენუმს.

15. საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით შეცვლის ან გაუქმების უფლება ეკუთვნის აგრეთვე საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისიის პლენუმს. რომელსაც საკითხს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ გადასცემს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე, საარბიტრ. კომისიის თავმჯდომარე ან ის პირი, რომელსაც სასამართლო სხდომას თავმჯდომარეობდა, უკეთუ გადაწყვეტილების გამოტანის დროს მან თავისი განსაკუთრებული აზრი განაცხადა.

16. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისია მოქმედებს განმწესრიგებელი, სასამართლო და პლენარული სხდომების შედგენილობით.

განმწესრიგებელი სხდომაში გადაწყდება სასამართლო წარმოების კერძო საკითხები, რომელიც საქმის გარემოებათა განსამარტებლად მხარეთა გამოძახებას არ მოითხოვს.

სასამართლო სხდომაში გადაწყდება საქმე არსებითად და აგრეთვე სასამართლო წარმოების კერძო საკითხები მათ შორის. განმწესრიგებელ სხდომაში გადაწყვეტილიც უკეთუ ერთ-ერთი მხარე აღძრავს შუამდგომლობას საკითხის გადასინჯვის შესახებ არა უგვიანეს 2 კვირის განსაჩივრებული დადგენილების გამოტანის დროიდან.

პლენარული სხდომა, რომლის შედგენილობაც წევრთა საერთო რიცხვის ორ მესამედზე ნაკლები არ უნდა იყოს, გარდა საქართველოს სსრ საარბიტრაჟო კომისიების გადაწყვეტილებათა ზედამხედველობის წესით გაუქმებისა ან შეცვლისა (მუხ. 15 და 21), მისცემს ხოლმე სახელმძღვანელო განმარტებას პრინციპიალური საკითხების შესახებ, რაც ამ კომისიების მუშაობაში აღიძვრის.

17. მოკავშირე აფხაზეთის ეკონომიურ საბჭოსთან, აჭარისტანის ავტონომიური სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან,—აფხაზეთის სსრ ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს, აჭარისტანის ავტონომიური სსრ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილებით—შეიძლება დაარსებულ იქნეს საარბიტრაჟო კომისიები.

18. საარბიტრაჟო კომისიის წევრთა რიცხვის განსაზღვრა და აგრეთვე თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და წევრთა დანიშვნა მოხდება აფხაზეთის სსრ ეკონომიურ საბჭოს, აჭარისტანის ავტონომიური სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ კუთვნილებისამებრ.

19. ამა დებულების მე-17 მუხლში აღნიშნულ საარბიტრაჟო კომისიებს უფლება აქვს განიხილონ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ქონებრივი დავა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელსაც ორივე მოდავე მხარე ეკუთვნის იმ რესპუბლიკას ან ოლქს,. რომელშიაც საარბიტრაჟო კომისია მოქმედობს.

დანარჩენ შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისია (მუხ. 3).

20. აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საარბიტრაჟო კომისიები მოქმედებენ იმ საფუძველზე, რაც აღნიშნულია ამა დებულების 3—12 მუხლში.

21. ამა დებულების მე-17 მუხლში აღნიშნული საარბიტრაჟო კომისიების გადაწყვეტილება საბოლოოა და შეიძლება შეცვლილ ან გაუქმებულ იქნეს მხოლოდ ზედამხედველობის წესით აფხაზეთის სსრ ეკონომიურ საბჭოს აჭარისტანის ავტონომიური სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით შეცვლისა ან გაუქმების უფლება ეკუთვნის აგრეთვე საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისიის პლენუმს.

22. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული საარბიტრაჟო კომისიის პლენუმს უფლება აქვს ზედამხედველობა გაუწიოს ამა დებულების მე-17 მუხლში აღნიშნულ საარბიტრაჟო კომისიების მოქმედებას და აგრეთვე რევიზია გაუკეთოს მათ.

23. საარბიტრაჟო კომისიებში საქმის წარმოების წესებს, საარბიტრაჟო კომისიების გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულების წესებს და აგრეთვე საარბიტრაჟო კომისიებში, საქმის წარმოებისათვის ბაჟისა და სხვა გამოსაღების გადახდევინების წესებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭო.

დადგენილება № 71

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 60, 61 და 63 მუხლების შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს ს. ს. რ. 1928 წლ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის 60, 61 და 63 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 60. გადასახადის ან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გამოსაღების გადაუხდელობა დაწესებულ ვადაზე, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეს ჰქონდა გადახდის შესაძლებლობა, უკეთუ მას წარსულ საშენაწერო წელს—თუ გინდ ერთხელ მაინც, ხოლო მიმდინარე წელს—ორჯერ უკვე შეეფარდა გადასახდელის ღონისძიება ქონების აღწერის სახით ან და აღწერილი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის სახით, გამოიწვევს ჯარიმას, რაც არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელის ათჯერად რაოდენობას; იგივე ქმედობა, ჩადენილი ხელმეორედ, ან რამდენიმე პირის მიერ ურთიერთ შორის წინასწარი შეთანხმებით, ან უკეთუ გადაუხდელი გადასახადის თანხა ორი ათას მანეთს აღემატება,—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ქონების ნაწილის კონფისკაციის ან ჯარიმით, რაც არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელის ათჯერად რაოდენობას,—ან უამისოდ.

მუხ. 61 უარისთქმა ბეგარის მოხდაზე ან საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მუშაობის შესრულებაზე გამოიწვევს,—

ჯარიმას არა უმეტეს ასი მანეთისა ადმინისტრატიული წესით, უკეთუ სათანადო კანონით სხვა რამ გადასახდელი არ არის გათვალისწინებული; იგივე ქმედობა, ჩადენილი ხელმეორედ, ან რამდენიმე პირის მიერ ურთიერთ შორის წინასწარი შეთანხმებით,—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას ერთ წლამდე.

სახელმწიფოს მიერ სტიპენდიატის სასწავლებელში შენახვისა და სწავლისათვის გაწეული ხარჯის შრომით ანაზღაურების მოვალეობაზე უარისთქმა ან ამ მოვალეობისაგან თავის არიდება არაპატივისადებ მიზეზით —გამოიწვევს.

იძულებითი მუშაობას ექვს თვემდე, ან ჯარიმას იმ ხარჯის რაოდენობით, რაც სახელმწიფომ დამნაშავის სასწავლებელში შენახვისა და სწავლებისათვის გასწია.

მუხ. 63. გადასახად-დასადებ ან ალსანუსხავ საგნების დამალვა ან წინასწარი შეცნობით ამ საგნების რაოდენობის შესახებ ყალბი ცნობის მიცემა, აგრეთვე ქონების გადამალვა გადასახადის იძულებითი გადახდევინების ასაცილებლად გამოიწვევს

ჯარიმას, რაც არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის ათჯერად რაოდენობას.

იგივე ქმედობა; ჩადენილი მე-60 მუხ. მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებაში, თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ქონების ნაწილის კონფისკაციით ან ჯარიმით, რაც არ უნდა აღემატებოდეს გადასახდელის ათჯერად რაოდენობას, ან უამისოდ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

დადგენილება № 73

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

იმ საგნების ნუსხის შევსების შესახებ, რაც კონფისკაციით მსჯავრდადებულს არ ჩამოერთმევა. (საქართველოს ს. ს. ს. სისხლ. სამ. კოდ. 39 მუხ. დანართი)

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ნუსხა იმ საგნებისა, რაც კონფისკაციით არ ჩამოერთმევა, მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

კონფისკაციით არ ჩამოერთმევა:

ა. მსჯავრდადებულისა და მის სარჩენ პირთათვის საზამთრო და საზაფხულო ტანსაცმელი, საცვალი, ფეხსაცმელი, ავეჯეულობა და სხვა საოჯახო საგანი: 1) საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსი: თვითეულ სულზე ერთი საზაფხულო ან საშემოდგომო პალტო (ან ნაბადი, ფარაჯა და სხვ.), ერთი საზამთრო პალტო (ან ჯუბა, ქურქი, ტყაპუჭი და სხვ.), ერთი ხელი საზამთრო სამოსელი (ქალებისათვის—ორი საზამთრო კაბა), ერთი ხელი—საზაფხულო სამოსელი (ქალებისათვის—ორი საზაფხულო კაბა), ერთი ყაბალახი, ერთი თბილი ქუდი, (შლიაპა) და ერთიც ტყავის ან ბეწვის ქუდი, ხოლო ქალებისათვის, გარდა ამისა, ორი საზაფხულო თავსახვევი და ერთი თბილი მოსახვევი (ან შალი); 2) სამი წყვილი საცვალი თვითეულ სულზე; 3) ერთი წყვილი ტყავისა და ერთიც ნაბდის ფეხსაცმელი თვითეულ სულზე; 4) ავეჯი და ოჯახში სახმარებელი სხვა საჭირო ნივთები: ა) თვითეულ სულზე—ერთი სასადილო (თეფში, ჩანგალი, დანა და კოვზი) და ერთი საჩაიე (ჭიქა ან ფინჯანი და ლამბაქი), მოწყობილობა, ერთი სკამი (ტაბურეტი), ერთი ხელი ლოგინი (ლეიბი, ბალიში, ორი ზეწარი, ორი ბალიშის პირი, ერთი საბანი), ერთი საწოლი, ორი პირსახოცი; ბ) თვითეულ ოჯახზე—სამოვარი (ჩაიდანი და თუჯის რამ ჭურჭელი წყლის ასადუღებლად), პრიმუსი (კეროსინკა), ლამფა, სასადილო მაგიდა, ორი სუფრა. ორი ჩაის ტილო, ორი ჭურჭლის ტილო, ორი ვედრო. ან კოკა, ერთი საცავი (ან სხვა რამ მისი მაგიერი, ტანისამოსის შესანახად), სამზარეულოსათვის აუცილებლად საჭირო საცეხველი (ქვაბები, თუჯის ჭურჭელი, მაშა და სხვ.).

ბ. მსჯავრდადებულის პირადი შინამრეწველობისა და ხელოსნობისათვის საჭირო იარაღი, აგრეთვე ყველა ის ინსტრუმენტი, ხელსაწყო და წიგნი, რაც საჭიროა მისი პირადი პროფესიონალური მუშაობისათვის. უკეთუ ეს პროფესია მას სასამართლოს მიერ არ ექნება აკრძალული: 1) პირადი შინამრეწველობისა და ხელოსნობის იარაღი: ხუროსა და დურგლისათვის—დაზგა, შალაშინი, ცული, ხელის ხერხი და ბირდაბირი, რანდა, ხვეწი, ჩაქუჩი, სატეხი და სხვ.; მეწაღისათვის—ჩაქუჩი, სადგისი, ფეხსაცმელის დანები, ტყავის გადასაჭრელი გაზი, კალაპოტები, არა უმეტეს ხუთი წყვილისა, კავები—არა უმეტეს ერთი წყვილისა და სხვ.; მჭედლისათვის—ქურა, საბერველი, გრდემლი, ურო, გაზი, პოჭოხანი და სხვ. მეწაღე—გამომჭრელისათვის—გამოსაჭრელი მანქანა, მაკრატელი. საწაღე დანები და სხვ.; მლესავისათვის—სალესავი დაზგა; პარიკმახერისათვის—სარკე, სამართლები, მაკრატლები, თმის საკრეჭი მანქანები, საპარსავი ხელსაწყო და სხვ.; ზეინკალისათვის—საზეინკლო დაზგა, ჩაქუჩი, გაზი, საკავშირებელი ლამფა, ქლიბები, მეხრუქი; პრტყელტუჩება. ლოჯები და სხვ.; მემუშისათვის—ალმასი და ხვეწი; შინ-მომუშავე ფეიქრისათვის—საფეიქრო მანქანა, ნართის ამოსახვევი დაზგა, ქრო ქარგა; მქსოველისათვის (ტრიკოტაჟი)—ქსოვი მანქანა, ნართის ამოსახვევი დაზგა ჩხირები და სხვ.; თერძისა და ტანსაცმლის მკერავ ქალისათვის—საკერავი მანქანა, მაკრატელი და სხვ., და აგრეთვე ის საგნები, რაც კი საჭიროა ზემოხსენებული და სხვაგვარი ხელობისა და რეწვისათვის. 2) მსჯავრდადებულის პირადი პროფესიონალური მუშაობისათვის საჭირო ინსტრუმენტები, ყოველგვარი ხელსაწყო და წიგნები: სამეცნიერო და სამედიცინო დარგის მომუშავეთათვის—ხელსაწყოები, წიგნები და ინსტრუმენტები, რაც შეეფერება თვითეულ მათგანის მუშაობის ხასიათს და სპეციალობას და საჭიროა მისთვის: კბილის ტექნიკისათვის—კბილის ტექნიკური ინსტრუმენტი; მუსიკოსისა და მომღერალისათვის—ნოტები და მუსიკალური ინსტრუმენტები; მხატვრისათვის—პალიტრა, ფუნჯები, მოლბერტი და სხვ.; მხაზავისათვის—დაფა, სახაზავი და სხვ., და აგრეთვე ზემოხსენებული და სხვა პირადი პროფესიონალური მუშაობისათვის საჭირო სხვაგვარი საგნები.

გ. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, რაც კი საჭიროა შრომითი სამიწადმოქმედო მეურნეობისათვის: ერთი გუთანი, ერთი ერქვანი, ერთი ფარცხი, ერთი ცხენი ან ერთი ჯორი, უღელი ხარი ან უღელი კამეჩი, ან და სათანადო რაოდენობის სხვაგვარი მუშა-საქონელი, ერთი ძროხა, აგრეთვე საკვები საქონლისათვის იმდენი, რაც საჭირო იქნება საქონლის საძოვარზე გარეკამდე. მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვის სამყოფი საკვებისა; ამასთანავე გლეხის კომლის ქონებიდან, საერთოდ, კონფისკაციით შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს ამ ქონების მხოლოდ ის ნაწილი, რაც ეკუთვნის დანაშაულისათვის კომლის მსჯავრდადებულ წევრს, უკეთუ მომქმედი კანონით ამ ნაწილის გამოყოფა შეიძლება.

დ. საცხოვრებელი და საკარმიდამო შენობა სოფლად, რაც საჭიროა მსჯავრდადებულის ოჯახის საცხოვრებლად, ან შეადგენს სოფლის მეურნეობის განუყოფელ კუთვნილებას.

ე. თესლეულობა, რაც საჭირო იქნება შრომითი სამიწადმოქმედო მეურნეობაში მორიგი თესვისათვის (საშემოდგომო და საგაზაფხულო) იმ ვარაუდით, რომ ფაქტიურად მოსათესი მიწის ერთ დესეტინაზე მოდიოდეს: შვრია, ქერი, შემოდგომაზე ან გაზაფხულზე დასათესი ხორბალი—320 კილ., კარტოფილი—1600 კილ., ჭვავი—160 კილ., ფეტვი—128 კილ., ფეტვი—32 კილ., სიმინდი—32 კილ., ცერცვი, ლობიო, მუხუდო და ოსპი—128 კილ., კანაფის თესლი—128 კილ., მზეუმზერიას თესლი—24 კილ., სელის თესლი—96 კილ., საკვები ბალახის თესლი—16 კილ., ბამბის თესლი—64 კილ., კენაფი—32 კილ., სალათი—48 კ., სოიო—64 კილ. და თამბაქოს თესლი—ნახ. კილ. და მოუმკელ-მოუკრეფავი მოსავალი, იმ სამრეწველო ბაღების და ბოსტნების მოსავლის გამოკლებით, რომელთაც ექსპლოატაციასაც შრომითი ხასიათი არა აქვს.

ვ. სათბობი მასალა და საკვები, რაც საჭიროა პირადად მსჯავრდადებულისა, მისი ოჯახისა და მის სარჩენ პირთათვის ექვსი თვის განმავლობაში იმ ვარაუდით, რომ თვითეულ სულზე თვეში მოდიოდეს 18 კილ. ფქვილი ან 21 კილ. ხორბალი, 16 კილ. კარტოფილი, 2 კილ. კრუპა, ნახ. კილ. მცენარეული ზეთი ან 2 კილ. კაკალი, 4 კილ. ლობიო. ცერცვი და სხვა ბოსტნეულობა.

ზ. ფული არა ნაკლები იმ თანხისა, რაც უდრის ამა თუ იმ ადგილას მუშის სამუალო სამოვარს ექვსი თვის განმავლობაში.

თ. საპაიო შენატანი კოოპერატიულ ორგანიზაციაში, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებაში და შრომის არტელში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

დადგენილება № 74

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ-ში ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების სპეციალური სახსარის სახელწოდებით სპეციალური ფონდის დაარსების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-2 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ივლისის 10-ის თარიღისა და №-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ-ში ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების სპეციალური სახსარის სახელწოდებით სპეციალური ფონდის დაარსების შესახებ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 103) შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

„2. პროცენტული დანარიცხი დაწესდება 15 პროც.-ის რაოდენობით—ფოთლიანი და 25 პროცენტის რაოდენობით წიწვიანი ტყისათვის“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 415^1 მუხლის დამატებისა და იმავე კოდექსის 101 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ და აგრეთვე თანახმად ს. ს. რ.-კ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „იმ პენსიისა და გადასახდელის კაპიტალიზაციის შესახებ, რაც უნდა გადახდეს ლიკვიდაციაქმნილ საწარმოს ამა თუ იმ პირის დაშავებისა ან სიკვდილის გამო“ (ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1927 წ. 65 №-რი, მუხ. 661), სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხლს დაემატოს შენიშვნა 1-ლი შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა 1: დაზარალებულთა, მათი ოჯახის წევრთა და რეგრესის წესისამებრ (413 მუხ. მე-2 ნაწ. და 414 მუხ.) სოციალური დაზღვევის ორგანოთა პრეტენზია დაშავების, ან სიკვდილის გამო საზღაურის შესახებ. როგორც დროგამოშვებითი გადასახდელის სახით, ისე საწარმოს ლიკვიდაციის დროს 415^1 მუხ. თანახმად კაპიტალიზაციაქმნილი თანხების სახით, ეთანაბრება დაკმაყოფილების რიგის მხრით პრეტენზიას სამუშაო ხელფასისა, ალიმენტისა და სოციალური დაზღვევის შესახებ.

2. 101 მუხლის ამჟამად მომქმედი 1-ლი შენიშვნა ჩაითვალოს მე-2 შენიშვნად, ხოლო ამავე მუხლის მე-2 შენიშვნა მე-3 შენიშვნად.

3. სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 451^1 მუხ. შემდეგი შინაარსისა:

451^1. საწარმოთა (სახელმწიფო, შერეულ, კერძო და სხვ.), აგრეთვე საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ლიკვიდაციის დროს იმ თანხებს, რაც მათგან ერგება დაზარალებულთ ან, რეგრესის წესისამებრ, სოციალური დაზღვევის ორგანოებს საზღაურის სახით, როგორც ლიკვიდაციამდე, ისე თვით ლიკვიდაციის პროცესში შემთხვეული დაშავებისა ან სიკვდილის გამო, კაპიტალიზაცია უნდა ექნეს თანახმად ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „იმ პენსიებისა და გადასახდელთა კაპიტალიზაციის შესახებ, რაც უნდა გადახდეს ლიკვიდაციაქმნილ საწარმოს ამა თუ იმ პირის დაშავებისა ან სიკვდილის გამო“. (ს. ს. რ. კან. კრებ. 1927 წ. 65 №-რი, 661 მუხ.).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **შ. ვაშაკიძე.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **შ. მათიკაშვილი.**

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საადმინისტრაციო - საგამგებლო ხარჯების შემცირების თაობაზე მთავრობის მიერ გაცემული დირექტივების განხორციელების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1928—29 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და 1927—28 წ. ადგილობრივი ბიუჯ. შესრულების ანგარიშის განხილვის დროს გამოარკვიოს, რამდენად იქნა დაცული ადგილობრივი ორგანოების მიერ მთავრობის დირექტივები 1927—28 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შესახებ.

2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის გამოკვლევას, ხომ არ ყოფილა ბიუჯეტის ასრულების პროცესში საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები გადიდებული, ოპერატიული, თუ სხვა ხარჯების შემცირების საშუალებით.

3. 1928—29 საბიუჯეტო წლისათვის საადმინისტრაციო-საგამგებლო კრედიტების გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედვას ამავე ხარჯებისათვის 1927—28 წ. ძირითადი ბიუჯ. ტით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა და მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი ორგანოების მიერ 1927—28 წ. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების გადიდება.

4. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა მტკიცე მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს, რათა მათ მთავრობის ზემოაღნიშნული დირექტივები ზედმიწევნით და ურყევად განახორციელონ.

5. ის, ვინც არ შეასრულებს მთავრობის ზემოაღნიშნულ დირექტივებს, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული არსებული წესისამებრ.

6. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მოხსენება წარუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს ამა დადგენილების თანახმად წარმოებული გამოკვლევის შედეგების თაობაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი**

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

პარტიული კალენდარი

საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის „26-ის კომუნართა სახელობის“ რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 16 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედების მდივნების, ბიუროს წევრების, ფაბქარხადგილკომების ფრაქციის წევრებისა და სამეურნეო დარგების ხელმძღვანელ კომუნისტების მონაწილეობით. დღის წესრიგში სდგას: 1) ამხ. **კახიანის** მოხსენება მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის შესახებ; 2) ახალ კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია და 3) ცნობა გაზ. „რაბოჩაია პრავდა“-ს რეორგანიზაციის შესახებ.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ყველა პარტ. კანდიდატებს, რომელნიც გატარდნენ პარტ. კანდიდატების შემმოწმებელ კომისიაში და აგრეთვე იმათაც, რომლებიც არ გატარებულან, გამოცხადდნენ დღეს, 16 ნოემბერს, დღის 12 საათზე ბიურო კოლექტივში, დაუგვიანებლად.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 16 ნოემბერს, დილის 10 საათზე ბიურო-კოლექტივში დაუგვიანებლივ: ძაძამიძე ივანე კონსტანტინეს ძე, ხუციშვილი გრიგოლ მინას ძე, წილოსანი იორდანე დავითის ძე, შავიშვილი ლეონილა კონსტანტინეს ასული, ხორავა ლეო თედორეს ძე, ხვადაგიანი შიო ალექსანდრეს ძე, იორამაშვილი ელენე იესეს ასული, ჩაჩანიძე იოსებ ვასილის ძე, სვანიძე რაჟდენ გიორგის ძე, გიორგაძე შალვა სილიბისტროს ძე, დოლიძე ვერა არკადის ასული, ჯაფარიძე პროკოფი კირილეს ძე, ხავთასი გრიგოლ პავლეს ძე, ბურჭულაძე ემმანოზ, ლალაშვილი იასონ სიმონის ძე, გობრონიძე მიხეილ ბესარიონის ძე, გოდარენკო ანა კონსტანტინეს ასული, გონენაშვილი გერმანე ბიჭიას ძე, ებანოიძე ნიკოლოზ გიორგის ძე, პატიაშვილი ილია ივანეს ძე, კარგაია პავლე პეტრეს ძე, გაბიჩვაძე თეოფილე ექვთიმეს ძე, შელია გრიგოლ სოლომონის ძე, ივანოვა ოლღა ალექსანდრეს ასული, ძაგნიძე ნინო ლუკას ასული, არევაძე ივანე ზაქარიას ძე, მხიტარიუნი რუბენ პავლეს ძე, ჯაფარიძე დავით, ჩაჩანიძე რომანოზ სამსონის ძე, თავაძე მარო ნიკოლოზის ას., ჯულაკიძე ევტიხი ბესარიონის ძე, ფურცელაძე გრიგოლ იაკინთეს ძე, ჯორბენაძე ნადია სოლომონის ას., ხაზალია დავით გიორგის ძე, ჯიჯელავა დავით ანტონის ძე, ჩომახიძე მიხეილ, გაბუნია სევერიანე მიხეილის ძე, ნარინდაშვილი ლევან, დვალი თამარ რომანოზის ას., ამაღლობელი ნიკოლოზ იოსების ძე.

მწუხარებაში მყოფი მეუღლე გიორგი ბეკოს-ძე ვაშაკიძე სიდედრით, სიმამრით, ძმებით, დებით, ობლებითა და სიძეებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 17 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე სოფ. დიდი-ჯიხაიში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

მარგარიტა ნიკოლოზის ასული ვაშაკიძის

ხსოვნის აღსანიშნავ დ. 4878

სვირის რაიონის მასწავლებლობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 14 ნოემბერს გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი

სილოვან დარისპანის-ძე წაქაძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (სად. სვირი), დღის 12 საათზე. დაკრძალვა სვირის თემის მე-4 უბნის სასაფლაოზე. შაბათს 17 ნოემბერს. 4879

გულდამწვარი დედა მაგდალინა, დები: სონა, ელენე, ძმები: შალვა და კოტიკო, დეიდა ეფიმია, დეიდაშვილები: რუსიკო, ქეთო, კატიუშა აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა

გიორგი პავლეს-ძე გიორგაძე

გამოსვენება შაბათს 17 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, სიონის ქ. № 5. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 4885

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი ვლადიმერ კოსტას-ძე და კესარია მანუჩარის ასული წერეთელი-სიჭინავასი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველის ერთგულესი და სამ გალითო ამხანაგ-მეუღლის და მეორესი საყვარელი რძლის

ანუშა გიორგის ასული ჟორჟიკია-სიჭინავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 17 ნოემბერს, ზედა-თეკლათის სასაფლაოზე. გამოსვენება დღის 4 საათზე საკუთარ ბინიდან აკაკის ქუჩა № 19, ქ. ახალ-სენაკში. 4886

სამუდამოდ გულძოკლულნი დედა ელენე მამა იოსები პატარა ჯადარით, ბებია მაკა და ბიძა ლევანი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ გარდაიცვალა პატარა

ასლან იოსების-ძე ასლანიშვილი

გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან შაბათს 17 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. (შ)

ღრმად დამწუხრებულნ მეუღლე მიხეილ, შვილები: ანთიმოზ და გრიშა, რძალი ნინა და შვილიშვილი ლეილა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 14 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

თემროლე ნიკოლოზის ასული ზურდილაძისა

გამოსვენება საკუთარ ბინიდან—ელისაბედის ქუჩა № 77, 16 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე,

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	მხატვრული სურათი **მისი აღმატებულება**
არფასტო	საუკეთესო სურათი **ზვენიგორა** დოვჟენკოს დადგმა
სოლეი	ნიკოლოზ კოლინი სურათში **საყვარელი მაწანწალა**
აპოლო	მხატვრული ბოევიკი **ტუმპე** პანოვის მონაწილეობით
პალასი	ანა სტენ და გ. მიჩურინი სურათში **ჩემი შვილი**
მინიონი	ოსი ოსვალდი სურათში **მისი კაპრიზი**
დარბაზი	გლორია სვენსონი სურათში **რა საჭიროა ცოლის გამოცვლა**
პროლეტარი ავლაბარი	**პირველი კორნეტი სტრეშნიოვი**

პირველი სეანსის დასაწყისი 6 საათზე 30 წუთზე სალარო ღიაა 5 ს. 30 წუთიდან 0—9

ცირკი **კოლოსი** ტელეფ. № 8—64

დღეს. განახლებული სანახაობანი **ახალი გასტროლები** 3 განყ. 14 ნომერი

ნ. ტალარინის და პავლის დებიუტი

დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

კვირას 18 ნოემბერს,

დღის სანახაობანი ბავშვებისათვის

დასაწყ. 2 ს. ბავშვები უფასოდ. მონაწილეობს მთელი დასი და გასტროლიორები.

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი, მმართველი მ. ი. ტადე

ნ. 1821 3—1. 3—1

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა აცხადებს, რომ შაბათს, 17 და კვირას, 18 ნოემბერს, სასახლის ქ. № 3. დილის 11 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ, გაიყიდება სარკიანი შიფონერკები, ბუფეტები, პიანინო „ბეკერ“-ის, მაგიდები, სკამები, უწვავი სალარო, საწოლები, კომოდები, ხალიჩები, ფარდაგები, პირისაბანები, ოქრო-ვერცხლი, სარკეები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1840

კბილის ექიმი **დ. ს. რიჟინაშვილი** კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

კინო **პალასი** დღეიდან **ანა სტენ** და **გ. მიჩურინი** სურათში **ჩემი შვილი** დადგმა რეჟისორ **ჩერვიაკოვის**

1 სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წუთზე. სალარო ღიაა 5 ს. 30 წუთიდან. ნ. 1716

ექიმი **ა. ს. ვადაჭკორია** დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 25—1

იყიდება სახლი ქალ. ოზურგეთში, ალმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან. 0—3 „კომუნისტ“-ს მთავარი კანტორა.

შაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში დანიშნულია განცხადებების შემკრებ აგენტების **კრება**

დასწრება სავალდებულოა ვინც არ გამოცხადდება მოხსნილ იქნებიან სამუშაოდან. 2—1 მთავარი კანტორა.

გაზეთზე ხელის მოწერის შემკრები აგენტი **ნოე ევგენის ძე მითაგვარია** მოხსნილია სამუშაოდან და მასზე გაცემული მოწმობა 11 ოქტომბრის თარიღით № 1618 **გაუქმებულია** 2—1 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი **თ. ზ. გოგია** ამით აცხადებს, რომ ის 20 ნოემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 12 იერუსალიმის შესახვევი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბინო აბრამის-ძე ბატუაშვილის უძრავ ქონებას: ორსართულიან სახლს, რომელიც შეიცავს 5 ოთახს, 2 საზარ ულოს, დახურულია ქვისტით. შეფასებულს 6000 მანეთად, ფინსახკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მაზრა ქალაქის სახალხო სასამ რთლოსაგან 8 ივნისს 1928 წ. თარიღით, № 121/2 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვისაც სურს მიიღოს ვაჭრობაში მონაწილეობა, უნდა დაიცვას სამ. სამ. საპროც კოდექსის 310, 311 და 312 მუხლები. თუ ეს პირველი ვაჭრობა არ შესდგა მეორე ვაჭრობა 25 ნოემბერს მოხდება. ნ. 1843

ექიმი **კ. ს. ფონ-ირტელი** სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი **ი. პ. მჭედლიშვილი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

თვალის ექიმი **მალაევი** ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. ნ. 4 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი **ი. ი. ქეიშვილი** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის) მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ. 4598 25—1

ექიმი **ს. ანდრეევისა** დაბრუნდა ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ელსმენი—11—78. ნ. 25—

ექიმი **კ. ი. ჯალალოვი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

ლოგოპედი **ა. ა. კაიშაური** ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა **ასწორებს** ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს ილებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 13.2 13—1 ნ. 1809

ექიმი—ვენეროლოგი **ნინო მირიანაშვილი** იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი **ი. ვ. ხანდამოვი** სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა. ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესაცგრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად 25—1 ნ. 5

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წელს დაამთავრა **„სილამაზის ინსტიტუტი“** მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

კბილის ტექნიკოსთა კურსებზე შეღავათიან ფასებში სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება. მიღება ავადმყოფების ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათ მდე. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი **ა. დ. კეკელია** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ½—8 ½ საათ ტელეფ.—12—67. ნ. 3 25-2

ექიმი **დარეჯან ე. თაყაიშვილი-კაკუბერი** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდცისის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16, მიღება დილის 8—9 საათ საღამ. 5—8 საათ

ექიმი **ტერ-ოვაკიმოვი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი. (ფსიხოტერაპია) ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ჟორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის. კუთხე. 25—1

დავკარგე ბავშვის რეველის მეტრიკული ამონაწერი და უვადო პასპორტი დიომიდე ცინცაძის სახელზე, ჩ. გ. 4883

დავკარგე, „ზაკტპოს“ საწევრო წიგნაკი № 31320 არისტარხოზ სვიმონის-ძე ხარებავას სახელზე, ჩ. გ. 4884

დავკარგე, ლომბარდის ქვითარი № 91851 და პენსიის წიგნაკი № 4177 ლიზა სინჯიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4881

დავკარგე, ხის დასამუშავებელი ბარათი № 6, მიღებული ჩოხატაურის რაიონის სატყეო განყოფილებიდან ვარლამ მათეს-ძე გოგი-აძის სახელზე, ჩ. გ. 4880

დავკარგე, მეტრიკული ამონაწერი № 64 დიმიტრი მაყიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4877

დავკარგე, სამქროს პირადობის მოწმობა № 5144 ბენედიქტე დალაქიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4876

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამ ის ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.